# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№097 (12776) 28 აპრილი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


## თავს ნუ მოიტყუებთ!



» 2

# თამაშის ჩანწყობის ტექნოლოგიები

» 4

# მოურინიომ ჩელსის პრესინგი ურჩია



UEFA CHAMPIONS LEAGUE

ნახევარფინალი

**ბარსელონა ჩელსი**

წინათქმა » 7



## კლინსმანს კარისკენ მიუთითეს



## ბაიერნს ჰაინკესი უთავკაცებს



მსოფლიო ფეხბურთი » 6-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXIX ტურის მიმოხილვა

# თავს არ მოვიტყუებთ!

NO COMMENT

ეს უკვე ფეხბურთი კი არა, თავის მოტყუებაა! ჯერ კიდევ შემორჩენილი იმ ერთეული ქომაგის მოტყუება-განბილებაა, ყველაფრის მიუხედავად, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს რომ ესწრებიან. ჰოდა, გულახდილად ვიტყვით: ნამდვილად არ ვაპირებთ საკუთარი თავის მოტყუებას და უნიჭოდ დადგმულ ქართულ საფეხბურთო „სპექტაკლებსაც" არ გავაშუქებთ. ჰო, არ გავაშუქებთ, მორჩა და გათავდა; უბრალოდ, გაზეთში მივუთითებთ კონკრეტული ტურის კონკრეტული შეხვედრების ანგარიშებს (ვნახოთ, რა ხასიათზე ვიქნებით, შესაძლოა გოლების ავტორებიც ვახსენოთ) და ეს იქნება სულ.

ასე იქნება მანამდე, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში სიბინძურე არ მოისპობა; ვიდრე, კონკრეტულ ტურში, სულ მცირე, ორი-სამი მატჩის შედეგი წინასწარ იქნება ცნობილი; ვიდრე, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების ფეხბურთელები, მწვრთნელები და ამავე ჩემპიონატის მომსახურე არბიტრები მატჩის დღეებში... ტოტალიზატორში ივლიან; ვიდრე, ერთი გუნდი ან კონკრეტული პიროვნება არ დაისჯება გარიგებული მატჩებისათვის და ასე შემდეგ. ვიდრე, ვიდრე, ვიდრე...

...ტოტალიზატორის თემა შემთხვევით არ გვიხსენებია; ერთი მხრივ, რა უფლება გვაქვს, რომ მოქმედ ფეხბურთელს, მწვრთნელსა თუ მსაჯს ტოტალიზატორში შესვლა ავუკრძალოთ; მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ჩვენი ფეხბურთელების, მწვრთნელებისა თუ მსაჯების რიცხვი კონკრეტულ ტოტალიზატორში მას მერე მომრავლდა, იმ საბუქმეიქერო კანტორამ... საქართველოს ჩემპიონატზე ფსონების მიღება რომ დაიწყო; ჰოდა, დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო! რალა შორს მივდივართ, უკანასკნელ ტურში ჩვენი ჩემპიონატის ორ მატჩზე ფსონები იცვლებოდაო, რბილად ნათქვამი გამოგვივა! აბა, შეიძლება, ერთი გუნდის საშინაო მოგებაზე კოეფიციენტი თავდაპირველად 3.7 იყოს, მერე - 2.7, შემდეგ - 1.5 და სულ ბოლოს - 1.1? მეორე წყვილიც ვახსენოთ, სადაც სტუმართა გუნდს გამარჯვებაზე ჯერ 3.3 ჰქონდა, მერე - 2.5; ეგ კი არა, როგორც ამბობენ, ორივე შეხვედრის დაწყების წინ ამ მატჩებზე ფსონების მიღება შეჩერებულა. შედეგები არ იკითხოთ: მოიგეს იმ გუნდებმა, ვის სასარგებლოდაც კოეფიციენტი იკლებდა; ანუ, სატურნირო თვალსაზრისით იმ გუნდებმა გაიმარჯვეს, რომელთაც მოგება ძალიან სჭირდებოდათ! არადა, მათ მეტოქეებს როგორ გაამტყუნებ - ჩემპიონატში მოტივაცია აღარ შერჩათ, ერთს სულაც თასის განმეორებითი ნახევარფინალი ელოდება, მეორემ, სანახევროდ სარეზერვო შემადგენლობა




გამოიყვანა და ასე შემდეგ. ისე, ტოტალიზატორმა უფრო „გაახალისა" სეზონის ფინიში, თორემ მსგავსი უცნაურობები ჩვენთან ყოველთვის ხდებოდა. მეტსაც ვიტყვით: იგივე ხდება მსოფლიოს წამყვან საფეხბურთო ლიგებშიც (ამ მხრივ განსაკუთრებით იტალია „გამოირჩევა"); მაგრამ იქ ყველაფერი ისეა შენიღბულ-შელამაზებული, რომ ეჭვს ვერავისში და ვერაფერში შეიტან. აქ კი...

აქ, ბოლო ტურებში ლამის ყოველი მეორე მატჩის შედეგი წინასწარ არის ცნობილი! ჰო, არავის უნდა რანგით დაბალ ლიგაში გადასვლა, მაგრამ ხომ შეიძლება ყველაფერი პატიოსან ბრძოლაში გადაწყდეს? ან, მათმა მეტოქეებმა რაღა დააშავეს? ძალიან გვინდა თანავუგრძნოთ „ოლიმპსა" და „ზესტაფონს": ორივე გუნდი, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ევროტურნირის საგზურს მოიპოვებს. მოკლედ, ერთადერთი ინტრიგა მხოლოდ ბრინჯაოს მედლების მფლობელის ვინაობაღა დარჩება. ვერაფერს ვიტყვით, „სერიოზული" მოტივაციაა, მაგრამ ამ ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებმა რა უნდა ქნან ბოლო ტურებში? ორივე ამ გამორჩეულ გუნდს (ფეხბურთელებითაც და მწვრთნელებითაც) ხომ სეზონის ფინიშზე იმ გუნდებთან მოუწევთ დაპირისპირება, გავარდნის საფრთხე რომ ემუქრებათ. ანალოგიურ არა, მაგრამ დაახლოებით იმავე სიტუაციაშია „სიონიც" - ამ გუნდზე, ფაქტობრივად, ჩემპიონის ბედია დამოკიდებული! შეგახსენებთ, რომ ბოლნისურმა კლუბმა ჯერ „დინამოს" უნდა უმასპინძლოს, მერე - „ვიტ ჯორჯიას". მოკლედ, წინ ბევრი „სახალისო" მატჩი გველოდება; მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ - თავის მოტყუებას არ ვაპირებთ! მივალთ სტადიონზე და თუ დავინახავთ, რომ მატჩი უცნაური სცენარით მიმდინარეობს, მეორე დღეს გაზეთში მხოლოდ საბოლოო შედეგს იხილავთ; ხოლო ტექსტის ნაცვლად კი... ცარიელი ადგილი იქნება! აი, როგორც დღეს არის. არადა, საიუბილეო ჩემპიონატის დაწყებიდან ყველა ტურის მეორე დღეს „ლელოში" ტურის მიმოხილვას ვთავაზობდით ჩვენს მკითხველს; ამასთან, „ტურის მწვრთნელსა" და „ტურის ფეხბურთელს" ვირჩევდით; ჰო, ტურის სიმბოლურ ნაკრებსაც ვადგენდით და ვცდილობდით, დამსახურება არავისთვის დაგვეკარგა. დღეს კი, როგორც ხედავთ, არც „ტურის მწვრთნელი" გვყავს, არც - „ტურის ფეხბურთელი" და არც სიმბოლური ნაკრები.

თავის მოტყუებას კი აღარ ვაპირებთ!..

გია ტუხაშვილი

NO COMMENT

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ალმასკომი

# მარათონული სხდომა

## 5-საათიანმა ალმასკომმა ჩაწყობებს მაინც ვერ დაართვა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. ეს არ იყო ერთი რიგითი სხდომა, თუნდაც იმიტომ, რომ ალმასკომს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, არ მიუღია.

სხდომა დაახლოებით 15 საათზე დაიწყო და ხუთ საათს გასტანა. რამდენიმე კლუბს გარკვეული პრეტენზიები გამოუთქვამს, თუმცა ეს არ ეხებოდა საერთო პრობლემებს. სხდომის უდიდესი დრო ჩაწყობილ თამაშებზე საუბარმა წაიღო. ალმასკომი სადისციპლინო კომიტეტი არ არის და ცხადია, რაიმე ვერდიქტს ვერავის გამოუტანდა, მაგრამ განზეც ვერ დარჩებოდა იმ უმსგავსობებისგან, რაც საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ალმასკომი შეშფოთებულია ამ პრობლემის გამო, სხვანაირად ამდენ დროს არ დაუთმობდა ამ საკითხს, მაგრამ ამის იქით საქმე რომ არ მიდის, ვერ არის მოსაწონი - სხდომამ ჩაწყობილ თამაშებზე ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

გუშინდელი სხდომის შემდეგ ალმასკომის ერთ-ერთ წევრს, თბილისის „ამერის" პრეზიდენტ **ზურაბ ფოცხვერიას** დავუკავშირდით და იმაზეც ვკითხეთ, ემხრობა თუ არა ასეთ მოსაზრებას - ფედერაციის ეგიდით შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც უფლებამოსილი იქნება, მტკიცებულების გარეშეც კი, ლოგიკასა და სანდო, არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით გამოიტანოს დისციპლინარული სასჯელები.

*„ზოგადად, ყველა იმ გზას ვემხრობი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებამდე მიგვიყვანს. რაც შეეხება კონკრეტულად ასეთი კომისიის შექმნას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად გაართმევს საქმეს თავს, რამდენად პრინციპულები იქნებიან ამ კომისიის წევრები... ჯერჯერობით, ვერ ვხედავ ისეთ მექანიზმებს, ასეთმა კომისიამ ეფექტურად რომ იმუშაოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი კომისიის შექმნაზე არ ვიფიქროთ. რაც შეეხება ალმასკომის სხდომას, მართლაც მარათონული გამოდგა, რამეთუ ამ საკითხზე ინტენსიური მსჯელობა მიდის. კონკრეტული გზა კი პრობლემის მოსაგვარებლად ამ სხდომაზე მაინც ვერ მოიძებნა",* - გვითხრა ფოცხვერიამ.

**დავით თავართქილაძე**




ლეგიონი რუსეთი



გოგიტა გოგუა

# ჩვენი კვარტეტი საუკეთესოებში

რუსულმა „სოვსპორტმა" მარტისა და აპრილის გამორჩეული მოთამაშეები დაასახელა - 55 საუკეთესო ფეხბურთელი 11 პოზიციის მიხედვით. გარდა ამისა, ამავე გამოცემამ ახლო და შორეული საზღვარგარეთის ლეგიონერებიც გამოარჩია. ათეულში ერთბაშად ოთხი ქართველია, თანაც ერთმანეთის მიყოლებით - მეხუთე პოზიციაზე ყაზანის „რუბინის" ნახევარმცხველი **დავით კვირკველია** 5.63 ქულით. შემდეგ მოდიან: **გოგიტა გოგუა** - 5.50 ქულა (ნალჩიკის „სპარტაკი"), **ალექსანდრე ამისულაშვილი** - 5.42 ქულა (ნალჩიკის „სპარტაკი") და **დავით მუჯირი** - 5.33 ქულა (მოსკოვის „ლოკომოტივი").

chempionat.ru-მ კი დაასახელა რუსული პრემიერლიგის ტურის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გოგიტა გოგუა მოხვდა. ვებგვერდმა თავის გადაწყვეტილებას ამგვარი არგუმენტი დაურთო:

*„ამკარის" კარში გატანილი ორი გოლი მის მიერ იყო ორგანიზებული, ერთი ბურთიც თავად გაიტანა. ჩინებულად უძღვებოდა გუნდის თამაშს, ხშირად მიმართავდა დრიბლინგებს და სახიფათოდ აწვდიდა ფლანგიდან".*

**დავით ცაბაძე**

### 1991-92 წწ. XXI ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-დინამო | 0:2 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ზესტაფონი-სიონი | 7:0 |
| მესხეთი-ოლიმპი | 0:1 |
| ბორჯომი-მგლები | 1:4 |
| U 16 ნაკრები-ლოკომოტივი | 4:1 |

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| U 16 ნაკრები-ბორჯომი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 20 | 2 | 2 | 73-16 | 62 |
| 2. გაგრა | 24 | 16 | 2 | 6 | 71-38 | 50 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 24 | 14 | 3 | 7 | 32-18 | 45 |
| 4. მგლები | 23 | 14 | 2 | 7 | 54-36 | 44 |
| 5. ნაკრები U16 | 23 | 13 | 1 | 9 | 62-34 | 40 |
| 6. სპარტაკი | 24 | 11 | 5 | 8 | 42-28 | 38 |
| 7. ზესტაფონი | 23 | 11 | 4 | 8 | 56-31 | 37 |
| 8. ლოკომოტივი | 24 | 10 | 1 | 13 | 41-55 | 31 |
| 9. ოლიმპი | 24 | 6 | 4 | 14 | 53-65 | 22 |
| 10. ბორჯომი | 23 | 6 | 3 | 14 | 29-53 | 21 |
| 11. სიონი | 24 | 5 | 1 | 18 | 26-72 | 16 |
| 12. მესხეთი | 22 | 0 | 2 | 22 | 12-111 | 2 |

### 1993-94 წ.წ. XXI ტური

| | |
|---|---|
| დინამო-სპარტაკი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 1:1 |
| სიონი-ზესტაფონი | 0:2 |
| მესხეთი-ოლიმპი | 1:0 |
| მგლები-ბორჯომი | 4:2 |
| ამერი-ლოკომოტივი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 22 | 1 | 1 | 88-5 | 67 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 24 | 16 | 6 | 2 | 48-19 | 54 |
| 3. ამერი | 24 | 15 | 3 | 6 | 54-29 | 48 |
| 4. ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 38-27 | 43 |
| 5. ლოკომოტივი | 24 | 12 | 3 | 9 | 47-19 | 39 |
| 6. მგლები | 24 | 11 | 5 | 8 | 53-30 | 38 |
| 7. გაგრა | 24 | 7 | 8 | 9 | 31-32 | 29 |
| 8. სპარტაკი | 24 | 8 | 4 | 12 | 24-34 | 28 |
| 9. ოლიმპი | 24 | 6 | 6 | 12 | 27-39 | 24 |
| 10. ბორჯომი | 24 | 4 | 7 | 13 | 19-51 | 19 |
| 12. მესხეთი | 24 | 2 | 3 | 19 | 10-101 | 9 |
| 11. სიონი | 24 | 2 | 2 | 20 | 10-63 | 8 |

### 1995-96 წწ. XXI ტური

| | |
|---|---|
| დინამო-სპარტაკი | 2:2 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 0:1 |
| სიონი-ზესტაფონი | 2:2 |
| მესხეთი-ოლიმპი | 0:1 |
| მგლები-ბორჯომი | 3:0 |
| ამერი-ლოკომოტივი | 0:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 24 | 20 | 2 | 2 | 62-9 | 62 |
| 2. გაგრა | 24 | 16 | 4 | 4 | 46-10 | 52 |
| 3. ოლიმპი | 24 | 13 | 4 | 7 | 37-28 | 43 |
| 4. ზესტაფონი | 24 | 11 | 7 | 6 | 43-31 | 40 |
| 5. დინამო | 24 | 10 | 10 | 4 | 24-22 | 40 |
| 6. მგლები | 24 | 11 | 5 | 8 | 35-21 | 38 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 24 | 11 | 3 | 10 | 34-30 | 36 |
| 8. ბორჯომი | 24 | 10 | 2 | 12 | 25-25 | 32 |
| 9. ამერი | 24 | 6 | 5 | 13 | 19-35 | 23 |
| 10. სიონი | 24 | 4 | 5 | 15 | 22-49 | 17 |
| 11. სპარტაკი | 24 | 3 | 7 | 14 | 15-45 | 16 |
| 12. მესხეთი | 24 | 0 | 4 | 20 | 4-61 | 4 |

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი. XXVIII ტური

**ვიტ ჯორჯია 2-ამერი 0:1**

0:1 სუხიაშვილი (54)

*ვიტ ჯორჯია:* ღურბელეიშვილი, გოგიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, იოსელიანი (67. ვეკუა), მაისაშვილი, ვასაძე, ჯანელიძე, სვანიძე (63. ხოკერაშვილი), როსტიაშვილი (63. ზაქრაძე).

*სათადარიგოები:* ლანიაშვილი, ფურცელაძე, დათუნაშვილი, ეზიეშვილი

*მწვრთნელი:* მერაბ კოჭლაშვილი.

*ამერი:* ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, გ. ნადირაშვილი, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ჩიმაკაძე (77. ნ. ქებაძე), ტიკურიშვილი (50. სანიკიძე), ბენდელიანი, სუხიაშვილი (69. ცხოვრებაშვილი), ჯანელიძე.

*სათადარიგოები:* გვენცაძე, სილაგავა, ლაფერაშვილი, ბოჯგუა

*მწვრთნელი:* გიორგი ჩიხრაძე.

*გაფრთხილება:* კასრაძე, ცხოვრებაშვილი, სანიკიძე.

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია

**პერეთი-თბილისი 3:1**

0:1 კბილცეცხლაშვილი (31), 1:1 წვერავა (5), 2:1 ბ. ფოფხაძე (53), 3:1 ტაბატაძე (84).

*პერეთი:* ჭალიაშვილი, მაჭარაშვილი, წვერავა, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, ოქრუაშვილი, ყორღანაშვილი, ტაბატაძე, თანდაშვილი, ყაველაშვილი (83. ვ. კურტანიძე), ბ. ფოფხაძე (84. რეხვიაშვილი).

*სათადარიგოები:* კ. კურტანიძე, თაბუკაშვილი, გვარაძე, აბაშიძე, კობერიძე

*მწვრთნელი:* კარლო წვერავა

*თბილისი:* გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, გოგოხია, კბილცეცხლაშვილი, ხოხონიშვილი, ზვიადაძე, ტორონჯაძე (74. ბროლაძე).

*სათადარიგოები:* გედენიძე, დევდარიანი, შუშიაშვილი, ოდიშარია, ჯაში.

*მწვრთნელი:* გელა გომელაური

*გაფრთხილება:* ტორონჯაძე, ბ. ფოფხაძე, ყორღანაშვილი, ტაბატაძე.

*არბიტრი:* ლ. სილაგავა

**სიონი 2-დინამო 2 1:4**

0:1 ჩადუნელი (4), 0:2 მამუჩიშვილი (8), 1:2 გაბრიჭიძე (70), 1:3 გ. ჯოხაძე (86), 1:4 სიხარულიძე (90)

*სიონი 2:* ბობლიაშვილი, გაბრიჭიძე, პატარქალაშვილი, გიორბელიძე, არღვლიანი (88. ქობულაძე), უგრეხელიძე, უგულავა, ბუბუტეიშვილი, ლ. ჩხეტიანი, გიგინეიშვილი (56. ალფაიძე), ოქროპირიძე.

*სათადარიგოები:* ბ. მესხი, ლ. ჯოხაძე, კახნიაშვილი

*მწვრთნელი:* ჯონი ჯაგიდისი

*დინამო 2:* ლოსაბერიძე, კეკელია, გეთიაშვილი, ქავთარაძე, ჩიკვაიძე, მამუჩიშვილი, მამრაში (87. გველესიანი), ჩადუნელი (51. კოპაძე), გ. ჯოხაძე, ქანთარია (75. ისიანი), სიხარულიძე.

*სათადარიგოები:* ნადირაძე, მინდორაშვილი, ზვ. ლობჟანიძე, ბოლქვაძე.

*მწვრთნელი:* დავით კეელიშვილი

*არბიტრი:* ა. კრიჭაშვილი

**კახეთი-ჩიხურა 0:3**

0:1 ქამუშაძე (18), 1:2 მიქაძე (20), 1:3 მიქაძე (63)

*კახეთი:* კობიაშვილი (81. ბორჩაშვილი), ხამხაძე (81. ლებანიძე), მეგუთნიშვილი, ტარუღაშვილი, გერგიშვილი, იმერლიშვილი, ხუციშვილი (46. ნინიკელაშვილი), გენგაშვილი, ხუროშვილი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი.

*სათადარიგოები:* ჭურღულიშვილი, ი. კობაიძე.

*მწვრთნელი:* გივი კობაიძე.

*ჩიხურა:* დოლაძე, დოლონაძე, ბარაბაძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ლ. ჩიკვაიძე, ქამუშაძე (46. ჭილლაძე), დეკანოიძე, მიქაძე (65. ენუქიძე), კობახიძე (60. როგავა).

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, პეტრიაშვილი, ცარციძე.

*მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

*გაფრთხილება:* ჭილლაძე

*არბიტრი:* მ. ურუშაძე

**გაგრა 2-დილა 3:1**

0:1 ანდღულაძე (29), 1:1 მოსიაშვილი (48), 2:1 თუხარელი (74), 3:1 ოქრიაშვილი (79)

*გაგრა:* ა. კოტრიკაძე, სეფიაშვილი, ლ. ქანთარია, ლ. კალანდაძე, გედენიძე, მოსიაშვილი, კილაძე (87. ბაგალიშვილი), თუხარელი, გავაშელიშვილი (84. ყიფიანი), სეთურიძე (70. ოქრიაშვილი), ა. აბაშიძე.

*სათადარიგოები:* ნაჭყებია, მეტრეველი, ნავერიანი, დემეტრაშვილი.

*მწვრთნელი:* თეიმურაზ ჩხაიძე.

*დილა:* დგებუაძე, მეტონიძე, შარანგია, მინდიაშვილი (60. მსხვილიძე), ჩიხრაძე, ქარდავა, კანდელაკი, ბ. მაჭავარიანი (77. ფოცხვერია), ბეგლარიშვილი (82. დაჩანიძე), ანდღულაძე, გ. მეტრეველი.

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, სურმავა, ტიელიძე.

*მწვრთნელი:* პაატა მეტრეველი

*გაფრთხილება:* მეტონიძე, მინდიაშვილი, შარანგია, ჩიხრაძე, თუხარელი

*გაძევება:* თუხარელი

*არბიტრი:* ლ. კვარაცხელია

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 26 | 19 | 5 | 2 | 51-12 | 62 |
| 3. ჩიხურა | 25 | 15 | 7 | 3 | 46-16 | 52 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 25 | 15 | 6 | 4 | 41-11 | 51 |
| 4. დინამო 2 | 25 | 14 | 8 | 3 | 49-20 | 50 |
| 5. დილა | 25 | 9 | 8 | 8 | 33-25 | 35 |
| 6. თბილისი | 26 | 10 | 4 | 12 | 41-41 | 34 |
| 7. სიონი 2 | 26 | 7 | 6 | 13 | 30-57 | 27 |
| 8. გაგრა 2 | 25 | 7 | 3 | 15 | 34-51 | 24 |
| 9. პერეთი | 25 | 4 | 8 | 13 | 25-51 | 20 |
| 10. კახეთი | 26 | 3 | 6 | 17 | 17-56 | 15 |
| 11. ნ/დინამო | 24 | 2 | 7 | 15 | 23-50 | 13 |

**მომდევნო ტური**

**30 აპრილი, ხუთშაბათი**

დილა-პერეთი
ვიტ ჯორჯია 2-გაგრა 2
ნორჩი დინამო-სიონი 2
ჩიხურა-თბილისი
ამერი-დინამო 2

კახეთი ისვენებს

### დასავლეთი. XXVIII ტური

**ჭიათურა-მეშახტე 1:0**

1:0 სამხარაძე (74)

*ჭიათურა:* ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი (89. აბესაძე), სამხარაძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, ასანიძე, ნ. ტყემალაძე, შეყილაძე, თემირი მიშველიძე (88. პაპიძე), სევასტოპულო, ლაშხი.

*სათადარიგოები:* ბარათაშვილი, ტატაშიძე, რობაქიძე, იობიძე, დარბაიძე.

*მწვრთნელი:* დავით იობაშვილი.

*მეშახტე:* მემარნიშვილი (86. თევზაძე), გოგუა, მაჩალაძე, ჯიშიაშვილი, დონაძე, რ. კალანდაძე, კუტალია, გოდერიძე, ლ. ჯოხაძე, თევზაძე (70. მერკვილაძე), ავალიშვილი (71. ხაბურზანია).

*სათადარიგო:* გიზო სიჭინავა.

*მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

*არბიტრი:* პ. დოგრაშვილი

**ზესტაფონი 2-სამტრედია 0:2**

0:1 ბერუაშვილი (34-საკ. კარში), 0:2 ხაჭიპერიძე (44)

*ზესტაფონი 2:* მეშველიანი, ბერუაშვილი (50. ც. ბუკია), ხიხაძე, კაჭკაჭიშვილი, კირკიტაძე, ჭანკოტაძე, ი. ხვადაგიანი, კვირიკეიშვილი (61. ლაბაძე), კენჭოშვილი, ბერიძე (75. ხაჩიძე), ღიბრაძე.

*სათადარიგოები:* ძაძამია, არეშიძე, ჭელიძე, კვიკვინია.

*მწვრთნელი:* მალხაზ ღონღაძე.

*სამტრედია:* ი. დ. შენგელია, გოგია, თ. შალიკაშვილი, ძაგანია, კირთაძე, გუბელაძე, ბაკურაძე (67. ბეგოიძე), ეცადეიშვილი (64. ადეიშვილი), ბოხუა, ჯიქიძე, ხაჭიპერიძე (88. ნინუა).

*სათადარიგოები:* გიორგაძე, თელია, ჟღენტი, მუკბანიანი.

*მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი.

*გაფრთხილება:* ბერიძე, ხიხაძე, ბეგოიძე

*არბიტრი:* დ. ხარიტონაშვილი

**გურია-ტორპედო 1:1**

1:0 მგელაძე (25), 1:1 ქუთათელაძე (64)

*გურია:* კეკელიძე, გოგიბერიძე, ქურიძე, იმნაიშვილი, შენიროლი, კილაძე, კუკულაძე, ჯაყელი, უგლავა, ს. ურუშაძე (84. ლ. ციკოლია), მგელაძე.

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ლ. ჯორბენაძე, ცინცაძე, ფირცხალაიშვილი.

*მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, ვაჩიბერაძე, ნუცუბიძე, ჭანკვეტაძე, ბიბილაშვილი, ჩიხლაძე (34. მ. კობერიძე), ლ. კირკიტაძე (90. ხაბურძანია), ლომაშვილი, ბ. ჩხეტიანი, იმედაძე, ქუთათელაძე (80. ცაგარეიშვილი).

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, ღლონტი.

*მწვრთნელი:* იოსებ ბზიკაძე

*გაფრთხილება:* შენიროლი, კუკულაძე, ქურიძე

*გაძევება:* ბიბილაშვილი

*არბიტრი:* ვ. გუმბერიძე

**მარტვილი-ბაია 2:1**

1:0 ლომიძე (17), 1:1 პაჭკორია (37), 2:1 ლ. ტორაძე (41)

*მარტვილი:* ქვილითაია, ფარცვანია, ჩხიკვაძე, ლომიძე, კვიტატიანი, წოწორია, ილურიძე, ჩომახიძე (78. დ. თოდუა), ჩალაძე, ლ. ტორაძე (64. ძველაია), ციცხვაია (89. ა. ნოზაძე).

*სათადარიგოები:* ო. ტორაძე, ენდელაძე, არდაშელია, შეროზია.

*მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

*ბაია:* ზარქუა, კვეკვესკირი, პაჭკორია, გ. ჟვანია, ძალამიძე (46. რაფავა), სიხარულია (74. გუგუჩია), ეხვაია (79. დ. კუტალია), ვართაგავა, წურწუმია, ქირია, სვირავა.

*სათადარიგოები:* ჯალაღონია, ნ. შონია, კ. შონია, აფაქიძე.

*მწვრთნელი:* ელგუჯა ქომეთიანი

*გაფრთხილება:* ილურიძე, ფარცვანია, წურწუმია

*გაძევება:* პაჭკორია

*არბიტრი:* ო. ხეცაძე

**კოლხეთი (ფ)-ბათუმი 0:0**

*კოლხეთი:* გ. შენგელია, თურქია, ცხვიტარია, ღვანია, გაბუნია (28. გეგელია), გულუა, აბურჯანია, გოგონაია, გვიჩია (79. ვახანია), გვალია, ნიქარიშვილი.

*სათადარიგოები:* ჩემია, ჯახია

*მწვრთნელი:* ზაზა ინაშვილი

*ბათუმი:* მამინაშვილი, სამსეიშვილი, ფარტენაძე, ბეგლარ თედორაძე, ლ. რამიშვილი, გ. გოგიტიძე, ზვ. ლობჟანიძე, დემურაძე, მ. ჯორბენაძე (55. ზოიძე/65. ლ. კალანდაძე), გრიგალაშვილი (58. ბ. მახარაძე), ტულუში.

*სათადარიგოები:* კაკალაძე, გოგიტაური, მალაზონია, მამეიშვილი.

*მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე.

*გაფრთხილება:* გრიგალაშვილი, აბურჯანია

*არბიტრი:* გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 26 | 19 | 2 | 5 | 53-20 | 59 |
| 2. ბაია | 26 | 17 | 5 | 4 | 51-16 | 56 |
| 3. მარტვილი | 25 | 15 | 6 | 4 | 35-19 | 51 |
| 4. კოლხეთი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-32 | 36 |
| 5. ჭიათურა | 26 | 11 | 2 | 13 | 34-39 | 35 |
| 6. ტორპედო 2008 | 25 | 10 | 3 | 12 | 25-20 | 33 |
| 6. ხობი | 25 | 10 | 3 | 12 | 26-39 | 33 |
| 8. ბათუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-37 | 30 |
| 9. გურია | 26 | 8 | 5 | 13 | 33-45 | 29 |
| 10. ზესტაფონი 2 | 25 | 6 | 6 | 13 | 22-35 | 24 |
| 11. მეშახტე | 25 | 2 | 4 | 19 | 14-53 | 10 |

**მომდევნო ტური**

**30 აპრილი, ხუთშაბათი**

მეშახტე-მარტვილი
ზესტაფონი 2-ჭიათურა
ხობი-გურია
ბათუმი-ბაია
სამტრედია-ტორპედო 2008

კოლხეთი ისვენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ჩაწყობილ მატჩებზე

# ვის უყვარს კომბოსტო და სტაფილო?

## ეშმაკი და ათი მცნება



ჩაწყობილი თუ გარიგებული თამაშების თემა რატომღაც ახლა გახდა ძალიან აქტუალური. არგუმენტი ასეთი შეიძლება იყოს - სეზონის ბოლოა და მაიმუნობებმა ამიტომაც იმატაო. კეთილი, მაგრამ შარშანდელ სეზონს არ ჰქონდა ბოლო? რატომ მაშინ არ მოისურვა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა შეკრება და ამ პრობლემაზე ჭმუნვა? და განა მარტო შარშანდელი სეზონი? ეროვნული ჩემპიონატის დასაბამიდან დღემდე ჩაწყობილი მატჩები ულევად მოედინება, ოღონდაც, როგორც ყველა კარგ თუ ცუდ საქმეში, განსხვავება აქაც მასშტაბებშია...

ახლა საფეხბურთო ოპოზიციაც გააქტიურდა. ისე, სიზუსტე ოპოზიციასაც მოეთხოვება. გარიგებული მატჩების ხსენებისას თითს უმეტესობა ფეხბურთის ფედერაციისკენ იშვერს. ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას პროფესიული ფეხბურთის ლიგა ატარებს და არა ფედერაცია, თუმცა პროფლიგა ფედერაციის სუბიექტია. პროფლიგის სუბიექტები კი თასსა და ჩემპიონატში მოთამაშე გუნდები არიან. ახლა ისიც ვიკითხოთ - ვის აწყობს ის მაიმუნობა, რაც ჩემპიონატისა და თასის მატჩებში ხდება? ეს რომ კლუბებს არ აწყობდეთ, როგორ გგონიათ, არ გადააყენებდნენ პროფლიგის ხელმძღვანელობას? ამ ორგანიზაციის პრეზიდენტსაც ხელისუფლება ხომ არ ნიშნავს, მავანმა რაღაც რგოლები რომ ააგოს? სხვათა შორის, ოპოზიციისთვის პროფლიგა და მისი პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** თითქმის ტაბუდადებული თემაა. ამავდროულად, რამიშვილი ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტია, ანუ - **ნოდარ ახალკაცის** თანაგუნდელი. აკრიტიკებენ ახალკაცს, გენერალურ მდივანს, ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძეს**, რამიშვილზე კი ოპოზიცია კრინტს ვერ ძრავს და კითხვის დასმის საშუალებას გვაძლევს - ვის ეგემრიელება კომბოსტო და სტაფილო?

პროფლიგა ჯერ კიდევ მაშინ შეიქმნა, ფედერაციის პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** რომ იყო. ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კომერციალიზაცია - რამიშვილის თაოსნობით პროფლიგამ ამ მიმართულებით მართლაც იმუშავა და ამის არდანახვა უმადურობა იქნებოდა. კომერციალიზაციის ელემენტებმა ჩვენს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას პრესტიჟი ჯერ ვერ აუმაღლა, ფინანსურადაც დიდად ვერ ეხმარება კომერციული პროექტები გუნდებს, მაგრამ რაღაც თანხა მაინც შედის კლუბების ბიუჯეტებში. კლუბებს არასდროს არ დაუყენებიათ დღის წესრიგში პროფლიგის ხელმძღვანელობის შეცვლა, კლუბები ამ ხალხს ენდობიან და აწყობთ მათთან თანამშრომლობა.

მაშ, ყველაზე მეტად ვის აწყობს ის უმსგავსობა, რასაც ჩაწყობილი თამაშები ჰქვია? პირველ რიგში კლუბებს, რომელთათვისაც თამაშის ჩაწყობა გაჭირვების ტალკვესია. მაგრამ ფედერაცია-პროფლიგის სახით ჰყავთ კი კლუბებს მაკონტროლებელი ორგანო? აქ უნდა იკვეთებოდეს მათი გზები, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ ჩანს. აქაც რაღაც შიშებთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგალითად, ახლა „ვიტ ჯორჯია" და „ოლიმპი" რომ დაესაჯათ, ამ გუნდების წარმომადგენლები გუდას პირს მოხსნიდნენ და იმ ყველაფერს ლიად იტყოდნენ, რაც აქამდე ხდებოდა, რასაც აქამდე სხვა გუნდები აკეთებდნენ...

და პროფლიგა-ფედერაციაც ძალზე უხერხულ სიტუაციაში ჩავარდებოდა - ვინ იცის, რამდენი ტყუილი თუ ძალად ჩემპიონი ან თასის ამწევი აღმოუჩნდებოდა მათი ეგიდით გამართულ ტურნირებს...

*თაღლითობები კი გრძელდება. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა ხერხებით ხდება გარიგება. აქ 10 ტექნოლოგიაა მოყვანილი. არ დავიჟინებთ, რომ მხოლოდ ამ ტექნოლოგიებით ხდება მაიმუნობები, უბრალოდ, ეს ყველაზე გავრცელებული მეთოდებია.*

**1** როგორც ერთ, ისე მეორე გუნდში ყველამ ყველაფერი იცის. გარიგება ეყრდნობა, ასე ვთქვათ, კაცურ შეთანხმებას - დღეს მე მომაგებინე, ხვალ კი, შენ რომ დაგჭირდება, მე მოგაგებინებ. ასეთ დროს ხშირია, როცა ორივე გუნდი ერთ საერთო „მტერს", მესამე გუნდს ექიშპება. ეს „მტერი" მათ ყელში ეჩხირებათ და ერთმანეთს ეკვრებიან. ასეთი გარიგება ნაღდი საქმეა, ეს „კაცურ" რამედ ითვლება, რადგან ვალს არც ერთი გუნდი არ შეირჩენს. ეს გარიგების მოძველებული ფორმაა, თუმც ჯერაც გამოყენებაშია.

**2** ერთი გუნდი ქრთამავს მეორე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს, მეტწილად - მცველებს ან მეკარეს. ეს ხშირად იმ გუნდის მწვრთნელის დახმარებით ხდება, რომელმაც უნდა წააგოს. როცა საქმეში მწვრთნელიცაა გარეული, გარიგება უფრო სოლიდური და საიმედოა. ცხადია, წაგებული გუნდის ყველა ფეხბურთელმა არ იცის, რაც სინამდვილეში ხდება.

**3** ერთი გუნდი მეორეს ამარცხებს და გამარჯვებულ გუნდში მწვრთნელმაც კი არ იცის, რომ ჩაწყობილი თამაში მოიგო. გარიგება ძალიან მაღალ დონეზე გაიჩარხა. ასეთი რამ უფრო მაშინ ხდებოდა, როცა გამარჯვებული გუნდის უკან მძლავრი სახელმწიფო სტრუქტურა იდგა - ასეთ დროს წარმატებული თაღლითობა 100 პროცენტით გარანტირებული იყო.

**4** ყველაზე სასაცილო და, ამავე დროს, დრამატული თაღლითობა, ფართოდ გავრცელებული იყო 2001-2004 წლებში. ერთი გუნდი არის ძალიან მდიდარი სხვებთან შედარებით და ეთამაშება ისეთ მეტოქეს, მისი უშუალო კონკურენტი რომ არ არის. მდიდარი გუნდის თითოეულ ფეხბურთელს მოგებისთვის პრემია აქვს დაახლოებით 1000 ლარი. ბიჭები ფიქრდებიან და ნაღდ საქმეზე მიდიან: 300-400 ლარს ჰპირდებიან ღარიბი გუნდის ფეხბურთელებს, იგებენ თამაშს, იღებენ 1000-1000 ლარს და 300 თუ 400 ლარს უნაწილებენ ღარიბებს, რომლებმაც მდიდრებს თავი არ შეაკლეს და ფეხებში არ ურტყეს. მდიდარი კლუბის პრეზიდენტი კი ტყემალზე ზის - ჰგონია, რომ მისმა გუნდმა ნაღდ ბრძოლაში გაიმარჯვა და პრემიასაც არ იშურებს. გაბითურებული პრეზიდენტის დრამა - სხვა რა უნდა ვუწოდოთ ამ ყველაფერს?

**5** იქრთამება მსაჯი, მაგრამ ეს ყოველთვის კლუბის პრეზიდენტისგან არ მოდის. მწვრთნელი ფეხბურთელებთან ასეთი ინიციატივით გამოდის - გადამწყვეტი თამაშია, მსაჯის ფაქტორი უნდა დავაზღვიოთ, რისთვისაც რამდენიმე ათასი დოლარია საჭირო. ფეხბურთელები ფულს კრებენ, თანხა მსაჯამდე მწვრთნელს მიაქვს და ფეხბურთელებს ეჭვი უჩნდებათ, რომ თანხის ნაწილს მწვრთნელი იჯიბავს. მსაჯი პირობას დებს, რომ არ „დაწვავს" ამ გუნდს, საკამათო სიტუაციაში მის მხარეს დაიჭერს, მაგრამ ვერ გამოიგონებს პენალტს და თუ, მაგალითად, აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა გოლის გასატანად შემართული ამ გუნდის თავდამსხმელი, ასეთ „ოფსაიდს" ვერ „გაატარებს". მოკლედ, მსაჯი აშკარად ვერ მიუდგება ფულის გადამხდელ გუნდს, მასაც თავისი უფროსები ჰყავს და მათთან თავის მართლების საშუალება უნდა შერჩეს.

**6** ძალიან პრიმიტიული მეთოდი. მდიდარი კლუბის პრეზიდენტი ჩამოდის ფულს ღარიბი კლუბის ყველა ფეხბურთელისთვის.

**7** ერთი კლუბის პრეზიდენტი ფულს აძლევს მეორე კლუბის პრეზიდენტს, რომელსაც მაჩანჩალა გუნდი ჰყავს. მეორე კლუბის პრეზიდენტი ამ ფულს არ უნაწილებს თავის ფეხბურთელებს - ეს უდღეურები ისედაც წააგებენ, მთელი თანხა მე უნდა დამრჩესო. მაგრამ „ამ" პრეზიდენტის ტვინი ვერ ითვალისწინებს ერთ რამეს - დამკვეთი გუნდის მოთამაშეები მოშვებულები გადიან მოედანზე, რამეთუ შეიტყვეს, რომ მათმა საყვარელმა პრეზიდენტმა ფული უკვე დახარჯა მეტოქის მოსაქრთამად. მაჩანჩალა გუნდი კი იბრძვის, გააქვს გოლები და მეორე ტაიმის მეორე ნახევარში პირველი გუნდი ხვდება, რომ მაჩანჩალა „არ უწვება". ქრთამის ამღები ორივე გუნდის ფეხბურთელებისგან ნაგინები პრეზიდენტი იძულებულია, ფული დამკვეთს დაუბრუნოს - ასეთიც მომხდარა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

**8** მდიდარი კლუბი დაინტერესებულია, იყოლიოს სატელიტი გუნდები. შედარებით ღარიბ კლუბს ვითომ იჯარით უთმობს რამდენიმე კარგ ფეხბურთელს, სანაცვლოდ კი იღებს გარანტიას, რომ ჩემპიონატის ყველა წრეში ამ გუნდს უპრობლემოდ მოუგებს. მდიდარი კლუბი ასეთ შეთავაზებას არა ერთ გუნდს უკეთებს. ასეთი მეთოდი განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული წინა სეზონში.

**9** თასზე მე გამიშვი, ჩემპიონატში შენ გაგიშვებ - გარიგება ხდება დაახლოებით ერთნაირი ფინანსური და ადამიანური რესურსის მქონე კლუბებს შორის. ასე იყო შარშან, ასე მოხდა წელს. ეფექტური მეთოდია, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი იცის.

**10** ტოტალიზატორი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზეც იღებს ფსონებს. ტოტალიზატორი ყველა ვარიანტში მოგებული რჩება, მას ყველაფერი გათვლილი აქვს და მორიგ სატყუარას უგდებს ფსონის დამდებს, რომელთა შორის არიან ისეთი ფეხბურთელები ან მწვრთნელები, საკუთარი გუნდის რაგინდარა შედეგზე რომ დებენ ფულს და შევსებული ბილეთის მიხედვით იქცევიან მოედანზე...

დავით თავართქილაძე

---

ქართველები სკონტოში



# დავით გამეზარდაშვილი: ძალიან გულნატკენი ვარ...

რიგის „სკონტომ" ლატვიის ჩემპიონატის მორიგ ტურში კონკურენტ „ვენტსპილსთან" 1:3 წააგო. პირველი გოლი გამარჯვებულთაგან ზურაბ მენთეშაშვილმა გაიტანა. რიგის „სკონტო" მოედანზე კაპიტნის სამკლავურით დათო გამეზარდაშვილმა გაიყვანა. „ბაიანო" დიდი ხანია „სკონტოს" კაპიტანია, მაგრამ წინა ტურში რიგელები მოედანზე სხვა ფეხბურთელმა გაიყვანა. კაპიტნობის ჩამორთმევა-დაბრუნების მიზეზი გაუგებარი იყო და დათოს გუშინ ამის გასარკვევად დავუკავშირდით.

**- დავით, ერთი კვირის წინათ გავიგეთ, თითქოს „სკონტოს" კაპიტნობიდან მოგხსნეს...**

- კაპიტნობიდან არავის მოვუხსნივარ, უბრალოდ, წინა ტური ერთადერთი გამონაკლისი იყო. „სკონტოს" ხელმძღვანელობასა და მწვრთნელთან პატარა უსიამოვნება მომივიდა და... როგორც მითხრეს, ეს სასჯელი იყო.

**- უსიამოვნება რატომ მოგივიდა?**

- ფეხბურთი ემოციური თამაშია და ერთმანეთს შევყევით... ვუთხარი - თუ არ გინდათ, სულ არ მინდა კაპიტნობა-მეთქი! წინა ტურის შეხვედრის შემდეგ კი მთავარი მწვრთნელი პოლ ეშვორტი მოვიდა და რუსულად მითხრა - შენ ისევ ჩვენი კაპიტანი იქნებიო. ისე კი, ამ მწვრთნელის ხელში „სკონტო" საკმაოდ დასუსტდა - რამდენი ხანია, ჩემპიონები აღარ ვყოფილვართ და ახლაც, კონკურენტ „ვენტსპილსთან" მნიშვნელოვანი შეხვედრა წავაგეთ. ძალიან რბილი ადამიანია, რის გამოც, გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებს. ეს არის ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი.

**- ლატვიაში თამაშს როდემდე აპირებ?**

- შემიძლია ვთქვა, რომ „სკონტოში" ბოლო სეზონს ვატარებ. ახალ კონტრაქტს მთავაზობენ, მაგრამ, ალბათ, აღარ გავჩერდები. დროა, ძალები უკეთეს გუნდში მოვსინჯო. იმედი მაქვს და ვნახოთ, რა გამოვა. თუმცა ნაკრებში უთამაშებლობა ხელს მიშლის. მაგრად მატკინეს გული. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს ერთხელაც არ მომცემდნენ?!

**- ნაკრებში ყველას ხომ არ ათამაშებენ? ამ ეტაპზე მწვრთნელი სხვა ფეხბურთელებს ენდობა...**

- საქართველოს ჩემპიონატიდან მართლა ნიჭიერ ბიჭებს თუ იძახებენ, ლატვიის ჩემპიონატი უარესი ნამდვილად არ არის. ლადო დვალიშვილი აქაური პირველობის ბომბარდირია, სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და თითქოს არც არსებობდეს ასეთი ფეხბურთელი, ვინმე ყურადღებას აქცევს? ბოლოს და ბოლოს, წაგებით ჩვენც წავაგებთ, მაგრამ ერთხელ ხომ შეიძლება გვნახონ და შეგვაფასონ.

**- კუპერმა „სამშაბათობაზე" ხომ განახა?**

- ...და ერთი ვარჯიშით დამიწუნა? საქართველოში ვთამაშობდი და ვიცოდი, რომ უცხოეთში წაუსვლელად ნაკრებში არავინ მათამაშებდა. მერე ლატვიაში წავედი, გუნდის კაპიტანი გავხდი, ვიფიქრე, ლეგიონერს მაინც მიმიწვევენ-მეთქი, მაგრამ ამ ოცნებაში ლამისაა კარიერა დავამთავრო. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.

**- ტოპმიოლერივით კუპერს ვერავინ დასწამებს, რომ არ მუშაობს და ნაკრებში სატრანსფერო ინტერესები გააჩნია...**

- არა, ამას როგორ ვიტყვი?! მაგრამ ერთი შანსი არ მოუცია და გულიც არ დამწყდეს?

**- დავით გამეზარდაშვილს „რევაზ ძოძუაშვილის ფეხბურთელად" მიიჩნევენ. ეს რაიმე გავლენას ახდენს შენს კარიერაზე?**

- არ მგონია. ისე, საინტერესოა - „ძოძუაშვილის ფეხბურთელობა" ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ ნაკრებში არ უნდა მიმიწვიონ? კაცმა ლატვიაში წამიყვანა და უარი მეთქვა?! ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს ვუგულშემატკივრებ, მაგრამ ყოველი შეხვედრის შემდეგ „სკონტოს" ვარჯიშზე მისვლა მრცხვენია. ბევრი ლეგიონერი გვყავს - ბრაზილიელი, რუსი, აფრიკელი, მწვრთნელი ინგლისელია და სანაკრებო შეხვედრების შემდეგ ყველა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდზე ლაპარაკობს, მე და ლადოს კი სალაპარაკო არაფერი გვაქვს, სამწუხაროდ...

» 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები სკონტოში

## ლადო დვალიშვილი:
# საქართველოში პროფესიონალი როგორ გახდები?!

4 «

ლატვიის ჩემპიონატის 6 ტურის შემდეგ „სკონტოს“ თავდამსხმელ ლადო დვალიშვილს 6 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა სიის სათავეშია მოქცეული. ბოლო ტურში მან გოლი ვერ გაიტანა, პლუს ამას, კონკურენტთანაც დამარცხდა. დვალიშვილი ამას ძალიან განიცდის:

- სიმართლე გითხრათ, „ვენტსპილსმა“ გვაჯობა. თავიდან თანაბარი თამაში იყო, მაგრამ... ჩვენმა მეკარემ ნაგვაგებინა, გაგვაგიჟა პირდაპირ! პირველი გოლი ზურაბ მენთეშაშვილმა გაგვიტანა. დარტყმა ძნელი ასაღები არ იყო, მაგრამ მეკარემ მაინც გაუშვა. ბოლო ტურებში მან დაგვალალატა და არც ვიცი, ასე რას მივაღწევთ. ცუდი მეკარით ძლიერი გუნდი როგორ გეყოლება? მენთეშაშვილმა კი მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა. ძალიან დაბოლმილი ვარ, მდგომარეობიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვედი.

**- პირადად შენზე ვილაპარაკოთ. ჩემპიონატის ბომბარდირობა იმაზე მიუთითებს, რომ ლატვიურ ფეხბურთს უკვე შეეგუე...**

- შეგუება ახალ გუნდს სჭირდება, თორემ თავად ჩემპიონატთან ადაპტაცია რთული არ იყო. წელს 6 შეხვედრაში 6 ბურთი გავიტანე, 2 საგოლე გადაცემა დავაგროვე და ერთი 11-მეტრიანი მოვიპოვე. ლატვიური ფეხბურთის გარემო და სავარჯიშო სისტემა ჩემთვის მისაღები აღმოჩნდა. საქართველოში ეს მაკლდა სწორედ. რატომღაც, თავს კარგად ვერ ვგრძნობდი. ხომ იცით, რა სტადიონებიც გვაქვს ან რა პირობებია, თავი ფეხბურთელად როგორ უნდა იგრძნო?! გუნდებს კვებისა და ტრანსპორტის ფული არ აქვთ და ასეთ პირობებში პროფესიონალი როგორ უნდა გახდე? კიდევ კარგ დროს წამოვედი. ლატვიაში კარგი მოედნებია, კაცსაც მოატყუებ და სწრაფადაც ითამაშებ. ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ცუდ მოედანზე თანამედროვე ფეხბურთს ვერ ითამაშებ, გამორიცხულია!

**- მართალია, რომ ფინანსურმა კრიზისმა ლატვიური კლუბები გაკოტრების პირას მიიყვანა?**

- ბევრს გაუჭირდა, მაგრამ დღემდე არავინ გაკოტრებულა. ღარიბი კლუბები ლატვიაშიც არიან, მაგრამ მეტ-ნაკლებად ფული ყველას აქვს. აქ რომ თქვა - კლუბი ხელფასს ვერ იხდის, ბურთი, ბუცები, ეკიპირება და ფეხბურთელებისთვის საკვები არ აქვსო, ხუმრობად ჩათვლიან. ღარიბი კლუბი ცოტას, მაგრამ დროულად იხდის. საქართველოს ზოგიერთ კლუბს კი ხელფასები თვეებია, არ გაუცია, მათი უმრავლესობა მოთამაშეს ოპერაციის ფულსაც არ უხდის. ალბათ, ამას „დინამო“, „ზესტაფონი“ და „ვიტ ჯორჯია“ თუ ახერხებენ. ხშირად, ხელმძღვანელობას ეხვეწებიან - ოპერაცია გამიკეთეთო. ლატვიაში კი ამის შეხსენებაც არ სჭირდებათ, იციან, რომ ეს კლუბის ვალდებულებაა.

**- ფინანსურად ბევრად გვისწრებენ?**

- ამათი ფინანსები ქართულ კლუბებს მართლაც არ აწყენდა, მაგრამ ფული არ არის მთავარი. მათი ფული და პროფესიონალიზმი რომ მოგვცა, ბევრით გავასწრებდით. ნიჭით ლატვიელებსაც ვჯობივართ და რუსებსაც, ამას თავადაც აღიარებენ... დარწმუნებული ვარ, ქართველებს დიდი ფეხბურთის თამაში შეგვიძლია. მაგრამ რად გინდა - არც პირობები გვაქვს და არც საქმისადმი სწორი მიდგომა.

**- ალბათ, წელს მიზნად ლატვიის ჩემპიონატის ბომბარდირობა დაისახე...**

- რა თქმა უნდა! ჩემპიონობისთვის მებრძოლი, ამბიციური გუნდის თავდამსხმელს მეტი რა მოეთხოვება?

**მერაბ მამულაშვილი**



ლეგიონის უქმეები

# პირველად ქეცბაიას გარეშე

## ცხრაგზის ვაჟა



ვაჟა თარხნიშვილი



ზურაბ მენთეშაშვილი (№10)

პირველად 2002 წლის შემდეგ „ანორთოსისი“ ისე გავიდა მოედანზე, რომ მასთან **თემურ ქეცბაიას** აღარაფერი აკავშირებს, არც ფეხბურთელობა და არც მწვრთნელობა. კვიპროსის პირველი დივიზიონის მორიგ ტურში გუნდი **მიხალის პამბორისმა** გაიყვანა. „ანორთოსისმა“ აპოელ-ს უმასპინძლა, 1:1 დაუზავდა და ჩემპიონის ტიტულიც ოფიციალურად გადააბარა მეტოქეს. აპოელ-ი 79 ქულით უკვე მიუღწეველია, ქეცბაიას ყოფილი გუნდი კი მე-3 ადგილით დაკმაყოფილდა. **კლიმენტი წიტაიშვილი** არც ქეცბაიას დროს ჩანდა გუნდში, მწვრთნელის ცვლილებამ მას არ არგო. მეორე ოთხეულში „ეთნიკოსი“ შინ 2:4 დამარცხდა „აპოლონთან“. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლევან ქებაძემ**, გარკვეული პაუზის შემდეგ სტუმართა რიგებში გამოჩნდა **ლევან მაღრაძე**. „აპოლონმა“ უკვე გაინაღდა მე-5 ადგილი, „ეთნიკოსი“ 41 ქულით მე-6 ადგილზეა.

ბელარუსის ჩემპიონატში მე-4 ტურის მატჩები გაიმართა. ჟოდინოს „ტორპედომ“, სადაც **ნუკრი მანჩხავა** გადავიდა, სტუმრად სოლიგორსკის „შახტიორი“ დაამარცხა - 1:0. ნუკრიმ შეუცვლელად ითამაშა სტუმართა რიგებში. „ტორპედო“ 9 ქულით მეორე ადგილზეა და მხოლოდ ჩემპიონ ბატე-ს (12 ქულა) ჩამორჩება. სამაგიეროდ, ცუდად ასპარეზობს მანჩხავას ყოფილი გუნდელის, **გივი კვარაცხელიას** „მტზ-რიპო“. მინსკელები ბრესტში „დინამოსთან“ 0:1 დამარცხდნენ. კვარაცხელიამ სრულად ითამაშა, მეორე ტაიმში მან ყვითელი ბარათი მიიღო. „მტზ-რიპო“ 6 ქულით მე-7 ადგილზეა.

ფინეთში სტარტი აიღო რანგით მეორე, იკონენლიგამ. ამ ჩემპიონატში ერთი ქართველი ლეგიონერია, 21 წლის **ირაკლი ციკოლია**. სოხუმელ ფეხბურთელს, უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრებშიც აქვს ნათამაშები, თუმცა ფინეთში ის ქართველ ლეგიონერად ითვლება. მცველი უკვე მე-4 სეზონია ფინეთშია, ამ სეზონში იგი ტპ-47-ის ღირსებას იცავს. პირველ ტურში ციკოლიას გუნდი „კიისტოსთან“ გასვლით მატჩში 0:2 დამარცხდა. 55-ე წუთზე მან ყვითელი ბარათი მიიღო.

ლეუმითლიგაში ლიდერმა ჰაიფას „ჰაპოელმა“ შინ 3:0 დაამარცხა „ბნეი ლოდი“. თამაშის მე-12 წუთზე ანგარიში **ირაკლი გეფერიძემ** გახსნა, მან შეუცვლელად ითამაშა. ირაკლის 11 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში ლიდერ **ოჰად კადუსის** მხოლოდ 2 გოლით ჩამორჩება. მისმა „ჰაპოელმა“ კი უმაღლესის საგზურში წინა ტურში გაინაღდა.

ლატვიურ ვირსლიგაში შესანიშნავი სტარტის შემდეგ „სკონტოს“ ცუდი დროება უდგას, რიგელები ამჯერად შინ დამარცხდნენ ჩემპიონ „ვენტსპილსთან“ - 1:3. ამ შეხვედრაში სკონტოელმა **დავით გამეზარდაშვილმა** დაიბრუნა კაპიტნის სამკლაური, ითამაშა **ლადო დვალიშვილმაც**, მაგრამ მოვლენების ეპიცენტრში ამჯერად ვენტსპილსელი ქართველი **ზურაბ მენთეშაშვილი** იყო - საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა მე-12 წუთზე 25 მეტრიდან გახსნა ანგარიში. ეს მისი მე-2 გოლია ჩემპიონატში. ტურნირში 6 გოლის გამტანი დვალიშვილი კი უჩვეულოდ პასიური იყო. ზურა 59-ე წუთზე გააფრთხილეს, 81-ეზე კი შეცვალეს. **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა“ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა, 1:0 დაამარცხა „დაუგავა“. **ირაკლი ქორთუა** სათადარიგო იყო, ის მოედანზე მე-12 წუთზევე გამოვიდა. „ვენტსპილსი“ 17 ქულით პირველია, „სკონტო“ 12-ით - მესამე, „დინაბურგი“ 5 ქულით მე-7 ადგილზეა.

ლიტვის A ლიგაში ძმები **ჭილლაძეების** „ტაურასი“ შინ „ეკრანასთან“ დამარცხდა - 0:1. **დავით ჭილლაძე** მოედანზე 74-ე წუთზე გამოჩნდა. „ტაურასი“ 4 ტურის შემდეგ უქულოდ ბოლო ადგილზეა.

მოლდოვაში კიდევ ერთ ტიტულს შესწვდა **ვაჟა თარხნიშვილი**. 37 წლის მცველმა „შერიფთან“ ერთად ვადამდე გაიფორმა ჩემპიონობა, რაც აღარავის უკვირს, ტირასპოლელები ხომ ერთი თავით სჯობნიან კონკურენტებს. „შერიფმა“ სტუმრად „ნისტრუ“ 3:0 დაამარცხა. უბერებელმა თარხნიშვილმა შეუცვლელად ითამაშა. ის მეცხრედ გახდა მოლდოვის ჩემპიონი. „შერიფს“ 68 ქულა აქვს და „დაჩიას“ 15 ქულით უსწრებს. „დაჩია“ ბენდერიში „დინამოსთან“ 1:2 დამარცხდა. სტუმართა ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე **ჯაბა დვალმა** გაიტანა. დვალმა 90 წუთი ითამაშა, ისევე როგორც **კახა მჟავანაძემ**, **ლევან კორლალიძე** კი არ გამოჩენილა. დვალს გატანილის გარდა კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ქართველმა ფორვარდმა მეტჯერ ვერ ივარგა. ჯაბამ ნაციონალურ დივიზიონში 12 მატჩში 7 გოლი გაიტანა, სეზონის დიდი ნაწილი კი ფეხის მოტეხის გამო გამოტოვა.

სერბული სუპერლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა ნოვი სადის „ვოივოდინამ“ მოულოდნელად ქულები დაკარგა „იავორთან“ საშინაო მატჩში - 0:0. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში არსად ჩანს „ვოივოდინას“ ქართველი შემტევი **მიხეილ ხუციშვილი**, მას არც ამჯერად უთამაშია. „ვოივოდინა“ 50 ქულით მეორე ადგილზეა. ბოსნიაში **ლევან კუტალიას** „სლავია“ სტუმრად „ჩელიკთან“ 0:2 დამარცხდა. ქართველმა ნახევარმცველმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა.

უკრაინის პერშალიგაში „დინამო-2-მა“ 2:2 ითამაშა „დესნასთან“. **თემურ ფარცვანიამ** 90 წუთი ითამაშა, **ლაშა თოთაძის** დებიუტი კიეველთა შემადგენლობაში კი არადა არ შედგა.

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ფინიშამდე სამი ტურით ადრე კვლავ იბრძვის ჩემპიონობისთვის ქართველთა „ბაქი“. წინა ტურში მარცხის მერე მხოლოდ **გიორგი ადამია** ათამაშეს, **გიორგი დემეტრაძე** და **ამირან მუჯირი** განაცხადშიც არ ყოფილან. „ბაქიმ“ სტუმრად „გაბალას“ სძლია - 1:0. ადამია მატჩის მინურულს შეცვალეს. მასპინძელთა რიგებში 90-90 წუთი ითამაშეს **გოგა ბერაიამ** და **თორნიკე აფციაურმა**. „ბაქი“ „ინტერს“ საჩემპიონო რბოლაში მხოლოდ ქულით ჩამორჩება, ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს თასის ფინალშიც.

ბრინჯაოსკენ მყარად მიიწევს ზაქათალის „სიმურგი“, ამ ტურში საინგილოს გუნდმა **ბადრი კვარაცხელიას** ყოფილი გუნდი „სტანდარდი“ დაამარცხა - 3:1. ამ მატჩში ორი ქართული გოლი გავიდა, მე-20 წუთზე **დავით ბოლქვაძემ** გაიტანა, ხოლო 57-ე წუთზე სტუმარმა **დავით ჭიჭველიშვილმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ბოლქვაძემ 67-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ნაადრევად დატოვა მოედანი. **კახა ჩხეტიანმა** და **მიხეილ მახვილაძემ** 90-90 წუთი ითამაშეს მასპინძელთა რიგებში. სტუმრებში ჭიჭველიშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ლევან სილაგაძე** 77-ე წუთზე გავიდა მოედნიდან. „სიმურგი“ (50 ქულა) მესამეა და „ხაზარს“ სამი ქულით უსწრებს.

ბაქოს „ოლიმპიკი“ აუტსაიდერ „თურანთან“ 0:1 დამარცხდა. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, **რევაზ გეწაძე** სასტარტოში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, ხოლო **რომან ახალკაცი** შეცვლაზე შევიდა. „ოლიმპიკი“ 37 ქულით მეექვსეა. „ქარვანმა“ სტუმრად მოიკ-ს 3:0 აჯობა და ლიგიდან გააგდო. გამარჯვებულთა რიგებში 90-90 წუთი ითამაშეს **ალექსანდრე ინწკირველმა** და **მიხეილ მესხმა**. „ქარვანი“ 32 ქულით მე-7 ადგილზეა. **გივი ჩხეტიანის** ახალმა გუნდმა „მულანმა“ ყოფილს, „ბაქილის“ აჯობა - 1:0. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. ამ მოგებამ „მულანმა“ ფაქტობრივად შეინარჩუნა ლიგაში ადგილი.

სომხეთში **ივო შუშაკის** „მიკამ“ ვერ შეძლო „ულისეს“ დამარცხება - 0:0. ეს გუნდები 10-10 ქულით მე-3 - მე-4 ადგილებს იყოფენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბაიერნი



იურგენ კლინსმანი

# კლინსმანი გააგდეს, ჰაინკესი დანიშნეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექსპერიმენტი სახელწოდებით კლინსი, დამთავრებულია. რეკორდმაისტერს სეზონის ბოლომდე გამოცდილი დონ იუპი უთავკაცებს

როგორც მოსალოდნელი იყო, „შალკესთან" წაგების შემდეგ (0:1), მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამრიგად, კლინსიმ რეკორდმაისტერში ერთი სეზონიც კი ვერ გაძლო. ინფორმაცია იურგენის გაგდების შესახებ, გერმანულ პრესაში გუშინ დილიდანვე გავრცელდა, ნაშუადღევს კი, „ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ცნობა ოფიციალურად დაადასტურეს. მათი თქმით, კლინსის დათხოვნა პირველ რიგში ბოლოდროინდელი წარუმატებლობებითაა გამოწვეული. ჰიონესმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ „ბაიერნმა" ბოლო ორ თვეში აბსოლუტურად ყველა მნიშვნელოვანი თამაში წააგო, რის გამოც შეფები უბრალოდ იძულებულები გახდნენ, მკვეთრი ნაბიჯი გადაედგათ.


იუპ ჰაინკესი

რუმენიგეს თქმით, „ბაიერნის" ხელმძღვანელთა შტაბს ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, რაც პრინციპში ნამდვილად უნდა დავიჯეროთ, რადგან ექსპერტების უდიდესი ნაწილის აზრით, კლინსმანი გაცილებით ადრე უნდა გაეთავისუფლებინათ. სხვა შემთხვევაში შეფები იტყუებიან ხოლმე, როცა ამბობენ, „ასეთი გადაწყვეტილების მიღება გაგვიჭირდაო", მაგრამ ამ შემთხვევაში რუმენიგე არ ცრუობს. მას და ულის მართლაც ძალიან გაუჭირდათ იურგენის გათავისუფლება, პირველ რიგში იმის გამო, რომ ის სწორედ მათი მოყვანილი იყო. რუმენიგესა და ჰიონესის თქმით, შაბათს უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ გუნდი ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყო, რაც მხოლოდ და მხოლოდ კლინსმანით გახლდათ გამოწვეული. *„შესაბამისად, ჩვენ დავფიქრდით და მივხვდით, რომ თუკი სეზონის წინ დასახული მინიმალური მიზნების მიღწევა და ზოგადად ამ სეზონის გადარჩენა გვსურდა, მწვრთნელი სასწრაფოდ უნდა შეგვეცვალა. ყველამ დაინახა, რომ იურგენ კლინსმანს ძალიან დიდხანს ვედექით მხარში და მანამდე არ გავათავისუფლეთ, სანამ წნეხის სიმძიმემ პიკს არ მიაღწია,"* - განაცხადა ჰიონესმა პრესკონფერენციაზე.

ამრიგად, იურგენ კლინსმანმა მიუნხენური გრანდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ზუსტად 302 დღე იმუშავა. ახლა კი ყველაფერი დასრულებულია და კაცმა არ იცის, რა ელის კლინსის მომავალში - დანიშნავენ კი მას სადმე ამ ყველაფრის შემდეგ? ფაქტია, რომ „ბაიერნმა" იურგენის ხელში ეს სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და მხოლოდ პირველი წრის მიწურულს შეძლო მეტ-ნაკლებად წარმატებული ყოფილიყო. „ბარსელონასთან" განცდილმა კატასტროფულმა მარცხმა კი ყველა დაარწმუნა, რომ კლინსმანის დღეები „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში დათვლილი იყო. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ კლინსისეულმა „ბაიერნმა" ვერც ერთხელ ვერ აჩვენა ისეთი თამაში და შედეგი, როგორსაც რეკორდმაისტერის ქომაგები საყვარელი გუნდისგან ელიან და ითხოვენ.

რუმენიგემ და ჰიონესმა იურგენს გათავისუფლების ამბავი ორშაბათს დილას შეატყობინეს. ულის თქმით, ამის გაგონებისას კლინსმანი შოკირებული იყო - იურგენს ბოლო წამამდე არ სჯეროდა, რომ ვადამდე ადრე დაითხოვდნენ და სწორედ აქ ჩანს კიდევ ერთხელ მისი გულუბრყვილობა და გადამეტებული ოპტიმიზმი, რაც მას ჯერ კიდევ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობიდან მოსდევს. *„ფაქტია, რომ ძალიან გაკვირვებული დარჩა, როცა ვუთხარით, რომ თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. შესაძლოა, ის ფიქრობდა, რომ „ვოლფსბურგის" კოტბუსში წაგების გამო, ასეთ გადაწყვეტილებას ჯერ არ მივიღებდით და მის გათავისუფლებას კიდევ მინიმუმ ერთი კვირით გადავდებდით,"* - თქვა რუმენიგემ. ახლა „ბაიერნის" შეფები კლინსმანის ადვოკატებს შეხვდებიან და მათთან კონტრაქტის განწყვეტის საკითხებს გაარკვევენ.

„ბაიერნის" ხელმძღვანელები ამ ფაქტს კარგად მომზადებულები შეხვდნენ - მათ ხომ ყოველთვის ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად აქვთ ხოლმე დაგეგმილი. სეზონის დარჩენილ შეხვედრებში რეკორდმაისტერს ყველასათვის კარგად ნაცნობი სპეციალისტი **იუპ ჰაინკესი** უთავკაცებს. რუმენიგეს თქმით, „დონ იუპს" დიდხანს არ უფიქრია და შეთავაზებას მაშინვე დათანხმდა. *„ჰაინკესმა პირდაპირ გვითხრა, ჩემთვის ჰონორარს მნიშვნელობა არ აქვსო,"* - დასძინა ჰიონესმა. როგორც გაირკვა, ჰაინკესმა მოსაფიქრებლად მხოლოდ ხუთი წუთი ითხოვა და მეუღლესთან გაიარა კონსულტაცია, რის შემდეგაც დარჩენილ მატჩებში „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას დათანხმდა. ჰიონესისა და რუმენიგეს თქმით, ჰაინკესზე არჩევანი იმის გამო შეჩერდა, რომ „ბაიერნს" ახლა გამოცდილი მწვრთნელი სჭირდებოდა და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად. უმუშევარ გამოცდილ სპეციალისტებს შორის კი, „დონ იუპი" საუკეთესოაო, ამბობს რუმენიგე. ულიმ და კალემ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტსაც, რომ ჰაინკესი „ბაიერნში" მხოლოდ და მხოლოდ სეზონის ბოლომდე იმუშავებს. მნიშვნელობა არ აქვს, როგორი შედეგით დაასრულებს რეკორდმაისტერი ამ სეზონს, ივლისში გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. მეტიც: ჰიონესის თქმით, ჰაინკესი „ბაიერნის" ხელმძღვანელებს ახალი მწვრთნელის მოძებნა-დათანხმებაშიც დაეხმარება.

*„მაგრამ ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ დღემდე არც ერთ სხვა მწვრთნელთან არ გვისაუბრია!"* - განაცხადა ჰიონესმა და იქვე დასძინა, - *„კლინსმანის მცირეხნიანი ერიდან პოზიტიური ასპექტებიც დაგვრჩება მეხსიერებაში. მაგალითად, „ბაიერნის" ახალი ბაზა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში, სწორედ იურგენის დროს აშენდა. ახლა მთავარია, რომ დარჩენილ მატჩებში ფეხბურთელებმა მაქსიმუმი გაიღონ. მას მერე, რაც „ვოლფსბურგმა" „კოტბუსთან" წააგო, ჩემპიონობის საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს და ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ."*

გეტყვით იმასაც, რომ კლინსმანთან ერთად, „ბაიერნმა" მთელი სამწვრთნელო შტაბიც დაითხოვა (კლინსმანს 10 ასისტენტი ჰყავდა). დარჩენილ მატჩებში, ჰაინკესის თანაშემწე **ჰერმან გერლანდი** იქნება, რომელიც აქამდე რეკორდმაისტერის მეორე გუნდს წვრთნიდა. თვითონ გერლანდს კი, მეორე გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველასათვის კარგად ცნობილი ექსბაიერნელი **მეჰმეთ შოლი** შეცვლის.

გოტფრიდ **ლენცი**

ხეტაფე

# მუნიოსმა მუნიოსი დაითხოვა


ვიქტორ მუნიოსი

„ხეტაფემ" მთავარი მწვრთნელი დაკარგა. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა პერმანენტული წარუმატებლობით დაიღალა და ეს რადიკალური გადაწყვეტილება წუხელ ღამით მიიღო. კურიოზულია, რომ გამოცდილი ესპანელი სპეციალისტი **ვიქტორ მუნიოსი** მისი მოგვარის **ტონი მოუნიოსის** ინიციატივით მოხსნეს. სენიორ ტონი „ხეტაფეს" სპორტული დირექტორია და პრეზიდენტ **ანხელ ტორესს** მწვრთნელის გადაყენების საკითხი მთელი კატეგორიულობით დაუყენა. სპორტულმა დირექტორმა მისი ინიციატივა ასე ახსნა:

*„სენიორ ვიქტორმა პატიოსნად იმუშავა, მაგრამ ჩვენ ქულები გვჭირდება. დამეთანხმებით, გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატები ვართ. ამ საფრთხეს ნებისმიერ ფასად უნდა გადავურჩეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასული წლების შრომა წყალში ჩაგვეყრება. ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუშვებდით. შექმნილი სიტუაციის მასშტაბური ანალიზის შემდეგ დავასკვენი, რომ ვიქტორ მუნიოსი დასახულ ამოცანებს ვერ გადაჭრიდა და პრეზიდენტს მისი გადაყენების მოთხოვნით მივმართე."*

ანხელ ტორესმა ტონი მუნიოსის წინადადება ყურადღებით მოისმინა და საკითხი დირექტორთა საბჭოზე დააყენა. „ხეტაფეს" მმართველებმა საკითხი საფუძვლიანად განიხილეს და სპორტული დირექტორის ინიციატივა დააკმაყოფილეს. მთავარ მწვრთნელს კონტრაქტი გაუწყვიტეს და საკომპენსაციო თანხის გადახდის გრაფიკიც დაადგინეს. სავარაუდოდ დღეს გაირკვევა ბოლო ხუთ შეხვედრაში „ხეტაფეს" ვინ უხელმძღვანელებს. დირექტორატი რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს. ჯერჯერობით ვერავინ ამბობს, კონკრეტულად ვინ დაინიშნება, მაგრამ უდავოა, რომ მომდევნო ტურის წინ იმ სპეციალისტის სახელი გაჟღერდება, ვინც გუნდს ჩემპიონატის დარჩენილი შეხვედრებისთვის მოამზადებს.

ილია **ნიკოლაიშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. I მატჩი

# მოურინიომ ჩელსის პრესინგი უბრძანა

## არისტოკრატებს კარვალიო და ჯო კოული ვერ დაეხმარებიან

**ბარსელონა-ჩელსი**

ამ შეხვედრაზე საუბარს ფრიად ბანალური წინადადებით დავიწყებთ. „კამპ ნოუზე" ძალიან დაძაბული და საინტერესო შეხვედრა გაიმართება. ამ ბანალურობას იმიტომ ვერ გავექცევით, რომ ევროპული ფეხბურთის ორი გრანდის დაპირისპირება მართლაც ძალიან საინტერესო სანახაობას გვპირდება. ეს ის შემთხვევაა, როცა თავს არც ერთი გუნდი არ დაზოგავს და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოამჟღავნებს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „ბარსა" გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაშია. კატალონიურ გრანდს ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური დაპირისპირების შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალთან" სუპერკლასიკო ელის. სამეფო კლუბთან შეხვედრამ შესაძლოა, პრიმიერა დივიზიონის გამარჯვებულის ვინაობა გაარკვიოს. მიუხედავად ამისა, **პეპ გვარდიოლას** საშუალება არ აქვს, რომ რომელიმე ფეხბურთელი დაასვენოს და „რეალთან" შეხვედრისთვის მოამზადოს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ „ვალენსიასთან" წინა ტურის შეხვედრაში „ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა სამი ფეხბურთელი **რაფა მარკესი, იაია ტურე** და **ტიერი ანრი** დაასვენა. მართალია, ფრანგი ფორვარდი მოგვიანებით მაინც ჩაერთო თამაშში, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ „ბარსა" აგებდა და გოლის გატანა სჭირდებოდა. მოკლედ, ახლა ასეთი როტაცია გამორიცხულია. ესპანური პრესა გვატყობინებს, რომ გვარდიოლა საუკეთესო შემადგენლობას გაიყვანს. კატალონიური გრანდის სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს. მიკროტრავმებმა მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელს შეუქმნა პრობლემა. **სამუელ ეტოომ, კარლეს პუიოლმა** და **ჩავიმ** შედარებით მსუბუქად ივარჯიშეს, თუმცა ამით ბევრი არაფერი იცვლება. „ვალენსიასთან" ნაფორხილების მიუხედავად თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბარსელონას" ფეხბურთელები არაჩვეულებრივ ხასიათზე არიან და ნახევარფინალურ დაპირისპირებას უდიდესი ოპტიმიზმით ელოდებიან. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კატალონიელთა ნახევარდაცვა ჩავის, **ინიესტასა** და ტურეს ტრიოთი დაკომპლექტდება. დაცვაში **პუიოლი, რაფა მარკესი, აბიდალი** და **დანიელ ალვეში** იასპარეზებენ. თავდასხმაზე ალარაფერს ვამბობთ, წინა ხაზს ანრის, **მესისა** და ეტოოს სამეულს ჩააბარებენ. დაგვეთანხმებით, მასპინძლები სრული საბრძოლო შემადგენლობით იასპარეზებენ.


ვინ გააჩერებს ლეო მესის?

დღეს „ბარსა" და „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაში მეხუთედ დაუპირისპირდებიან. გასულ წლებში ისინი ორჯერ ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ, ორჯერ კი ფლეი ოფში. მათი ბოლო ორთაბრძოლა ორი წლის წინ შედგა. „ბარსელონა" ლონდონში დამარცხდა, შინ ფრედ ითამაშა, მაგრამ მაშინ ქულები ორივე კლუბს ეყო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. 2005/06 წლების სეზონში „ბარსელონამ" **ჟოზე მოურინიოს** „ჩელსი" მერვედფინალიდან გამოაგდო. ერთი წლით ადრე ამავე გუნდებმა ურთიერთობა ისევ ჯგუფურ ეტაპზე გაარკვიეს. „ბარსამ" საშინაო შეხვედრა 2:1 მოიგო, „სტემფორდ ბრიჯზე" კი 2:4 დამარცხდა. ჩემპიონთა ლიგაში ეს ორი კლუბი პირველად 1999/00 წლების სეზონში შეხვდნენ. ლონდონელებმა პირველ მეოთხედფინალურ მატჩში 3:1 მოიგეს, მაგრამ განმეორებითი შეხვედრა „ბარსამ" 5:1 მოიგო და ბრძოლა გააგრძელა.

კატალონიელებისგან განსხვავებით „არისტოკრატებს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრიტანელებს ტრავმის გამო **რიკარდო კარვალიო** ვერ დაეხმარება. პორტუგალიელი მცველი სახლში დარჩა. გარდა ამისა, „კამპ ნოუზე" დისკვალიფიცირებული **ეშლი კოული** ვერ ითამაშებს. გუშინდელი მონაცემებით დანარჩენი ფეხბურთელები ჯანზე არიან და საკვანძო მატჩს მოუთმენლად ელიან. „ჩელსის" გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ გვარდიოლას გუნდის დამარცხებაში გადამწყვეტ როლს **დიდიე დროგბა** ითამაშებს. ოპტიმიზმი თავად აფრიკელ ფორვარდსაც არ აკლია. აი, რა განაცხადა მან: *„ბარსელონა" ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ მისი არ გვეშინია. შანსები თანაბარია. გამორიცხული არაფერია, მაგრამ მე იმედიანად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ „კამპ ნოუზე" გოლს აუცილებლად გავიტანთ. შესაძლოა, ეს მისია მე შევასრულო. ნამდვილად შემწევს იმის უნარი, რომ კატალონიელთა კარი დავლაშქრო და ამით ფინალში გასვლის შანსი გავიუმჯობესოთ. ერთი რამ უდავო ფაქტია, წინ ძალიან საინტერესო და დაძაბული დაპირისპირება გველის. გულშემატკივრები დაუვიწყარ სანახაობას იხილავენ."*

ნახევარფინალურ შეხვედრას გერმანელ არბიტრთა სამეული მოემსახურება. მთავარი მსაჯი **ვოლფგანგ შტარკი** იქნება. მას **იან ჰენდრიკ ზალვერი** და **მიკელ პიკელი** დაეხმარებიან. გერმანელ არბიტრთა გვარები კატალონიელებს ბევრს არაფერს ეუბნება. პეპ გვარდიოლას ჟურნალისტებმა კომენტარი გაკეთება სთხოვეს, თუმცა ახალგაზრდა სპეციალისტმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. მისი თქმით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი არბიტრი ვინ იქნება. მთავარია, მისმა შეგირდებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნონ. გვარდიოლას აზრით, თუ „ბარსა" „კამპ ნოუზე" გოლს არ გაუშვებს, ფინალში გასვლის შანსს საგრძნობლად გაიუმჯობესებს. მწვრთნელის მოსაზრებას **სეიდუ კეიტაც** იზიარებს. როგორც ჩანს, კატალონიელებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ პირველ შეხვედრაში კარი მშრალად უნდა შეინახონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განმეორებით ორთაბრძოლაში ჯოჯოხეთურ პრობლემებს გადაეყრებიან. თავიანთ მოსაზრებებს „არისტოკრატებიც" აფიქსირებენ. ყველაზე საინტერესო, ყოფილი ბარსელონელების პოზიციაა. **ჟულიანო ბელეტის** კარგად ესმის, რომ „ბარსა" ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, თუმცა ბრაზილიელი მცველის მტკიცებით, დაუმარცხებელი კლუბები არ არსებობენ და „ბარსელონას" გაგდება თავისუფლად შეიძლება. კიდევ ერთი ყოფილი ბარსელონელი **დეკუ** მიიჩნევს, რომ მესის აბსოლუტური გაუვნებელყოფა შეუძლებელია, თუმცა პორტუგალიელ ვარსკვლავს „ჩელსის" დაცვის იმედი აქვს. მისი მტკიცებით, „არისტოკრატებს" მსოფლიოში ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავთ და საერთო ძალისხმევით ლეოს შეძლებისდაგვარად შეჩერება შესაძლებელი გახდება.

წინასამატჩო მიმოხილვას **ჟოზე მოურინიოს** განცხადებით დავასრულებთ. „ინტერის" დამრიგებელი ლონდოლენებს რამდენიმე რჩევას აძლევს: „არ არსებობს გამზადებული ფორმულა, რომლის გამოყენების შემთხვევაში „ბარსელონას" დამარცხება შესაძლებელი გახდება, მაგრამ „ჩელსის" ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატაროს და მომდევნო ეტაპზე გავიდეს. ისინი ლიგაში გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებენ. ბრიტანელებმა კატალონიელებს ბურთის თავისუფლად გათამაშების საშუალება არ უნდა მისცენ. როცა „ბარსელონას" თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა ეძლევა, მოწინააღმდეგეს ძალიან სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ამიტომ, აუცილებელია, რომ „ჩელსიმ" მასპინძლები პრესინგში მოაქციოს და ნახევარდაცვაში ბურთის მოსაპოვებლად დიდი ენერგია დაახარჯვინოს. თუ ამას მოახერხებენ, ყველაფერი კარგად დასრულდება, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამოუწურავი შესაძლებლობების მქონე კატალონიელ ვარსკვლავებს საგოლე იერიშის ორგანიზება ყოველთვის შეუძლიათ."

### სავარაუდო შემადგენლობა

**ბარსელონა:** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, მარკესი, აბიდალი - ჩავი, კეიტა, ინიესტა - მესი, ეტო'ო, ანრი.

**ჩელსი:** ჩეხი - ივანოვიჩი, ალექსი, ტერი, ბოსინგვა - ესიენი, ბალაკი - კალუ, ლემპარდი, მალუდა - დროგბა.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

რეალი

# სრული ეიფორია!

## ინიესტა კასილიასის ოპტიმიზმს ირონიით ხვდება

„რეალის" ფეხბურთელები პრიმერა დივიზიონის წინა ტურში განვითარებულმა მოვლენებმა ოპტიმიზმით აღავსო და მომავლის იმედი ჩაუსახა. სამეფო კლუბის მოთამაშეები სუპერკლასიკოს განსაკუთრებული ენთუზიაზმით ელოდებიან და ფიქრობენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის ჩემპიონები გახდებიან. დედაქალაქურ გრანდში არსებულ განწყობილებაზე **იკერ კასილიასმა** ისაუბრა:

*„ბარსელონამ" „მესტალიაზე" ორი ქულა დაკარგა. ბევრი სჯა-ბაასი საჭირო არ არის, რომ ჩვენი შანსი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომდევნო ტურში ერთმანეთს შევხვდებით. გამარჯვების შემთხვევაში, ჰანდიკაპი ერთ ქულამდე შემცირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატები გავხდებით. თუ „ბარსელონა" დამარცხდება, უდიდეს ფსიქოლოგიურ ნნეხში მოექცევა. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელები ოთხი ქულით გვისწრებენ, მიმაჩნია, რომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. სუპერკლასიკო ნებისმიერ ფასად უნდა მოვიგოთ. დიდი ხანია, „რეალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირება ასეთი პრინციპული არ ყოფილა. ხუანდე რამოსი ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. მას სჯერა, რომ ჩვენ შემადგენლობას ამ საკვანძო შეხვედრის მოგების უნარი შესწევს. მართალია, სერიოზული საკადრო პრობლემები გვაქვს, თუმცა ეს ხელს არ შეგვიშლის. დასანანია, რომ რუუდ ვან ნისტელროისა და მაჰამადუ დიარას არიენ რობენი და პეპეც მიემატნენ. ამ კვარტეტთან ერთად სულ სხვა ფეხბურთს ვითამაშებდით, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სამეფო კლუბი მზადაა, სუპერკლასიკო უმაღლეს დონეზე ჩაატაროს და გულშემატკივრები დიდი გამარჯვებით გაახაროს."*

კასილიასის თამამ განცხადებას **ანდრეს ინიესტამ** უპასუხა: *„იკერის ენთუზიაზმის ძალიან კარგად მესმის, მას გამარჯვების ცდუნება გაუჩნდა. არ ვიტყვი, რომ „რეალს" ჩემპიონობის შანსი არ გააჩნია, თუმცა კასილიასისგან განსხვავებით, ვერც იმის მტკიცებას დავიწყებ, რომ „ბარსელონას" შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა. ასეა თუ ისე, ჩვენ ისევ ლიდერები ვართ და გამარჯვების მშვენიერი შანსი გაგვაჩნია. ჩემი აზრით, ახლა ლაპარაკს აზრი არ აქვს. „რეალმა" და „ბარსელონამ" საკუთარი შესაძლებლობები უშუალოდ მოედანზე უნდა დაამტკიცონ. დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართება, თუმცა მანამდე ჩვენ „ჩელსის" უნდა დავუპირისპირდეთ. გამოგიტყდებით, ახლა სწორედ ლონდონელებთან მატჩზე ვფიქრობ. „რეალთან" მატჩისთვის მზადებას სწორედ „არისტოკრატებთან" პირველი ნახევარფინალის შემდეგ დავიწყებთ."*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**


იკერ კასილიასი ჩემპიონობაზე ფიქრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება



ემლი იანგი და რაიან გიგზი

# ნლის საუკეთესოები

35 წლის **რაიან გიგზი** პირველად თავის კარიერაში პრემიერლიგის წლის ფეხბურთელად დასახელდა. „ასტონ ვილას" 23 წლის გარემარბი **ეშლი იანგი** კი წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. ეს პრიზები პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ დააწესა. აღსანიშნავია, რომ 17-წლიანი კარიერის საწყის ეტაპზე რაიანმა ორჯერ მოიპოვა წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი.

*„მიიღო ჯილდო იმ ადამიანებისგან, რომლებიც შენ გვერდით თამაშობენ, ვგონებ, ამაზე დიდი პატივი არც არსებობს,* - განაცხადა პრიზის გადაცემის ცერემონიალზე ვეტერანმა უელსელმა. - *კარიერის განმავლობაში მრავალი პრიზი მომიგია, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებულია".*

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში თანდათან უფრო იშვიათად ხვდება, ის მუდმივადაა განაცხადში და როცა მინდორზე გადის, ყოველთვის ახერხებს თამაშის გამწვავებას. თუკი გიგზმა ხვალ „არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ითამაშა, მისთვის ეს იქნება მე-800 შეხვედრა „მანიუს" მაისურით. ასეთი შედეგით კი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ცოტა ფეხბურთელი თუ დაიკვეხნის. რაიანმა ერთი მნიშვნელოვანი მინიშნება გააკეთა. მას სურს, ახლანდელი კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგაც დარჩეს აქტიურ ფეხბურთში და ისევ „ეშმაკებს" ემსახუროს. ესე იგი მას კონტრაქტის გაგრძელება უნდა, სავარაუდოდ, ერთი წლით. იმედია, „მანიუს" ბოსები ლეგენდას ამ სურვილს აუსრულებენ.

*„სერ ალექს ფერგიუსონმა უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე. პირველად, როცა მას შევხვდი, სულ რაღაც 13 წლის ვიყავი. მას შემდეგ 22 წელიწადია გასული. ვაფიქსირებ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობები ლამის ყოველდღიურად უმჯობესდება. იქამდე, ვიდრე ძალა მერჩის, „იუნაიტედში" დავრჩები. ჯერ 35 წლის ვარ და ეს არ არის კატასტროფული ასაკი ფეხბურთელისთვის," -* განაცხადა გიგზმა.

როგორც მოგახსენეთ, წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად ბირმინგემელი ეშლი იანგი დასახელდა. სპეციალური პრიზით აღინიშნა ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „გრიმსბი თაუნის" ყოფილი ფეხბურთელი **ჯონ მაკდერმოტი.**

დაბოლოს, პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგამ წლის ნაკრები დაასახელა: **ედვინ ვან დერ სარი, გლენ ჯონსონი, რიო ფერდინანდი, ნემანია ვიდიჩი, პატრის ევრა, ეშლი იანგი, სტივ ჯერარდი, რაიან გიგზი, კრისტიანო რონალდო, ნიკოლა ანელკა, ფერნანდო ტორესი.**

ამბები

## მოკლეს დეფოს ძმა

„ტოტენჰემის" თავდამსხმელის **ჯერმეინ დეფოს** ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. პარასკევს საღამოს ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, [illegible] დააყაჩაღეს და სავარაუდოდ, ბლაგვი იარაღიდან თავში მიყენებული დაზიანებებით მოკლეს ჯერმეინის ძმა, 26 წლის **ჯაიდ დეფო.** რომელიც საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. პოლიციამ ის ქუჩაში უგონოდ მყოფი იპოვა. სამართალდამცავებმა უმალვე გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ დროული ჩარევის მიუხედავად, მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა. სიკვდილის კონკრეტული მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ყოველივეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დაადგენს.

ძმის ტრაგიკული დაღუპვის გამო კლუბმა ჯერმეინს განუსაზღვრელი დროით დასვენების უფლება მისცა. ბუნებრივია, რომ ის ვერ იქნებოდა „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრის განაცხადში. გარდაცვლილი ჯაიდ დეფო საკმაოდ პოპულარული მომღერალი გახლდათ. ის ძირითადად ღამის კლუბებში გამოდიოდა.

## ჰაკერებმა ვიდიჩის ვებგვერდი გატეხეს

რამდენიმე დღის წინ სერბეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველის **ნემანია ვიდიჩის** ოფიციალური საიტი (http://nemanjavidic.com) გატეხეს. წინასწარი მონაცემებით, ეს კოსოვოელი ჰაკერების ნამუშევარი უნდა იყოს. სწორედ ამ დაჯგუფებას ჰბრალდება გასულ წელს ჩადენილი ანალოგიური კომპიუტერული დანაშაული. რამდენიმე თვის წინ მათ პოპულარული სერბი ჩოგბურთელების, **ანა ივანოვიჩისა** და **ელენა იანკოვიჩის** პირადი ვებგვერდებიც გატეხეს და გამოფინეს აბსოლუტურად არაფრისმთქმელი წარწერა - „ალბანეთის შეერთებული შტატები". ამჯერად ჰაკერებში ხუმრობის ნიჭმა ცოტათი გამოანათა - ვიდიჩის საიტზე მათ „ლივერპული ჩემპიონი" დაწერეს და ისე, რომ სერიოზულად არაფერი დაუზიანებიათ, იქაურობა მალევე დატოვეს.

საიტის ადმინისტრატორებმა-ვებგვერდის ნორმალური მუშაობა დაახლოებით ერთ საათში აღადგინეს.

## კუიტს სასწაულების სჯერა

„ლივერპულისა" და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელ **დირკ კუიტს** სასწაულის იმედი აქვს. მას სჯერა, რომ ეს შეიძლება მართლა მოხდეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ „ტოტენჰემის" განადგურების შემდეგ მთელ კუნძულზე ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ჩემპიონები ისევ „ალისფერი ეშმაკები" გახდებიან. ჰოლანდიელმა ინტერვიუ მისცა „სქაი სპორტსს", სადაც აღნიშნა: „მე მჯერა საფეხბურთო სასწაულების. კარიერის განმავლობაში ფეხბურთში მრავალი მოულოდნელი შედეგი მინახავს. ჩვენ ბრძოლას განვაგრძობთ. ყველა დარჩენილი შეხვედრის მოგების შემთხვევაში ჯერ კიდევ შეგვიძლია ჩემპიონობა. ვფიქრობ, „მანჩესტერს" ფეხი ჯერ კიდევ შეიძლება წაუცდეს. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ყველაფერი ისეც დამთავრდეს, სეზონის ბოლოს ვერაფერი მოვიგოთ. რას იზამ? ეს ფეხბურთია".

## ჯონსონი არ ნანობს

„პორტსმუთისა" და ინგლისის ნაკრების 24 წლის მარჯვენა მცველმა **გლენ ჯონსონმა** განაცხადა, რომ ერთი წამითაც კი არ ნანობს იმას, რომ „ჩელსი" დატოვა და სათამაშოდ შედარებით დაბალი რანგის კლუბში გადავიდა. ამის შესახებ მან „სეტანტა სპორტსთან" საუბრისას განაცხადა. შეგახსენებთ, რომ 2003 წელს სწორედ გლენი გახლდათ **რომან აბრამოვიჩის** პირველი შენაძენი „ჩელსის" მესაკუთრის რანგში. მიუხედავად დიდი იმედებისა, მან სამი სეზონის განმავლობაში სულ რაღაც 42 შეხვედრა ჩაატარა, რის შემდეგაც სათამაშოდ „პორტსმუთს" მიაშურა. *„მას შემდეგ, რაც „პორტსმუთში" გადმოვედი, იმაზე ვოცნებობდი, რომ ინგლისის ნაკრებში ადგილი დამებრუნებინა. მთავარია, რომ ეს მოვახერხე - დღე უკვე შევდივარ ფაბიო კაპელოს სიაში. სწორედ ამიტომ არის, რომ ახლა თავს ბევრად უფრო ბედნიერად ვგრძნობ, ვიდრე ლონდონში,"* - განაცხადა ფეხბურთელმა.

## რაფაელის ახალი კონტრაქტი

„მანჩესტერ იუნაიტედის" 18 წლის მარჯვენა მცველმა **რაფაელ და სილვამ** კლუბთან კონტრაქტი 2013 წლის ივლისამდე გააგრძელა. მისი წინა კონტრაქტი 2011 წელს იწურებოდა. ჯერ კიდევ იუნიორმა ფეხბურთელმა წელს 19-ჯერ დაიწყო თამაში „მანიუს" შემადგენლობაში. მას ამაში ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ფეხბურთელის მთავარი კონკურენტები **გარი ნევილი** და **ვეს ბრაუნი** ლამის მთელი წელი ტრავმირებულები იყვნენ. დღის წესრიგში დგას რაფაელის ძმის **ფაბიო და სილვას** ხელშეკრულების გახანგრძლივების საკითხიც.




სიახლე

# უიმბლდონში მორიგი დღეობაა

შაბათს,ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გრანდიოზული ღონისძიება იყო დაგეგმილი. საფეხბურთო კლუბი „უიმბლდონი", რომელიც სულ რაღაც 7 წლის წინ დაარსდა, ისტორიაში მეოთხედ ემზადებოდა ზედა ლიგაში დაწინაურების აღსანიშნავად. „ბლუ სქვეარ საუთი" (Blue Square South) ინგლისში რანგით მეხუთე დონის დივიზიონად მიიჩნევა. ახალდაარსებული კლუბი „სენტ ალბანს სიტის" დაუპირისპირდა და 3:0 გაანადგურა. შეხვედრას სარეკორდოდ ბევრი, 4 722 ადამიანი დაესწრო. საფინალო სასტვენის შემდეგ გუნდმა ოფიციალურად გაინაღდა ზედა ლიგაში აღზევება. ეს ნიშნავს, რომ თუკი კლუბმა მომავალ წელსაც გაიმეორა გმირობა და ზედა ლიგაც მოიგო, ის უკვე შეიძენს პროფესიული კლუბის სტატუსს.

აღსანიშნავია, რომ ეს კლუბი რამდენიმე წლის წინ არათუ უბრალოდ პროფესიულ სტატუსს ფლობდა, არამედ 1992/2000 წლებში პრემიერლიგაშიც კი თამაშობდა. ის 1911 წელს უიმბლდონ ბოროში დაარსდა. ისტორიის განმავლობაში კლუბში მრავალ სახელოვან ფეხბურთელს უთამაშია. ბუნებრივია, ყველაზე მეტად ეს იმ ეპოქაზე ითქმის, როცა ლონდონელები ელიტის წევრები გახლდნენ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ **დეივ ბიზანტი, კარლ კორტი, კენი კანინგემი, ეფან ეკოკუ, ჯონ ჰართსონი, ჰერმან ჰრეიდარსონი, ნაიჯელ რეო კოკერი, ვინი ჯონსი, ნილ სალივანი, ნაიჯელ ვინტერბერნი.** პრემიერლიგაში კლუბს სათავეში ედგნენ სახელგანთქმული სპეციალისტები **ჯო კინეარი, ეგილ ოლსენი** და **ტერი ბარტონი.** თუმცა დროის უკუღმართობის გამო კლუბი გაკოტრდა და საერთოდ გაქრა საფეხბურთო რუკიდან. კლუბის აღორძინება ადგილობრივმა ფანებმა გადაწყვიტეს. სწორედ მათი შემოწირულობებით არსებობს საფეხბურთო კლუბი დღემდე. ჯერჯერობით რომელიმე მსხვილი ბიზნესმენის მხრიდან ინტერესზე არავის არაფერი სმენია.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



უიმბლდონის ერთ-ერთი ლიდერი ჯონ მეინი გულშემატკივრებთან ერთად ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის მოვლენები

# არშავინი, ევერტონი, სქოულზი და სტრანდი

**ანდრეი არშავინი** გახდა პირველი ფეხბურთელი ბოლო 63 წლის განმავლობაში, რომელმაც „ენფილდზე" „ლივერპულს" ოთხი გოლი გაუტანა. ეს მიღწევა, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი. უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ანდრეი კვირის ფეხბურთელად დაასახელა. იქვე აღნიშნულია, რომ „ლივერპულის" გულშემატკივრებს ასეთი სანახაობა აღარ უნახავთ მთელი... 7 დღეა. როგორც გახსოვთ, „არსენალთან" შეხვედრის მსგავსად 4:4 დასრულდა „ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური დაპირისპირებაც. ამჟამად რუსი თავდამსხმელის ანგარიშზე 8 შეხვედრაში გატანილი 6 გოლია. ლონდონელთა 23-ე ნომერი არ იყო პირველი „მეთოფე", ვინც ასეთი გმირობა ჩაიდინა. რამდენიმე წლის წინ იმავე „რეალიდან" იჯარით გადაყვანილმა **ჟულიო ბაპტიშტამ** ჩაიდინა, თუმცა ეს ინგლისის ლიგის თასის შეხვედრისას მოხდა. ჩემპიონატში კი ეს აქამდე ვერავის მოეხერხებინა. აი, რა განაცხადა ფეხბურთელმა თამაშის დასრულების შემდეგ: *„არ ვფიქრობ, რომ ინგლისურ ფეხბურთში ადაპტაცია ბოლომდე მოვახერხე. ხომ ნახეთ, პირველ ტაიმში გოლის ეპიზოდის გარდა თითქმის შეუმჩნეველი ვიყავი. ეს კი დაუშვებელია. ვეცდები, ხარისხი გამოვასწორო. ეს არ იქნება იოლი. ამისთვის დრო მჭირდება".*

კვირის გუნდად უეფამ „ევერტონი" დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ლივერპულელებს მთელი წლის განმავლობაში სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ (განსაკუთრებით თავდასხმაში), ისინი მაინც ახერხებენ და ორ ფრონტზე ბრძოლას აგრძელებენ. გარდა ევროპის ლიგის საგზურისა, ისინი ინგლისის ასოციაციის თასისთვისაც იბრძვიან. გადამწყვეტ შეხვედრაში 30 მაისს „ევერტონი" „ჩელსის" დაუპირისპირდება. მათ მიღწევას კიდევ უფრო დავაფასებთ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფინალის გზაზე ლივერპულელებმა ოთხი პრემიერლიგური კლუბი ჩამოიშორეს - „ლივერპული", „ასტონ ვილა", „მიდლსბრო" და „მანჩესტერ იუნაიტედი". ნუთუ წარმოსადგენია, რომ გუნდმა ამაზე რთული გზა განვლოს სათასო დაპირისპირებაში? საკუთარი გუნდითა და მწვრთნელით აღფრთოვანება ვერ დამალა „ევერტონის" პრეზიდენტმა **ბილ კენრაიტმა**, რომელმაც **დევიდ მოიესს** *„თანამედროვეობის საუკეთესო მწვრთნელი უწოდა"*. დაგვეთანხმეთ, ძალზე ხმამაღალი განცხადებაა. ძნელად წარმოსადგენია, თასის მოგების შემთხვევაში მისტერ კენრაიტმა რა კომპლიმენტი შეიძლება უძღვნას შოტლანდიელ სპეციალისტს. უეფას ვებგვერდზე აღნიშნული განცხადება კვირის ფრაზად მოინათლა.

დაბოლოს, კვირის რიცხვი: „პორტსმუთთან" შეხვედრაში მინდორზე გამოსულმა **პოლ სქოულზმა** „იუნაიტედის" შემადგენლობაში მე-600 შეხვედრა გამართა. პოლის დებიუტის შემდეგ მთელი 15 წელიწადია გასული. ალბათ ცოტას თუ ახსოვს, რომ 1994 წელს, ინგლისის ლიგის თასზე „პორტ ვეილთან" შეხვედრაში ნითურა დებიუტანტმა ორი გოლი გაიტანა და „ეშმაკებს" გამარჯვება მოუტანა. აქვე გაგაცნობთ იმ მოთამაშეთა სიას, რომელთაც „მანიუს" შემადგენლობაში 600 და მეტი შეხვედრა აქვთ ჩატარებული: **რაიან გიგზი - 799**, სერ **ბობი ჩარლტონი - 758, ბილ ფოულკსი - 688.**

ალსანიშნავია, რომ სწორედ წინა კვირაში „ოდს გრენლანდის" წინააღმდეგ ჩაატარა თავისი მე-600 შეხვედრა „რუსენბორგის" შემადგენლობაში 39 წლის ვეტერანმა **როარ სტრანდმა.**

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



პოლ სქოულზმა მანჩესტერის ღირსება 600-ჯერ დაიცვა


თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge


ვესტ ჰემი



ჯანფრანკო ძოლა და სტივ კლარკი

# ძოლა და კლარკი რჩებიან

## ფანებმა ფრენკი გააბრაზეს, ისინი ჯონსაც ერჩოდნენ

„ვესტ ჰემის" აღმასრულებელი დირექტორის **სკოტ დაქსბერის** ინფორმაციით, კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, 42 წლის **ჯანფრანკო ძოლამ** და მისმა პირველმა თანაშემწემ, 46 წლის **სტივ კლარკმა** ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის დეტალები რამდენიმე დღის წინ შეათანხმეს. მათ ახალ ხელშეკრულებებს ხელი „ჩელსისთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ მოაწერეს. ორივე სპეციალისტთან გარიგება 2013 წლის ივლისამდე გაფორმდა. შეგახსენებთ, რომ ეს წყვილი „აპტონ პარკზე" შარშან სექტემბერში მას მერე მივიდა, რაც **ალან კერბიშლიმ** კლუბი თავისი ნებით დატოვა. მიუხედავად სერიოზული საკადრო კრიზისისა, მიუხედავად იმისა, რომ კლუბში ლამის ყოველდღიურად ელოდნენ მისი მესაკუთრის, ისლანდიელი ბიზნესმენის **ბოირგოლფურ გუდმუნდსონის** გაკოტრებულად გამოცხადებას, იტალიელმა მწვრთნელმა მაინც მოახერხა და „ჩაქუჩები" სერიოზულ კრიზისს აარიდა. ამჟამად კლუბი პრემიერლიგაში მე-8 ადგილზეა და „ჩელსისთან" წაგებამდე სერიოზულად იბრძოდა ევროპის ლიგის საგზურისთვის. წინა კვირას სტივ კლარკმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსიში" გატარებულ დღეებს სიამოვნებით იხსენებს, მისთვის ეს ფურცელი სამუდამოდ დახურულია და ეჭვი ეპარება, „არისტოკრატებში" ოდესმე კიდევ დაბრუნდეს.

*„ვესტ ჰემში" ჩემი სამუშაოთი აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. შეიძლება, ბევრისთვის ჩემი გადაწყვეტილება მოულოდნელიც კი აღმოჩნდა, როცა „ჩელსი" დავტოვე და „ვესტ ჰემში" გადმოვედი, თუმცა თავად ვგრძნობ, რომ ეს ნაბიჯი ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო მაშინ ჩემ გარშემო არსებული სიტუაციიდან. „ჩელსი" ჩემი ცხოვრების ლამაზი ფურცელია, რომელიც უკვე დაიხურა. ახლა თავს „ვესტ ჰემის" ნაწილად ვგრძნობ".*

ბრიტანული ტაბლოიდების ცნობით, ძოლას ანაზღაურება საკმაოდ სოლიდური იქნება, დაახლოებით 1,6 მილიონი გირვანქა, თუმცა ის ახლოსაც ვერ მივა პრემიერლიგის ყველაზე ძვირად ღირებულ მწვრთნელებთან. მაგალითისთვის გეტყვით, რომ **რაფაელ ბენიტესი** ორიოდე კვირის წინ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით წელიწადში 5 მილიონს შოულობს. რაც შეეხება სტივ კლარკს, ის ყველაზე დიდ ხელფასს მიიღებს პრემიერლიგის თავკაცების ასისტენტთა შორის. მისი ხელფასი წელიწადში ზუსტად ერთი მილიონი იქნება.

„ვესტ ჰემის" 19 წლის შემტევი ნახევარმცველი **ჯეკ კოლისონი** მზადაა, მინდორს უახლოეს ხანებში დაუბრუნდეს. არადა, მის გამოჯანმრთელებას მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ ელოდნენ. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა მძიმე ტრავმა 4 მარტს „უიგანთან" შეხვედრისას მიიღო. გამოჯანმრთელების პროცესი იმაზე სწრაფად წარიმართა, ვიდრე ამას ექიმები ელოდნენ. მოსალოდნელია, რომ ჯეკი მინდორზე უახლოეს მატჩში დაბრუნდება. „ჩაქუჩებს" 35-ე ტურის შეხვედრაში „სტოკ სიტისთან" გასვლითი შერკინება ელით.

ის, რომ „ვესტ ჰემისა" და „ჩელსის" ფანებს შორის კარგი ურთიერთობა არ არის, ვგონებ, საიდუმლო არავისთვის უნდა იყოს. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე სულ სხვა რამესთან გვაქვს. მოგეხსენებათ, **ფრენკ ლემპარდი** უკვე რამდენიმე თვეა, რაც მეუღლესთან (რომელიც მისი ორი შვილის დედაც არის), ერთად აღარ ცხოვრობს. ფანებმა ფეხბურთელს რამდენიმე დღით ადრე მომხდარი ინციდენტის გამო ლამის თავ-ბედი აწყევლინეს. დეტალებს ახლავე მოგახსენებთ: ერთ-ერთი ლონდონური რადიოს წამყვანმა ფეხბურთელს სულელი და საცოდავი ადამიანი უწოდა, რომელმაც მეუღლე და ორი შვილი ბედის ანაბარად მიატოვა. გადაცემა სპეციალურად ფეხბურთელს ეძღვნებოდა. თანაც, ბედის ირონია იყო, რომ ფრენკზე ასეთი შეტევა მისი დედის გარდაცვალებიდან ერთ წლისთავს დაემთხვა. ეთერში ფეხბურთელის ლანძღვას შემთხვევით ლემპარდის დამ მოჰკრა ყური. მან უფროს ძმიკოს ყველაფერი დაწვრილებით აცნობა. მიუხედავად იმისა, რომ ლემპარდი თავისი მოთმინებითა და მტკიცე ნერვებით გამოირჩევა, ველარ შეძლო თავის შეკავება და რადიოს წამყვანი ეთერს მიღმა უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძლა. ფეხბურთელმა კატეგორიულად მოითხოვა, მეორედ აღარ გაემეორებინა ასეთი სისულელე. ლემპარდი შეჰპირდა, რომ მის ცხოვრებაში მეორედ ცხვირის ჩაყოფის შემთხვევაში, ფიზიონომიას შეულამაზებდა. ბუნებრივია, ამ ამბავმა გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა. რა შუაში არიან „ვესტ ჰემის" ფანები? მათ ფეხბურთელის ღია ჭრილობის „დამუშავება" მარილით გადაწყვიტეს და „აპტონ პარკის" ტრიბუნაზე შემდეგი შინაარსის პლაკატი გადმოფინეს: „თქვენ იმედები გაუცრუეთ თქვენს შვილებს" (you let your children down). თითქოს ამით ისინი მიანიშნებდნენ, შვილები მიატოვეო, რაც ბუნებრივია, სიმართლისგან ძალზე შორს დგას. ფრენკი თავისუფალ დროს თითქმის მთლიანად თავის შვილებს უთმობს. მიუხედავად ამისა, ლემპარდი გავიდა მინდორზე და „ჩელსის" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მან **სალომონ კალუს** ბრწყინვალე საგოლე პასი გაუკეთა.

„ჩაქუჩების" ფანებს კიდევ ერთი აქცია ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ როგორც იტყვიან, ამ შემთხვევაში ფეხი არ ჩაუვიდათ. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ შეხვედრას უნდა დასწრებოდა **ჯონ ტერის** დედა. ქალბატონ ტერის სულ ცოტა ხნის წინ სამართალდამცავებთან პრობლემები ჰქონდა. გულშემატკივრებმა გადაწყვიტეს, რომ მისთვის ქურდი ენოდებინათ. ამ მიზნით უზარმაზარი ბანერი დაამზადეს კიდეც. მათდა სამწუხაროდ, ინფორმაცია „ჩელსის" მავანი გულშემატკივრის ყურამდე მივიდა. მან ყველაფერი გააკეთა, რათა ინფორმაცია ჯონამდე მიეტანა. შედეგად, „ჩელსის" კაპიტანმა მშობელი გააფრთხილა, რომ სტადიონს ახლოსაც არ გაჰკარებოდა. აი, რა განაცხადა ტერიმ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

*„ეს გულის ამრევი იყო... რა შუაში არიან ფეხბურთთან ჩვენი მშობლები, მეუღლეები და შვილები? სპეციალურად მივედი ფრენკთან, ვისაც მთელი სულითა გულით ვთხოვე, რომ ხულიგნების ქმედებას გულთან ახლოს ნუ მიიტანდა. იმავე თხოვნით მოგვმართა მაიკ დინმა (არბიტრმა - რედ). შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთადერთი კომენტარის გაკეთება შემიძლია: შეხედეთ ტაბლოს... მათ ის მიიღეს, რაც ეკუთვნოდათ".*

სიტუაცია იმდენად დაძაბული იყო, რომ გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად სტადიონის დირექციამ ლონდონის პოლიციისგან დამატებითი რაზმების გამოგზავნა ითხოვა. „ჩელსის" ავტობუსმა სტადიონი სწორედ მათი ესკორტით დატოვა.




სერია A

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბრუნდება თუ არა ინტრიგა?

## ...თავად ეს კითხვა უკვე ინტრიგაა

გასულმა უქმეებმა, იტალიური საფეხბურთო სამყარო ორად გაყო. გულშემატკივართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ლიდერის „ნაპოლისთან" მარცხის შემდეგ, საჩემპიონო ინტრიგა გაცოცხლდა და ყველაზე საინტერესო ჯერ კიდევ წინ გველის. ნაწილი არ იზიარებს ამ პოზიციას და კვლავაც იმ აზრზე რჩება, რომ „ინტერს" სკუდეტოში ველარავინ შეეცილება. ყველა შემთხვევაში, თუნდაც ის, რომ სკუდეტოს ბედთან დაკავშირებით კითხვის ნიშანია გაჩენილი, უკვე კარგია და დარჩენილი ტურებისადმი ინტერესის გაზრდას მოასწავებს. მოვლენათა ასეთი განვითარება, მხოლოდ „ინტერის" ქომაგებისთვის არის არცთუ სასიამოვნო, ნეიტრალური გულშემატკივარი კი ნამდვილად მოგებულია.

რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ „მილანმა" თანაქალაქელს რეალური კონკურენცია გაუწიოს? პირველობის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი. ხუთ სათამაშო დღეში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და შვიდი ქულა ნამდვილად არ არის ის ფორა, რომლის ალმოფხვრაც შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ „ნერაძური" ბოლო დროს არცთუ დამაჯერებლად ასპარეზობს და აშკარა დალმასვლას განიცდის. მაგრამ, არის მეორე ფაქტორიც და ეს ჩემპიონატის დარჩენილი შეხვედრების კალენდარი გახლავთ. ერთი თვალის გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ „როსონერის" წინ გაცილებით რთული მატჩები ელის. გადავხედოთ განრიგს და დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთ:

**XXXIV ტური**

ინტერი-ლაციო
კატანია-მილანი

**XXXV ტური**

მილანი-იუვენტუსი
კიევო-ინტერი

**XXXVI ტური**

უდინეზე-მილანი
ინტერი-სიენა

**XXXVII ტური**

მილანი-რომა
კალიარი-ინტერი

**XXXVIII ტური**

ფიორენტინა-მილანი
ინტერი-ატალანტა

თავადაც ხედავთ, რომ „მილანის" ვერც ერთ შეხვედრას შედარებით მსუბუქს ვერ ვუწოდებთ. სიცილიაში და უდინეში თამაში ძალიან რთულია, რაც მიმდინარე სეზონში არაერთხელ დამტკიცდა. „იუვენტუსთან", „რომასთან" და „ფიორენტინასთან" პაექრობისას რომ უეჭველ სამ ქულას ვერ დაგეგმავ, ესეც ცხადზე ცხადია. „ინტერი" გაცილებით მომგებიან მდგომარეობაშია. პირველობის ლიდერისთვის, „კიევოსთან", „სიენასთან" და „ატალანტასთან" შეხვედრაში, დაგეგმილი ქულების მოპოვება, წესით, განსაკუთრებულ პრობლემებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. თუმცა ეს მხოლოდ წესით და რა იქნება სინამდვილეში, ამას დრო გვიჩვენებს.

იტალიური ფეხბურთის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „ინტერს" მიმდინარე სეზონში ყველაზე მძიმე დროება დაუდგა. გუნდი უსახურ ფეხბურთს თამაშობს, რაც შექმნილი მდგომარეობის ადეკვატურია. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ნერაძურის" საკადრო პრობლემები აქვს. დიახ, გუნდი, რომელიც ტრანსფერებზე მილიონებს ხარჯავს და ტრადიციულად 30-მდე კვალიფიციურ ფეხბურთელს ითვლის, დღეს ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. „გაძეტას" დაკვირვებული ჟურნალისტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ **ჟოზე მოურინიო** მეორე წრეს ფაქტობრივად როტაციის გარეშე ატარებს. თუ დავაკვირდებით, „ნერაძურის" შუა ხაზს მუდმივად ერთი ოთხეული აკომპლექტებს: **ესტებან კამბიასო, ხავიერ ძანეტი, სალი მუნტარი და დეიან სტანკოვიჩი**. რაც არ უნდა ძლიერნი იყვნენ ეს ფეხბურთელები, შეუცვლელად მთელი პირველობის მაღალ დონეზე ჩატარება ნამდვილად გაუჭირდებათ. გაუჭირდათ კიდეც და შედეგიც სახეზეა. სულ რამდენიმე კვირის წინ, „ინტერი" „მილანს" მთელი თოთხმეტი ქულით უსწრებდა, დღეს კი სხვაობა მხოლოდ შვიდი ქულაა. „ინტერს" გაუმართლა იმაში, რომ „იუვენტუსს" ჩავარდნა ყველაზე საჭირო მომენტში დაეწყო. ტურინელებმა თავის მხრივ, საკმაოდ ბევრი ქულა გაანიავეს და ლიდერთან გათანაბრების ჩინებული შანსი გაუშვეს ხელიდან.

„ინტერის" ნახევარდაცვის ოთხეულს მართლაც დიდი ჯაფა ადგება და ფაქტია, რომ ეს რგოლი ველარ არის იმ კონდიციაში, რომელიც ჟოზე მოურინიოს დააკმაყოფილებს. შიგადაშიგ, **პატრიკ ვიერას** გამოჩენა რომ საქმეს ვერ შველის, ესეც ცხადზე ცხადია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ინტერში" მოწოდების სიმაღლეზე არც თავდასხმის ხაზია. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** უკონკურენციოა და თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ვინ ჰყავს მას მეწყვილედ? - თინეიჯერი **მარიო ბალოტელი**, რომელიც ჯერ კიდევ ეჩვევა დიდ ფეხბურთს და სტაბილურობა აკლია. მარიო გოლების ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ თუ იტალიელ ჟურნალისტებს ვენდობით, მოედანზე შავი სამუშაოს შესრულება, ფაქტობრივად, არ გამოსდის. ერთი სიტყვით, საჩემპიონო გუნდისთვის თინეიჯერი ბალოტელი არ უნდა იყოს შეუცვლელი ფიგურა და აპენინელი ჟურნალისტები სწორედ ამის აღნიშვნას ცდილობენ. თუ რატომ არის მარიო შეუცვლელი, ეგ ცალკე სალაპარაკო თემაა. **ადრიანოს** გუნდიდან წასვლამ თავდასხმის ხაზში ერთგვარი ვაკუუმი გააჩინა. **ერნან კრესპო** და **ხულიო კრუსი** დიდი ხანია სათამაშო პრაქტიკას მოკლებულნი არიან და შესაბამისად, მათი კონდიცია ოპტიმალურისგან ძალიან შორსაა. არგენტინელებს რამდენჯერმე მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ თავი ვერაფრით წარმოაჩინეს. პირიქით, კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ ჟოზეს მათი დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს. ასეთი მდგომარეობა, ადრიანოსთან დაკავშირებულმა მოვლენებმა გამოიწვია. მოურინიო ალბათ ვერ წარმოიდგენდა თუ წამყვან ფორვარდს ასე მოულოდნელად და გაურკვეველ ვითარებაში გამოეთხოვებოდა.

„ინტერის" პრობლემებს **ჟულიო სეზარის** ტრავმაც დაემატა. „ნერაძურისთვის" ბრაზილიელი კიპერი წარმატების ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. დიდწილად სწორედ სეზარის ბრწყინვალედ ჩატარებულმა შეხვედრებმა განაპირობა გუნდის სტაბილურობა მთელი სეზონის განმავლობაში. ბრაზილიელმა რამდენიმე პრინციპული პაექრობა უმაღლეს დონეზე გამართა და გუნდის გამარჯვების მთავარი შემოქმედი შეიქნა. მაგალითისთვის მილანური დერბის მოყვანაც შეიძლება, „ინტერის" მაშინდელი გამარჯვება დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო ფასეულად მოჩანს.

იტალიელი ჟურნალისტების ანალიზის მიხედვით, „ინტერში" ბევრი რამაა შესაცვლელი, მაგრამ უმეტესობა მაინც თანხმდება იმაზე, რომ „ნერაძური" სკუდეტოს მოპოვების ფავორიტია. კაცმა რომ თქვას, ეს ასეც არის, რადგან ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ხუთი ტურია დარჩენილი. „ინტერის" კოზირი სწორედ დარჩენილი შეხვედრების სიმცირეა. შეიძლება ითქვას, რომ მოურინიოს სამწყსო გაძლებაზეა. ამ მოსაზრებას არ იზიარებს **მასიმო მორატი** და სულ ბოლოს, სიტყვას სწორედ მას გადავცემთ:

*„სიმართლე გითხრათ, გაწბილებული ვარ - აქამდე საქმე არ უნდა მიგვეყვანა. ტურინში უნდა მოგვეგო „იუვენტუსთან" და ყველაფრისთვის წერტილი დაგვესვა. არ გეგონოთ, დარჩენილ შეხვედრებს პესიმისტური თვალით ვუყურებდე, მე ის ისტერია არ მომწონს, რომელიც ქულათა სხვაობის შვიდამდე შემცირებამ გამოიწვია. არ მინდა ამან ჩემს ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედოს. მჯერა ჟოზე მოურინიოსი, რომელიც ყველაფერთან ერთად, შესანიშნავი ფსიქოლოგია. პორტუგალიელი კარგად გაერკვევა ვითარებაში და გამოსავალს აუცილებლად იპოვის. არ მგონია, რომ გუნდში განსაკუთრებული პრობლემებია, უბრალოდ, კონცენტრაცია დავკარგეთ და ეს შედეგიც ამად მივიღეთ. მთავარია, გავაცნობიეროთ, რომ საჩემპიონო რბოლის ბოლომდე მიყვანაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს კარგი დასასრული ექნება".*

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რატომ გაფრინდა შევჩენკო ლონდონში...

**გუშინ, ანდრეი შევჩენკო** მილანიდან ლონდონში გაფრინდა, რამაც აპენინელი ჟურნალისტების ინტერესი გამოიწვია. როგორც პრესა გვატყობინებს, უკრაინელი ინგლისში საკუთარი მომავლის გარკვევის მოტივით გაემგზავრა. როგორც იცით, ანდრეი „ჩელსის" საკუთრებაა და „მილანში" იჯარის წესით ასპარეზობს. არისტოკრატები უკრაინელის სამსახურით დაინტერესებულნი აღარ არიან, რაზეც კლუბის წარმომადგენელთა განცხადებებიც მოწმობს. „გაძეტა დელო სპორტი" ვარაუდობს, რომ ანდრეის ლონდონური ვიზიტი ხელშეკრულების განწყვეტის ფორმებზე შეთანხმებას ემსახურება. აქვე უნდა ითქვას, რომ შევჩენკოს სამსახურით დიდად აღარც „მილანია" დაინტერესებული. ფაქტია, რომ ხახოლი ფეხბურთელის დაბრუნება წარუმატებელი გამოდგა. მიმდინარე სეზონში უკრაინელმა მხოლოდ 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და იტალიის სერია A-ში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა.

ანდრეის მომავალთან დაკავშირებით, ბუნდოვანი კომენტარი გააკეთა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ**:

*„შევჩენკოს გუნდში ყოფნით, ყველანი კმაყოფილები ვართ და გაგვიხარდება თუ ჩვენთან დარჩება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბოლომდე ვერ გაიხსნა და საუკეთესო თვისებები ვერ წარმოაჩინა. რაც შეეხება მის მომავალს, ჯერჯერობით, გაურკვევლობაში ვართ. ბევრი რამ „ჩელსის" პოზიციაზეა დამოკიდებული და ვნახოთ, რას იტყვიან არისტოკრატები. ანდრეი ლონდონში აპირებს გამგზავრებას და უმჯობესია, მის დაბრუნებას დაველოდოთ".*



გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაური**

ძიუდო. ტურნირის ექო

მოყვარეს პირში უძრახე...

# ცივი გაზაფხულის სამი დღე

## ანუ იმაზე, რაც დამაფიქრებელია...

**მაშ ასე, საქართველომ დამოუკიდებლობის ეპოქაში პირველად უმასპინძლა ასეთი დონის საერთაშორისო შეჯიბრებას - გაზაფხულის სამი ცივი დღის განმავლობაში ბევრი კონტინენტის საუკეთესო ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდნენ. ევროპის წლის საუკეთესო ფედერაციამ, წლის საუკეთესო მწვრთნელმა ვერ მოახერხეს, ქართველი გულშემატკივრისთვის სასურველი შედეგისთვის მიეღწიათ - ვერცხლი და ორი ბრინჯაო გვეცოტავება, ჩვენც და ქომაგებსაც. 2005 წლის მერე პირველად მოხდა, რომ საქართველოს ევროპის ჩემპიონი არ ჰყავს...**




### უკეთ, ვიდრე ბრაზილიაში, მაგრამ...

ავად თუ კარგად, საქართველომ შეძლო ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა, არადა, ობიექტურად მართლა ბევრი ხელის შემშლელი წინააღმდეგობა იყო. ზოგადად რომ ვთქვათ, პირველი ჯერისთვის არა უშავს. რაშიც დიდი დამსახურება ევროპის ძიუდოს კავშირის სპორტულ დირექტორს, ესტონელ **ინგრედ პერტელსონს** მიუძღვის, რომელიც ომახიანად, ქართულად შემოუძახებდა ხოლმე თანაშემწეებს. ძალიან ბევრი იშრომა შედარებით ნაკლები ჩინის რამდენიმე ადამიანმა, რომელთა ზურგზეც გადაიარა საორგანიზაციო საკითხების დიდმა ნაწილმა. რომ არა ისინი, ძნელი სათქმელია, რამდენად კმაყოფილი დაგვტოვებდნენ 39 ქვეყნის სპორტსმენები, ფუნქციონერები და მწვრთნელები. ამის მიუხედავად, პრობლემა ბევრი იყო, თუმცა ეს ბუნებრივია. სხვათა შორის, კოლეგებისგან მსმენია, რომ თბილისის ტურნირი გაცილებით უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე ბრაზილიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი.

ჟურნალისტის თვალით დანახული საორგანიზაციო პრობლემები მაინც სუბიექტურია, რადგან ჩვენ, უპირველესად, იმ ხარვეზებს ვამჩნევთ, რომლებიც ხელს გვიშლის მუშაობაში, მაგრამ შეიძლება, გაცილებით უფრო საპრობლემო საკითხები სპორტსმენთა სასტუმროებში ან თუნდაც დოპინგკონტროლის ოთახში გროვდება, რაზეც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება. მაგრამ მაინც ჩამოვთვლით - პირველ დღეს სპორტის სასახლის კარები მაყურებელთათვის დროულად არ გაალეს, დილის ათ საათზე ბრძოლები დაწყებული იყო, ხალხი კი ამაოდ ელოდა რამდენიმე წუთი გარეთ. პრესლოჟაში მოხვედრილებს ქართველი ჟურნალისტებისთვის ჩვეულებრივი სკამები დაგვხვდა, მაშინ როცა უცხოელებს მაგიდასთან მუშაობის საშუალება ჰქონდათ. კი მაგრამ, რატომ? გაიფიქრებთ, მაგრამ ამავე დროს კარგად იცი, თუ რა ბრძოლის გადახდამ მოუწიათ ზოგიერთებს, რომ უცხოელებისთვის მაინც შეექმნათ მუშაობის პირობები. სასახლეში უკაბელო ინტერნეტი იყო, თუმცა ისე ცუდად მუშაობდა, რომ პირველი დღის შემდეგ უარი ვთქვი ნოუტბუკზე, საბრალო უცხოელებს კი სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ. სხვათა შორის, კვირას, მძიმეწონოსანთა დაჯილდოების ცერემონიალის დასრულებისთანავე, გამორთეს ინტერნეტი და ჯერაც მომუშავე რეპორტიორები პირდაღებულები დატოვეს. ასეთი დონის ტურნირებზე ჟურნალისტთათვის ყოველთვის გამოყოფილია სწრაფი კვების მომსახურება, რადგან მთელი დღის განმავლობაში მომუშავე ადამიანი სხვაგან წასვლით არ მოსცდეს, ჩვენთან კი, როდესაც ეს საკითხი დააყენეს, ერთ მაღალჩინოსანს უთქვამს, ახლა ეგენიც გამომაკვებინეო... მართალია, ბოლო დღეს ეს პრობლემა მოგვარდა, თუმცა ისიც იმ ადამიანის ძალისხმევით, რომელსაც ეს არც ეხებოდა.

### გულშემატკივრის ფასი

თბილისის მსოფლიოს თასი მუდამ ანშლაგით ჩაივლის ხოლმე, ევროპის ჩემპიონატზე კი 2-3 ათასი მაყურებელი თუ დადიოდა სპორტის სასახლეში (კვირას, ალბათ, 4 ათასიც იყო). მიზეზად რა არ დასახელდა: ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, როდესაც გადაკეტილი გზების გამო მაყურებელთა ნაწილს მოსვლა ეზარებოდა, მწვრთნელს და ძიუდოისტების ნაწილს შორის დაპირისპირება, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც მაღალი ფასი გვგონია - ერთ დღეში 10 ლარი მეტისმეტია ჩვენისთანა ქვეყნისათვის (მართალია, ბოლო დღეს დააკლეს, მაგრამ ამან ველარ უშველა). გამოდის, რომ ევროპის ჩემპიონატის სრულფასოვნად საყურებლად გულშემატკივარს 30 ლარი უნდა გაელო. რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატს ფასი უნდა ედოს, ჩვენც უნდა მივეჩვიოთ, რომ მაღალი დონის შეჯიბრებას ლარად არავინ გაყურებინებს, მაგრამ, ვფიქრობთ, 5-ლარიანი კომპრომისული ფასი გაცილებით მეტ მაყურებელს მოიზიდავდა სპორტის სასახლეში.

### შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვა

სამი დღის განმავლობაში ჩვენმა 7-მა ძიუდოისტმა (მაპატიონ ქალებმა, ისინი ახლა იწყებენ და მათთვის მონაწილეობა უკვე წარმატებაა) იასპარეზა კონტინენტის პირველობაზე, აქედან სამი მედალს შესწვდა. გამორჩეულებიც სწორედ ისინი იყვნენ. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის 20 წლის **ვარლამ ლიპარტელიანისთვის**, რომელმაც სულ სხვა ელფერი შესძინა ბოლო დღეს სპორტის სასახლეში შექმნილ სიტუაციას. შეჯიბრების ორგანიზატორებმა გამოითვალეს, რომ ბოლო წლის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე კარგ ფორმაში სწორედ ლიპარტელიანია, იგი მოგებების პროცენტული მაჩვენებლით ფრანგული ძიუდოს ამომავალ ვარსკვლავ **ტედი რინერსაც** უსწრებს. ძალიან კარგი იქნებოდა ოქროც, მაგრამ... რას იზამ, ეს სპორტია, მით უმეტეს ძიუდო, სადაც ყველაფერი ხდება. ისე, არ მიმაჩნია სწორად, როდესაც ევროპის ჩემპიონატამდე 5-6 თვით ადრე 20 წლის ბიჭისგან უეჭველ ოქროს ითხოვ, ამით მას უდიდესი წნეხის ქვეშ აგდებ. ამაში, ალბათ, ჩვენ, მედიასაც მიგვიძღვის დანაშაული. მადლობის მეტი რა გვეთქმის **ნესტორ ხერგიანისთვის**, რომელმაც ორ სუპერვარსკვლავს აჯობა ტურნირზე. „ბებერი ხარის" რქებმა თავისი გაიტანა, მან მთელი ენერგია და მონდომება ჩადო ბრძოლაში და შედეგსაც მიაღწია. სამწუხაროდ, ასაკი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის სამომავლო პერსპექტივებს. თავი გამოიჩინა **ლევან წიკლაურმაც**, რომელიც დროულად გამოჩნდა ქართული ძიუდოსთვის აქილევსის ქუსლად ქცეულ 81 კგ წონით კატეგორიაში. სამწუხაროდ, ამ სამეულის გარდა, საქებარს და სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვით ნაკრების დანარჩენ წევრებზე.

აქ ჩვენთვის და გულშემატკივრებისთვის ერთ მტკივნეულ საკითხს მივადექით - განა იყო კი საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით დაკომპლექტებული? ზოგადად მიღებული პრაქტიკაა, როცა ძლიერ ძიუდოისტთა ნაწილი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს და აქცენტს მსოფლიოს ჩემპიონატზე აკეთებს. მაგრამ... ევროპის ჩემპიონატი ხომ თბილისში ტარდებოდა, ნუთუ საკუთარ კედლებში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ჭიდაობა არაფერს ნიშნავს? ნუთუ ამის შანსი მათ ყოველ მეორე სეზონში მიეცემათ? თავი დავანებოთ ყველა სახის დაპირისპირებას თუ უთანხმოებას. თუმცა ვერც ამას ავცდებით, შუბი ხალთაში დაიმალება? არა!

### ეს იქნება იოლი და არასწორი გამოსავალი

ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელსა** და ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის რომ შავმა კატამ გაირბინა, ჯერ კიდევ ოლიმპიადიდან დაბრუნებისას გახდა ცხადი, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონის ბინით დაჯილდოებისას ხაბარელმა პირველად გამოთქვა უკმაყოფილება საჯაროდ. ნაკრების საევროპო შეკრებაზე კი დაპირისპირებამ უკვე სხვა სახეც მიიღო, ხაბარელს ნაკრების წევრი ძიუდოისტებიც აუჯანყდნენ და ზოგიერთმა შეკრება მიატოვა კიდეც. სამწუხაროდ, ამ დღეებში დარბაზში ყოფნისას კარგად დავინახე, რომ ეს დაპირისპირება არ მოგვარებულა. ცხადია, ძიუდო ინდივიდუალური სახეობაა და აქ მწვრთნელს არ აქვს ფუფუნება, სპორტსმენთა ნაწილი დაითხოვოს და მაინცააწყოს კარგი გუნდი, აქ თითოეულ ტალანტს დიდი ფასი აქვს და როდესაც ათიდან, ვთქვათ, ნახევარი გიპირისპირდება, ძნელია წარმატებას მიაღწიო, შეუძლებელიც.

ისიც ითქვა, ზოგიერთი ნაკრების ჩავარდნას ელოდება, რომ შემდეგ ყველაფერი ერთ კაცს დაჰბრალდესო. არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი კატეგორიის ხალხი არსებობს, ეს არც ლოგიკაში ჯდება... თუმცა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთს კი ვიტყვი, რომ ცუდი შედეგებისთვის, საერთოდ, მხოლოდ მწვრთნელი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი, ეს იოლი და არასწორი გამოსავალი იქნება.

ახლაც თვალწინ მიდგას შეჯიბრების პირველ დღეს უკრაინელი **გიორგი ზანთარაიას** მიერ ბრწყინვალედ შესრულებული „ამოსმული შუაკაური". გამორჩეულ ტალანტებს ისევ ვკარგავთ, ნეტავ, ამაზე ვინლაა პასუხისმგებელი?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველლიგური მარათონიც დაიწყო

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში წლეულს რვა გუნდი ასპარეზობს. ამათგან სამი დებიუტანტია და სამივე რეგიონიდანაა. მათგან ერთ-ერთმა, ქუთაისის „ბაგრატმა" სტარტი წარმატებულად აიღო.

პირველ ტურში ქუთაისელმა მორაგბეებმა თბილისის „თიბისი" მიიღეს და 25:17 დაამარცხეს. არანაკლებ დაძაბული და საინტერესო გამოდგა თბილისური გუნდების „დევებისა" და „ხულიგანას" დაპირისპირება. გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა - 27:11.

თავის ისტორიაში პირველი შეხვედრა გამართა ოზურგეთის „არწივებმა". გურული მორაგბეები თბილისში „არმაზს" სტუმრობდნენ და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ - 7:88. ალსანიშნავია, რომ არმაზელები გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები არიან.

სამწუხაროდ, არ შედგა ფოთის „აიეტის" დებიუტი. თბილისში ჩამოსულ ფოთელ მორაგბეებს სათამაშოდ „დინამო" არ გამოუცხადდა. თბილისურ კლუბს, ცხადია, წაგება ჩაეთვალა.

**I ლიგა. I ტური.**

**არმაზი (თბ) - არწივები (ოზ) 88:7, ხულიგანა (თბ) - დევები (თბ) 27:11, ბაგრატი (ქუთ) - თიბისი (თბ) 25:7, დინამო (თბ)-აიეტი (ფოთ)** *(დინამო არ გამოცხადდა).*

**ჭაბუკთა A ლიგა**

დასავლეთი ზონა

არგო (ვანი) - ბათუმი XV 94:3, იმერეთი (ჭიათ) - ქუთაისი-2 8:0, ჩიბათი (ლან) - ქუთაისი-1 0:76.

**ჭაბუკთა B ლიგა**

დასავლეთი ზონა.

**ბათუმი XV - ქუთაისი-1 0:98, აიეტი (ფოთი) - ჩიბათი (ლან) 62:0, არგო (ვანი) - ტაო (ახალციხე) 5:0, იმერეთი (ჭიათ) - ქუთაისი-2 5:32.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ გიორგი ჩხაიძესთან

# ელიტაში, ოღონდ არა მეტრო რასინგთან ერთად

**საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი გიორგი ჩხაიძე, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „მეტრო რასინგში" ერთი წლის წინათ ჩაირიცხა. პარიზულმა კლუბმა წლევანდელი სეზონი ალმავლობით ჩაატარა და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. ამასთან, ელიტარული პირველი დივიზიონის საგზურიც მოიპოვა. თითქმის დასრულებული სეზონისა და მომავლის გეგმების შესახებ სასაუბროდ გიორგის საფრანგეთში დავუკავშირდით:**

- განვლილ უქმეებზე გასვლით შეხვედრაში „ბორდო" დავამარცხე და მდევრებისთვის მიუწვდომელი გავხდით. ჩვენი გუნდი სეზონის დაწყებიდან დღემდე ლიდერი იყო და ელიტაში თამაშის უფლება დამსახურებულად მოიპოვა.

**- უკვე მერამდენე მატჩია, გუნდის შემადგენლობაში არ ჩანხართ. უფრო ზუსტად, რაც ეროვნულმა ნაკრებმა ერთა თასზე გამოსვლა დაასრულა და კლუბში დაბრუნდით, საფრანგეთის ჩემპიონატში აღარ გითამაშიათ. რა არის მიზეზი?**

- ალბათ, სწორედ ის, რომ ორი თვე კლუბიდან წამოსული ვიყავი ნაკრებში სათამაშოდ. უფრო ზუსტი მიზეზი არ ვიცი. მწვრთნელს ისე უჭირავს თავი, ვფიქრობ, რაღაცაზე განაწყენებული უნდა იყოს. რაზე? - ვერ გამიგია.

**- როგორ ფიქრობთ, გუნდის დატოვება ხომ არ მოგიწევთ?**

- ადვილი შესაძლებელია. აქ კონტრაქტი ერთი პლუს ერთის პრინციპით მაქვს გაფორმებული. ჩემი დატოვება რომ უნდოდეთ გუნდში, აქამდე მეტყოდნენ, დამელაპარაკებოდნენ. თუმცა ისიც არავის უთქვამს, კონტრაქტს არ გიგრძელებთ და სხვა გუნდი მოძებნეო.

**- მაგათ მოლოდინში ალბათ გულხელდაკრეფილიც არ იქნებით...**

- დიახ, მაქვს საკმაოდ რეალური შემოთავაზება პირველი დივიზიონის გუნდიდან. თქვენი ნებართვით ჯერ ამ გუნდის სახელს არ გავამხელ. კვირის ბოლოს უნდა შედგეს მოლაპარაკება და გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებ.

მეორე მხრივ, „მეტრო რასინგიდანაც" არ მინდა წასვლა. ცუდია, როცა მორაგბე ყოველ წელიწადს გუნდს იცვლი. თუმცა არც ის მინდა, გუნდში დამტოვონ და თამაშის საშუალება არ მომეცეს.

**- ამჟამად თუ ვარჯიშობთ გუნდთან ერთად?**

- რა თქმა უნდა, ვვარჯიშობ. ნაკრებიდან კლუბში მხარისა და კოჭის ტრავმით დავბრუნდი. თუმცა ეს თამაშში ხელს არ შემიშლიდა. მწვრთნელს რომ ეთქვა, უნდა გათამაშოო, უარს არაფრით ვეტყოდი. თავს გადავდებდი, ტკივილს გავუძლებდი და მაინც ვითამაშებდი.

**- „მეტრო რასინგის" მწვრთნელი პიერ ბერბიზიე საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტია. ალბათ მასთან მუშაობამ დიდი გამოცდილება შეგძინათ. აგერ თქვენი გუნდის ელიტურ დივიზიონში აყვანაც შეძლო.**

- მწვრთნელი შეიძლება კარგია, მაგრამ ვერავის ეწყობა იტალიელების გარდა. თავიდან რომ გავიცანი, თბილად შემხვდა. ვისაუბრეთ, ვიხუმრეთ, ვიცინეთ. სეზონის შუაგულამდე ჩემი თამაშითაც კმაყოფილი იყო. მერე აღარ ვიცი რა მოუვიდა.

ელიტურ დივიზიონში გადასვლას, ამ გუნდით, ჩვენ რომ გვაყავს, ნებისმიერი მწვრთნელი შეძლებდა. ანდა, მწვრთნელი რად უნდა. ბერბიზიე რომ არ ყოფილიყო, კიდევ უფრო უკეთესად ითამაშებდნენ. თავად განსაჯეთ, ენდრიუ მერთენსს და სირილი ბობოს ვინ რა უნდა ასწავლოს.

ერთი არგენტინელი გვყავდა, ავგუსტინ პიშო. ძალიან ძლიერი, კვალიფიციური მორაგბე იყო. თამაშს თავისებურად მართავდა. ბერბიზიე სულ ეჩხუბებოდა. ამას ასე ნუ აკეთებ, ეს ისე ქენიო. პიშომ უთხრა - მომისმინე, ან ისე ვითამაშებ, როგორც მესმის და შემიძლია, ანდა საერთოდ, თავი დამანებეთო. მოკლედ, ერთი წლის კომპენსაცია გადაუხადეს და გაუშვეს. ძალიან მძიმე კაცია. კლუბში ყველაფრის ბატონ-პატრონი ეგაა. ხელმძღვანელობა დიდ ნდობას უცხადებს.

**- „მეტრო რასინგი" ფინანსურად საკმაოდ ძლიერი კლუბია. იქნებ მაინც მოხერხდეს თქვენი ამ გუნდში დარჩენა?**

- არა მგონია, ამათ გუნდში ჩემი დატოვება უნდოდეთ. ფული ნამდვილად ბევრი აქვთ. ახლა პირველ დივიზიონში გადავიდნენ და რამდენიმე უმაღლესი დონის მორაგბის დამატებას აპირებენ. ჩემს პოზიციაზე, მესამე ხაზში საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეები სებასტიან შაბალი და ლიონელ ნალე მოჰყავთ. გუნდში უკვე ჩარიცხულია კიდევ ერთი მესამეხაზელი ფაბრის კულინი.

ამათ გარდა, აპირებენ ინგლისელი უკანახაზელის ლაინ ბოლშოს, ირლანდიელი როკი ელსომის, სამხრეთაფრიკელების ფრანსუა სტეინისა და პეტერ გრანტის დამატებას. საკმაოდ შთამბეჭდავი შემადგენლობა იკრიბება. უნდათ, „მეტრო რასინგს" ძველი დიდება დაუბრუნონ. ეს გუნდი ხომ საფრანგეთის პირევლი სარაგბო ჩემპიონატის გამარჯვებულია.

**- ივნისში, საქართველოს ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში სამ შეხვედრას გამართავს ჩერჩილის თასის გათამაშებაში. იქნებით თუ არა გუნდთან ერთად ამ ტურნეში?**

- ახლა მიჭირს ამაზე გადაჭრით პასუხის გაცემა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომელ გუნდთან გავაფორმებ ახალ კონტრაქტს. მინდა, ახალი სეზონის წინ მზადების დაწყებამდე ცოტა დრო დამრჩეს დასასვენებლად. ყოველდღე ვარჯიშები, თამაშები ფიზიკურად იმდენად არა, მაგრამ ფსიქოლოგიურად გღლის. მინდა, ცოტა ხნით საქართველოში ჩამოვიდე და ძალა მოვიკრიბო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი U 20. ნახევარფინალები

# დღეს გადამწყვეტი მატჩია


რუსთავი-მაქაბი

**25 აპრილი**
**რუსთავი–მაქაბი 106:80**
34:12, 25:18, 23:23, 24:27

რუსთავი: მაჭავარიანი (33ქ), სიხარულიძე (3ქ), გურული (4ქ), აბაიშვილი (9ქ, 14პ, 8მ), თვარაძე (19ქ), ბერუაშვილი, ჩაჩანიძე (3ქ), დვალიშვილი (7ქ, 17მ), ხმელიძე (19ქ, 9მ, 6ჩ), დოლიაშვილი

მაქაბი: კილაძე, პატარაია (8ქ), ჯიქია (3ქ), არონია, სუდაძე, ლონდარიძე (8ქ, 9მ), იოსელიანი (18ქ, 15მ), აპმედიანი (7ქ, 6პ), კოპალიანი (2ქ), ჯანგველაძე (22ქ, 7მ), ჩლაიძე (12ქ)

**26 აპრილი**
**მაქაბი–რუსთავი 92:89**
21:22, 23:26, 21:11, 27:30

მაქაბი: კილაძე (1ქ), პატარაია (11ქ, 11პ), ჯიქია (3ქ), სუდაძე (2ქ), ლონდარიძე (25ქ, 14მ), იოსელიანი (15ქ, 9მ, 3დ), აპმედიანი (4ქ), კოპალიანი (2ქ), ჯანგველაძე (17ქ, 13მ), ჩლაიძე (12ქ)

რუსთავი: მაჭავარიანი (14ქ), სიხარულიძე (10ქ), აბაიშვილი (9ქ, 14პ, 8მ), თვარაძე (12ქ, 7მ), ბერუაშვილი, ჩაჩანიძე (5ქ), დვალიშვილი (22ქ, 18მ, 5დ), ხმელიძე (22ქ, 9მ), გუგავა (2ქ)

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შარშანდელი ფინალისტები, "მაქაბი" და "რუსთავი" ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ. რეგულარული ჩემპიონატი ქვემოქართლელებმა მოიგეს და წყვილის ფავორიტებადაც ისინი მიიჩნევიან, მაგრამ ჯერჯერობით სერიაში ანგარიშია 1:1.

...1:1 "რუსთავის" სასარგებლოდ (შეიძლება ასეც ითქვას), რადგან მესამე გადამწყვეტი მატჩი "ქიმიკოსთა" დარბაზში დღეს გაიმართება. სწორედ ეს თამაში გაარკვევს ფინალისტის ვინაობას.

სერიის პირველ შეხვედრაში "რუსთავმა" იმდენად იოლად გაიმარჯვა რომ შეიძლება თვითონაც არ მოელოდა. პირველ წუთებზე მასპინძლები 23:1 დაწინაურდნენ და დარჩენილ დროში მაქაბელებისთვის შანსი არ მიუციათ. რუსთაველთაგან **ზურაბ მაჭავარიანი** გამოირჩა, რომელმაც 33 ქულა მიითვალა.

**ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდებმა მეორე მატჩის წინ გადაწყობა მოახერხეს და მეტოქეს თანაბარი თამაში გაუჩალეს. პირველმა ტაიმმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. გადამწყვეტი გამოდგა მესამე ათწუთეული, რომელშიც "მაქაბიმ" 21:11 იმარჯვა. მეოთხე რაუნდში ქვემოქართლელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ დაწევა მაინც ვერ მოახერხეს.

თბილისელებს ორმაგი დუბლით შეეხიდნენ **ილია ლონდარიძე** და **გიორგი ჯანგველაძე**. პირველმა 25 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა, მეორემ – 17 ქულა და 13 მოხსნა. ასევე დაბლ-დაბლით გამოირჩა **შოთა პატარაიას** უმცროსი ძმა **გუგა**, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა "მაქაბის" იერიშებს და საბოლოოდ 11-11 ქულა-პასი მიითვალა. ნახევარფინალებში "მაქაბის" თურქეთიდან დაუბრუნდა **დავით იოსელიანი**. მან გამარჯვებაში 15-ქულიანი წვლილი შეიტანა.

მეორე მატჩში "რუსთავს" აკლდა **მალხაზ აბაიშვილი**, რომელმაც პირველში 14 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

# აკადემია პირველი ფინალისტია

**23 აპრილი**
**აკადემია–მართვე 85:69**
19:17, 21:26, 21:11, 24:15

აკადემია: სანაია (2ქ), კორსავა (2ქ, 8მ), ბოქოლიშვილი (44ქ), გასიტაშვილი (1ქ), კ. მუმლაძე (4ქ), თენეიშვილი (10ქ), მელაშვილი (1ქ), ჯავახიშვილი (5ქ, 10მ), ელიაძე (7ქ), მეფარიშვილი (9ქ)

მართვე: დ. მუმლაძე (7ქ, 6მ), ჭიჭვეიშვილი (3ქ), ლომოური (9ქ), ბააკაშვილი (16ქ, 7მ, 7პ, 4ჩ), გოცაძე, ბაშარული (4ქ), ტუხაშვილი (24ქ, 13მ), კვეტენაძე (6ქ)

**24 აპრილი**
**მართვე–აკადემია 77:82**
19:19, 21:28, 16:22, 21:13

მართვე: დ. მუმლაძე (17ქ, 6მ), ჭიჭვეიშვილი (13ქ), ლომოური (10ქ), ბააკაშვილი (9ქ), ბაშარული, ტუხაშვილი (21ქ, 23მ), კვეტენაძე (5ქ, 12მ), ნიკურაძე (2ქ)

აკადემია: სანაია, კორსავა (7ქ, 6მ, 5პ), ბოქოლიშვილი (34ქ, 6მ), გასიტაშვილი (3ქ), კ. მუმლაძე (8ქ), თენიეშვილი (12ქ, 8მ), მელაშვილი (4ქ), ჯავახიშვილი (6ქ, 7მ), ელიაძე (5მ), მეფარიშვილი (8ქ)

**გია კაზანჯიანის** მიერ გაწვრთნილ "აკადემიას" ნახევარფინალში "მართვეს" დასაძლევად ორი მატჩი ეყო.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა (ისევე, როგორც ამ გუნდების დაპირისპირებები რეგულარულ ეტაპზე).

საწყის მატჩში პირველი ტაიმი **ბააკაშვილის** და **ტუხაშვილის** დამაჯერებელი თამაშის წყალობით "მართვემ" მოიგო – 43:40. ბააკაშვილი კარგად ხელმძღვანელობდა მართველთა იერიშებს, ხოლო ტუხაშვილი, რომელიც მოხსნებში უბადლოა, პერიმეტრზეც ადიოდა და სამქულიანებსაც ზუსტად ისროდა (3 სამიანი პირველ ნახევარში).

მესამე პერიოდიდან "აკადემიამ" დაცვაში თამაში გამოასწორა, ხოლო შეტევაში შეუჩერებელი იყო **მერაბ ბოქოლიშვილი**, რომელიც საბოლოოდ 44 ქულამდე ავიდა.

განმეორებით მატჩში მერაბმა 10-ით ნაკლები, 34 ქულა მიითვალა, რაც "აკადემიას" გამარჯვებისა და ფინალში გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა. "აკადემიკოსებს" თავიდან ამ მატჩშიც გაუჭირდათ, თუმცა მესამე პერიოდში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და ორი წამყვანი კალათბურთელის (**ჯავახიშვილმა** და **ელიაძემ** 5-5 ჯარიმა მიიღეს) გამოკლების მიუხედავად, მიღწეულის შენარჩუნება მაინც მოახერხეს.


დინამო ფინალში გასვლას ზეიმობს

საქართველოს ჩემპიონატი U 18. ნახევარფინალები

# დინამო ელის

**23 აპრილი, თბილისი**
**დინამო–რუსთავი 66:58**
22:11, 20:13, 20:15, 4:19

დინამო: ბაქრაძე (12ქ), გულდედავა (6ქ, 6მ), კაკაურიძე (19ქ, 4ჩ), გუგუშვილი (2ქ), ალხანაიძე (9ქ, 13მ), კოლუაშვილი (6ქ), გელაშვილი (2ქ), დეკანოიძე (10ქ, 13მ)

რუსთავი: გურული (5ქ, 4პ), არაბული (4ქ), მესხი (3ქ), დვალიშვილი (31ქ, 17მ), აზრუმელაშვილი (7ქ), ფხალაძე (2ქ), დოლიაშვილი (6ქ)

**24 აპრილი, რუსთავი**
**რუსთავი–დინამო 58:59**
14:18, 19:13, 14:12, 11:16

რუსთავი: გურული (6ქ), არაბული (8ქ, 4ჩ), მესხი (4ქ), მაისურაძე (10ქ, 11მ), დვალიშვილი (25ქ, 23მ, 6პ, 5ჩ, 5დ), აზრუმელაშვილი (5ქ, 7მ), ფხალაძე

დინამო: ბაქრაძე (12ქ, 5პ), გულდედავა (12ქ, 7მ), კაკაურიძე (9ქ, 7მ), ტიკიშვილი (3ქ), გუგუშვილი, ალხანაიძე (13ქ, 13მ), კოლუაშვილი (5ქ), გელაშვილი (2ქ), დეკანოიძე (5ქ, 7მ)

თბილისის "დინამომ" ფინალის საგზური პირველ რიგში გუნდური თამაშის წყალობით მოიპოვა. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დინამოელებს **დავით თორთლაძე** წვრთნის. მას, მართალია, 90-იან წლებშიც გაუწვრთნია "თორსი", მაგრამ კალათბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ჯერ 10 წლის ბავშვებს ავარჯიშებდა, შემდეგ შედარებით უფროსებზე გადავიდა და მიმდინარე სეზონის დასაწყისში პირველად ჩაუდგა სათავეში გაცილებით სერიოზული ასაკის კალათბურთელებს - "დინამოს" ჭაბუკთა გუნდს წვრთნის. 18-წლამდელებში მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა – პირველივე ცდაზე ფინალში გაალწია.

ასე რომ, საქართველოში კიდევ ერთი ნიჭიერი მწვრთნელი გამოჩნდა...

"დინამო"-"რუსთავის" პირველი მატჩი თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მათ საწყის 30 წუთში რუსთაველებს მხოლოდ 39 ქულა ჩააგდებინეს, თვითონ კი 62-მდე ავიდნენ. მეოთხე პერიოდში ქვემოქართლელებმა თამაშის გამოსწორება მოახერხეს, მაგრამ დაწევა - ვერა.

გაცილებით სანახაობრივი გამოდგა რუსთავში გამართული მეორე მატჩი. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე მასპინძლები 9 ქულის სხვაობით იგებდნენ, მაგრამ "დინამომ" თამაშის შემოტრიალება მაინც მოახერხა. სირენამდე 50 წამით ადრე თბილისელმა **შალვა კაკაურიძემ** ანგარიში სამქულიანით გაათანაბრა. მატჩის დასრულებას 4 წამი აკლდა, როცა ანგარიშზე 58:59 რუსთაველი **აკაკი დვალიშვილი** საჯარიმოს ხაზზე დადგა. მას მანამდე 6-დან 6 საჯარიმო ჰქონდა ჩაგდებული, თუმცა ბოლოს ორივე ააცილა და ფინალში "დინამო" გავიდა.

დვალიშვილმა მნიშვნელოვანი ტყორცნები კი გააცუდა, მაგრამ რომ არა მისი დამაჯერებელი თამაში (25 ქულა, 23 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა, 5 დაფარება) მასპინძლების საქმე მანამდე მოთავდებოდა.

"დინამო" ფინალში "ენერჯისა" და "აკადემიას" შორის გამარჯვებულს ელის.

ჭაბუკთა მატჩების სრული სტატისტიკის ხილვა შეგიძლიათ 18-წლამდელთა ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე – www.u-18.ge.

# აკადემია აქაც დაწინაურდა

**26 აპრილი**
**ენერჯი–აკადემია 63:86**
13:23, 14:16, 17:18, 19:29

ენერჯი: მალრაძე (10ქ, 6მ), გურაბანიძე (5ქ, 5პ, 6მ), ჩერქეზიშვილი (9ქ), სანაძე (10ქ, 7მ), მაჩალაძე (10ქ, 7მ), მირიანაშვილი (2ქ), ელანიძე (17ქ, 9მ)

აკადემია: სანაია (7ქ), ბოქოლიშვილი (23ქ, 5პ), მუმლაძე (14ქ, 8მ), თენეიშვილი (15ქ, 15მ), ჯავახიშვილი (11ქ, 8მ), ელიაძე (10ქ, 8მ, 4პ), ლობჟანიძე (4ქ)

18-წლამდელთა პირველობაზე მოასპარეზე "აკადემიაში" ძირითადი ბირთვი იმ გუნდიდანაა, რომელმაც 20-წლამდელებში ფინალის საგზური მოიპოვა.

ასე რომ, "აკადემიკოსები" თანატოლ ჭაბუკებში ტურნირის ფავორიტები რომ არიან, ნამდვილად არაა გასაკვირი. **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა "ენერჯისთან" პირველ მატჩში დამაჯერებლად გაიმარჯვეს – 86:63.

ბომბარდირობა აქაც არავის დაუთმო **მერაბ ბოქოლიშვილმა** (23 ქულა ჩააგდო), ხოლო ეფექტური ორმაგი დუბლი გაიფორმა **ნოდარ თენეიშვილმა** – 15 ქულა, 15 მოხსნა.

სერიის მეორე მატჩი დღეს, "აკადემიას" დარბაზში გაიმართება.

ლეგიონი. ესპანეთის ჩემპიონატი

# ცქიტიშვილი საპლეიოფო რვა გუნდში მოხვდა

**ნიკოლოზ ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადამ" მეტისმეტად რთული მატჩი გამართა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ცქიტოს თანაგუნდელები მადრიდში ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ (27 მოგება, 3 მარცხი) ბასკურ ტაუ-ს დაუპირისპირდნენ და 103:90 დაამარცხეს. აქ არ შეიძლება, იმის თქმა, რომ ტაუ-ს გამარჯვება არ სჭირდებოდა, რადგან მას კუდში მისდევს "ბარსელონა", რომელმაც ბოლო ტურში **ტაირონ ელისის** "კახასოლს" სძლია – 93:67.

დავუბრუნდეთ ნიკა ცქიტიშვილის თამაშს. მან მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მოედანზე 14 წუთი გაატარა. მას დრო უქმად არ დაუკარგავს: 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 7 ქულას 5 მოხსნა შემატა.

ნამდვილად არ გვეგონა, რომ საშინაო მატჩს წააგებდა "ფუენლაბრადას" უშუალო კონკურენტი "მანრესა". მან შინ "გრანადასთან" 75:90 წააგო და მერვე ადგილი ცქიტოს გუნდს დაუთმო.

პლეი ოფში სწორედ საუკეთესო რვაეული გადის. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე მადრიდელებს 15-15 მოგება-წაგება აქვთ, ხოლო მანრესელებს – 14 გამარჯვება და 16 მარცხი. "ფუენლაბრადა" მომდევნო ტურში "ბილბაოს" ეწვევა, ხოლო რეგულარულ ეტაპს შინ "ხუვენტუდთან" მატჩით დახურავს.

ტაირონ ელისის "კახასოლი" ერთგვარ "ბუფერულ" ზონაშია – არც გავარდნა ემუქრება და არც - პლეი ოფში მოხვედრა.

ელისმა "ბარსასთან" 32 წუთში 9 ქულა, 6 პასი და 1 მოხსნა მოაგროვა.



ბურთით ნიკა ცქიტიშვილი

ლეგიონი. ქართველი NBA-ში

# ზაზა ფაჩულია: თვალი ჩალურჯებული მაქვს, მაგრამ...

გუშინ "მაიამი"-"ატლანტას" მატჩზე საუბრისას გითხარით, რომ **ზაზა ფაჩულიამ** თვალი დაიზიანა. ერთ-ერთმა ფლორიდულმა გაზეთმა ისიც კი დაწერა, ზაზას თვალი ისე ჰქონდა ჩალურჯებული, თითქოს ტაისონთან ეჩხუბოსო.

ქართველი კალათბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობით დავინტერესდით და ფაჩულიასგან შევიტყვეთ, რომ საშიში არაფერია.

- მესამე მატჩში მეტოქესთან შეჯახებისას თვალი დავიზიანე და მაშინვე დამისივდა. ახლაც ჩალურჯებული და დასივებული მაქვს, მაგრამ არ მაწუხებს და იმედია, მალე გამივლის, - თქვა ზაზამ.

მას "მაიამისთან" მეოთხე მატჩზეც ვკითხეთ...

- თვალის ტრავმა მოედანზე გამოსვლაში ხელს არ შემიშლის. "მაიამისთან" ვითამაშებ. ჩემი აზრით, მეოთხე შეხვედრა სერიის მთავარი დაპირისპირებაა, რომელშიც "ატლანტას" წაგება არ შეიძლება. მარცხის შემთხვევაში, "მაიამის" მომდევნო ეტაპამდე ერთი მატჩიღა ექნება მოსაგები, რაც არ უნდა დავუშვათ.

შეგახსენებთ, რომ სერიას "ჰიტი" იგებს – 2:1.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ჩოგბურთი

# შეძლება ძალაზე კიდია...

საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრები ანთალიიდან დაბრუნდა, თუმცა არასრული შემადგენლობით - ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი ევროპაში გაემგზავრნენ სხვადასხვა ტურნირში სათამაშოდ, შაფათავა კი უზბეკეთში გადაფრინდა საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ. ტატიშვილი, იცით, რომ ამერიკაში ცხოვრობს და ვარჯიშობს, ამიტომ მის დაბრუნებას არც ველოდით; მაკაც წლებია, უმეტეს დროს ევროპაში ატარებს. გუშინ ვწერდით, იმ მიზეზებზე, რამაც განაპირობა ქართველთა მარცხი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო. გუშინ ვეწვიეთ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას და ნაკრების კაპიტან ლალი ზერეკიძეს და ფედერაციის პრეზიდენტს ლეილა მესხს გავესაუბრეთ. ვინაიდან ნაკრებს უშუალოდ ქალბატონი ლალი ხელმძღვანელობდა, მთავარი კითხვები მასთან გვქონდა.

**- გამგზავრებამდე ყველას გვეიმედებოდა გამარჯვების და ვფიქრობდით, რომ პირველ ჯგუფში გადავიდოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. რატომ ვერ შეძელით სასურველი შედეგის მოპოვება? რამ შეგიშალათ ხელი?**

- იმედი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეტისთვის მზად არ ვიყავით. თანამედროვე ჩოგბურთში საერთო კლასი საკმაოდ ამაღლდა და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება რთულია. თურქეთის ნაკრებსაც კი, რომელსაც 3:0 მოვუგეთ და საბოლოოდ დატოვა კიდეც მეორე ჯგუფი, ძალიან სიმპათიური ნაკრები ჰყავს და რამდენიმე წელიწადში ბევრად ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა. სამხრეთ აფრიკასთან მაკა ჩახნაშვილს არ წაუვიდა თამაში. რატომღაც რიტმში ვერ ჩაჯდა, ბურთის გრძნობაც დაკარგა. მაკა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ტურნირს, რაც გარკვეულწილად ფსიქოლოგიურ მდგრადობას მოითხოვდა და, ჩემი აზრით, მან სწორედ ამ ტვირთს ვერ გაუძლო. მართალია, ჩახნაშვილი გუნდურ მებრძოლად ითვლება და გამოცდილებაც უდიდესი აქვს - ცხრა წელიწადი სწევდა ლიდერის ჭაპანს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ყველაზე სუსტი წერტილი ყოველთვის ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო. ინდივიდუალური შეხვედრის წაგების შემდეგ წყვილებშიც მივეცით მაკას თამაშის საშუალება - სოფიკო შაფათავა შევუწყვილეთ. საქმე ის არის, რომ ანა შეგნებულად დავასვენეთ - ამ მატჩში წაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, მეორე დღეს მოგვეგო. სხვათა შორის, იმ დროისთვის უკვე ვიცოდით, რომ ლატვიას ვხვდებოდით.

ლატვიელებთან მატჩის წინ ბევრი ვიფიქრე, თუ რა შემადგენლობა დამეყენებინა. ანას რომ უნდა ეთამაშა, თავისთავად ცხადი იყო. არჩევანი სოფიკოსა და მაკას შორის უნდა გამეკეთებინა. საბოლოოდ სოფიკოზე შევჩერდი. მთავარ არგუმენტად მაინც მაკას წინადღით ორი მარცხი მივიჩნიე. სამწუხაროდ, სოფიკომ ვერ მოიგო, მაგრამ რაც შეეძლო, ყველაფერი ჩადო თამაშში. მარცხის შემდეგ კი ცრემლი ვერ შევაშრეთ, ისე განიცდიდა.

**- ანამ შესანიშნავად დაიწყო, ანასტასია სევასტოვასთან - 6:0 გაიმარჯვა პირველ სეტში, შემდეგ კი ლამის იმავე ანგარიშით თავად დამარცხდა - 1:6 და საბოლოოდ წააგო კიდეც შეხვედრა. ტრავმა ხომ არ მიიღო?**

- ტრავმა არ მიუღია და ამ მხრივ გუნდში პრობლემა არც გვქონია. მარცხს რომელიმე ჩოგბურთელის ჯანმრთელობის გაუარესებას ან ტრავმიანობას ვერ დავაბრალებ. საქმე ის არის, რომ სევასტოვაც შესანიშნავი ჩოგბურთელია, რეიტინგით 161-ეა, ტატიშვილი კი - 163-ე. ლატვიელი პირველი სეტისგან განსხვავებით მეორე და მესამეში ლამის უშეცდომოდ ირჯებოდა. პირველ სეტში ანას ამ ანგარიშით გამარჯვებას კი, თუ დამიჯერებთ, არ გავუხარებივარ, რადგანაც ამ დროს ძალიან ეშვები ფსიქოლოგიურად, მშვიდდები და სათანადო განწყობას ველარ ინარჩუნებ. ანასაც ასე მოუვიდა და სასტარტო შემართება ველარ დაიბრუნა.

**- სამწუხარო რეალობა იკვეთება - ოსტატობა გვაკლია...**

- არ უარვყოფ და ამან კიდევ დაგვანახვა, რომ მეტი მუშაობაა საჭირო. ჩვენი გოგონების ოსტატობის ზრდაც შემიძლია აღვნიშნო, მაგრამ არც სხვები სხედან გულხელდაკრეფილნი და კონკურენცია იზრდება. ერთ-ერთი პრობლემა ისიც არის, რომ ჩვენი გოგონების თამაშის ხილვის საშუალება არ მქონდა - ამერიკასა და ევროპაში მათ სანახავად წასვლა შეუძლებელია ფინანსების არქონის გამო. შესაძლოა, ეს ფაქტორი გადამწყვეტი არ იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალია, - მწვრთნელმა და კაპიტანმა შეგირდებზე ბევრი რამ უნდა იცოდენენ.

**- და მაინც, კონკრეტულად, როგორ შეაფასებდით ჩვენებურთა გარჯას?**

- მაკაზე უკვე მოგახსენეთ და თუკი ფსიქოლოგიურად მომაგრდება, მას კიდევ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში. ანათი კი, პირდაპირ გეტყვით, რომ აღფრთოვანებული ვარ. საოცარი პროგრესი შეინიშნება მის თამაშში და ლამის მსოფლიო დონის ჩოგბურთელად იქცა. ერთი სიამოვნებაა მისი ცქერა კორტზე - ფიზიკურადაც ძალიან ლამაზი გოგოა და საჩოგბურთო თვალსაზრისითაც შესანიშნავად აზროვნებს; ტექნიკაც ძალიან მაღალ დონეზე აქვს. მიმაჩნია, რომ ის დღეისთვის 50-70-ეულში მყოფი ჩოგბურთელების დონეზე თამაშობს. ანა ნამდვილი პროფესიონალია, რომელიც ვარჯიშზეც კი დროს უქმად არ კარგავს - ნახევარი საათით ადრე იწყებს წვრთნისთვის მზადებას და ვარჯიშიც ისეთი საინტერესო აქვს, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ. ტატიშვილი შესანიშნავი მაგალითია ქართველი ჩოგბურთელებისთვის. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს აუცილებლად გადავალთ პირველ ჯგუფში, ხოლო ანა იმ დროისთვის მსოფლიო რეიტინგში ორმოცდაათეულში იქნება.

შაფათავა კარგი და მშრომელი გოგოა, ამიტომ პროგრესს მისგანაც ველოდებით. მას აუცილებლად სჭირდება პრაქტიკა. მანანა შაფაქიძეს ერთხელ მიეცა თამაშის საშუალება - ბოლო შეხვედრაში ანასთან ერთად წყვილებში იბრძოლა, მართალია, დამარცხდნენ, მაგრამ მანანასიც გვეიმედება მომავალში, რადგანაც მუყაითი და ნიჭიერი გოგოა.

**- საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობები როგორი იყო ანთალიაში?**

- შესანიშნავი! ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შეგვქმნია და მადლობაც ეკუთვნის მასპინძლებს.

**ლეილა მესხი:** - მარცხის მიუხედავად, ჩვენი გოგონების თამაშით კმაყოფილი ვარ - აშკარად შეინიშნება ოსტატობის ზრდა და დარწმუნებული ვარ, რომ გაისად პირველ ჯგუფში გადავალთ. გამოვყოფ ანა ტატიშვილის ოსტატობას - იმდენად გაძლიერებულია და ისეთი პოტენციალი ჩანს მასში, რომ იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს გაუწევს კონკურენციას.

**- გაისად აუცილებლად მოვხვდებით პირველ ჯგუფშიო, ბრძანეთ. ისევ ამ გოგონებზე გექნებათ სწორება თუ ცვლილებებს მიმართავთ?**

- საბედნიეროდ, დღევანდელ ქართულ ჩოგბურთში რამდენიმე გოგონაა, რომელთა იმედი შეიძლება გვქონდეს. უპირველესად ეკა გორგოძეს და ოქსანა კალაშნიკოვას გამოვყოფ. ასარჩევად ნამდვილად გვექნება საქმე, ეს კარგია, რადგანაც კონკურენციასაც გაზრდის და, შესაბამისად - ხარისხსაც.

**ზვიად შათირიშვილი**

ქართული ჭიდაობა




სპორტი რელიგიურ დღესასწაულებზე

# ქიკაანში ტრადიციას არ ღალატობენ

ქიკაანელები დღითიდღე ჯგუფ-ჯგუფად დაიძრნენ თავიანთი სოფლის თემის მოციქულის სახელობის ეკლესიასკენ, რომლის ახლოს 30 წლის წინათ აქაურებმა დიდი საჭიდაო მოედანი მოაწყვეს. სწორედ ამ მოედანზე გაიმართა კვირაცხოვლობის დღესასწაულის უმთავრესი ტრადიცია — ქართული ჭიდაობა.

ყვარლის რაიონის სოფელ ქიკაანში, აღდგომის სწორზე ანუ კვირაცხოვლობაზე, ნამდვილი სახალხო ზეიმი იმართება. ამ დღეს ყველა ქიკაანელის კარი ღიაა სტუმრისათვის. ჩვეულებას არც წლეულს უღალატეს.

ხელოვნური ბორცვით და კაკლის ხეებით შემოსაზღვრული საჭიდაო წრის გარშემო უამრავი გულშემატკივარი ადევნებდა თვალყურს ნახერხის სარბიელზე გაჩაღებულ პაექრობას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მაყურებელთა ასეთი სიმრავლე ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებასაც კი შეშურდებოდა.

კვირაცხოვლობის ზეიმს და ქართულ ჭიდაობას ქიკაანის გამგებელი **თენგიზ დათუნაშვილი** ედგა სათავეში. ესეც მისაბაძი საქმეა, როცა სოფლის თავკაცი ეროვნულ სპორტს ასე ქომაგობს.

სხვათა შორის, წლევანდელ მონაცემებს თუ შევადარებთ, ქართულ ჭიდაობის შეჯიბრებების სიმრავლეთი საქართველოში სწორედ ყვარლის რაიონი ლიდერობს. შაბათ-კვირა ისე არ ჩაივლის, რომ აქაურებმა ხალხის ნება-სურვილით ერთი ტურნირი მაინც არ მოაწყონ. ქართული ჭიდაობის თანხვედრა რელიგიურ დღესასწაულთან და ეკლესიასთან კი უძველესი ტრადიციაა, რომელსაც ქიკაანელებიც არ ღალატობენ.

კვირაცხოვლობის ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული, მოჭიდავე **ბექა ჯოხაძე** ორგანიზატორებმა სწორედ უმშვენიერესი წმინდა გიორგის ხატით დააჯილდოვეს.

ტურნირზე გამოირჩეოდნენ ახალსოფლელი, ქიკაანელი და გავაზელი ფალავნები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან: **თემო ჯოხაძე, ვალერი ცერცვაძე, თორნიკე ოზგელდაშვილი, ზაზა შველიძე, ბექა ჯოხაძე, ბექა რაჯიბაშვილი, ზურა ყიფშიძე, ვალერი სირაძე და რამაზ ლაფაჩიშვილი.**

**გაბრიელ ბარჯაძე**
სოფელი ქიკაანი
ავტორის ფოტო

# ბასილაშვილის ასადგილიანი ნახტომი


ნიკოლოზ ბასილაშვილი

საქართველოს ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა „ფედერაციის თასზე" და საგაისოდაც ევროპა-აფრიკის II ზონაში მოუწევს ასპარეზობა. თუმცა ინდივიდუალურ, ქალთა რეიტინგში მატება გვაქვს, 18 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** დაუბრუნდა მსოფლიო კლასიფიკაციას. სიაში კარიერის საუკეთესო შედეგი კი ორმა აჩვენა, **ოქსანა კალაშნიკოვამ** და **ეკა გორგოძემ**. საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** კიდევ უკან დაიხია, იგი 370 ქულით მსოფლიოს 168-ე ჩოგანია (-5). სხვები: 217 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 250 ქულა; 253 (-) **სოფიო შაფათავა** - 200; 350 (+2) ოქსანა კალაშნიკოვა - 126; 595 (+4) ეკა გორგოძე - 47; 666 (-9) **სოფიო ქვაცაბაია** - 36; 724 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 29; 852 (+2) **სალომე დევიძე** - 18, 888 (+2) **სოფიო მელიქიშვილი** - 16; 966. მაგდა ოქრუაშვილი - 11.

ვაჟებში **ნიკოლოზ ბასილაშვილს** უზბეკური ქულები დაერიცხა, რისი წყალობითაც 17 წლის ქართველმა ერთ კვირაში 109 ადგილით წაიწია წინ რეიტინგში. მას და **ლაზარე კუხალაშვილს** კარიერის საუკეთესო შედეგი აქვთ. 509 (+2) **ირაკლი ლაბაძე** - 96 ქულა; 890 (+5) ლაზარე კუხალაშვილი - 24; 900 (+109) ნიკოლოზ ბასილაშვილი - 23; 996 (-) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1304 (+2) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1545 (+3) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1630 (+5) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

უზბეკეთის ქალაქ ნამანგანში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. იქ სამი ჩვენებურია, მათ შორის ეროვნული ნაკრების წევრი სოფიო შაფათავა. სოფიო ქვაცაბაიამ ძირითად ბადეში თამაში საკვალიფიკაციოს გავლით დაიმსახურა. იგი მე-2 ნომრად იყო განთესილი. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ჩვენებურმა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო ყაზახ **ევგენია რეზეპკინას** - 6:1, 6:0. მეორეში მან უზბეკი **კაროლინა ჩერნაიაც** დაამარცხა - 6:3, 6:4. ძირითად ბადეში მას მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი **ანასტასია ვასილიევა** (361) ელის. სოფიო შაფათავა ძირითად ბადეში მე-2 ნომრადაა განთესილი და მისი მეტოქე რუსი **მარინა ლუშჩინაა** (921). ოქსანა კალაშნიკოვა მე-5 ნომრად განთესეს, იგი უკრაინელ **იულია ლინდინას** (969) დაუპირისპირდება. სამივე ქართველი წყვილთა თანრიგშიც თამაშობს სხვადასხვა გუნდში. ოქსანა კალაშნიკოვასა და ბელარუსი **იმა ბოჰუშის** (630) პირველ ნომრად განთესილი დუეტი უკვე ჩაება ტურნირში, უკრაინელი **რიბაკოვა** და ბელარუსი **იემიელიანოვა** დაამარცხა - 6:2, 6:4 და მეოთხედფინალში გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# გავარდნის საფრთხე

გუშინ ტოკიოში ნაცუ ბაშოს ბანძუკე გამოქვეყნდა, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ცნობილი გახდა სუმოს მაისის სუპერტურნირის რეიტინგ-ლისტი. მარტის ბაშოზე ცუდმა ასპარეზობამ ძალიან აზარალა ელიტის ორივე ქართველი სუმოისტი. მათ საქმე ისე გაუხდათ, მაისში მხოლოდ დადებითი ბალანსი უშველით ელიტიდან გავარდნისგან. განსაკუთრებით **ლევან ცაგურია (კოკაი)** დაქვეითდა. მარტის ბაშოზე 5-10 ბალანსის გამო კოკაი დასავლეთის მე-8 მაეგაშირობიდან აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირობამდე დააქვეითეს. ელიტაში მას შემდეგ მხოლოდ ოთხი რიკიშია, გავარდნის საფრთხე მართლაც სერიოზულია. შედარებით ნაკლებად დაზარალდა **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. მან მარტის ბაშო 6-9 ბალანსით დაასრულა და დასავლეთის მე-10 მაეგაშირობიდან მე-13-მდე დაქვეითდა. ანუ ტოჩინოშინი თანამემამულეზე მხოლოდ ნახევარი საფეხურით წინაა.

ბანძუკეს დღის ტრადიციულმა აწონებმა შემდეგი შედეგი აჩვენა: ტოჩინოშინი 191 სმ-ია სიმაღლეში და 155 კილოს იწონის. კოკაი მასზე სანტიმეტრით დაბალი და ორი კილოთი მსუბუქია. კოკაის კარიერის ბალანსი ასეთია - 329-288 (აქედან ელიტაში 232-248), ხოლო ტოჩინოშინის - 115-74 (ელიტა, 40-50). რეიტინგში ცვლილებების შესახებ ქვემოთ ცხრილიდან შეიტყობთ, ვიტყვით რომ მაისში სეკივაკეს რანგში დებიუტი ექნება **გოეიდოს**, ხოლო **კაკურიუ** და **ტოჩიოძანი** პირველად იასპარეზებენ კომუსუბის ტიტულით, ელიტაში კი დებიუტანტი არ არის. სხვათა შორის, ბანძუკე, ტრადიციის მიხედვით, ხელით იწერება, ძველი წესით - ზემოდან ქვემოთ და სუმოისტებს ეგზავნებათ.

მესამე დივიზიონში მოასპარეზე **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** დასავლეთის მე-6 მაკუშიტობამდე დაქვეითდა მას მერე, რაც წინა ბაშოზე უარყოფითი ბალანსი აჩვენა - 3-4. გაგამარუ ყველაზე მძიმე ქართველი სუმოისტია, ის 172 კილოგრამს იწონის!

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ნაცუ ბაშოს ბანძუკე

| აღმ. | ტიტული | დას. |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| კოტოოშუ | ოძეკი | ჰარუმაფუჯი |
| კაიო | ოძეკი | კოტომიცუკი |
| ჩიოტაიკაი | ოძეკი | - |
| ბარუტო | სეკივაკე | გოეიდო |
| კაკურიუ | კომუსუბი | ტოჩიოძანი |
| ჰომაშო | მაეგაშირა 1 | ამინიშიკი |
| ტაკეკაძე | მ 2 | კიოკუტენჰო |
| ტამანოშიმა | მ 3 | ტოიონოშიმა |
| კისენოსატო | მ 4 | არანი |
| ტოჩინონადა | მ5 | იოშიკაძე |
| კოტოშოგიკუ | მ 6 | ჩიოჰაკუჰო |
| ასასეკირიუ | მ 7 | ვაკანოსატო |
| ივაკიამა | მ 8 | ტამავაში |
| ტოკიტენკუ | მ 9 | იამამოტოიამა |
| ფუტენო | მ 10 | შიმოტორი |
| მიაბიამა | მ 11 | ტოიოჰიბიკი |
| ტაკამისაკარი | მ 12 | დეჯიმა |
| ჰოკუტორიკი | მ 13 | ტოჩინოშინი |
| კოკაი | მ 14 | კაკიძოე |
| შოტენრო | მ 15 | ბუშუიამა |
| კიმურაიამა | მ 16 | - |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი

### NHL. პლეიოფი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 3:5**

1:3, 0:2, 2:0

**გოლები:** 0:1 იურჩინა-1 (ლეიჩი-2, შტეკელი-1), 1:1 გომესი-2 (რედენი-2, ეივერი-1), 1:2 მ. გრინი-1 (სიომინი-3, პოტი-2), 1:3 პოტი-2 (შტეკელი-2, გორდონი-2), 1:4 ვიქ. კოზლოვი-2 (პოტი-3, ფიოდოროვი-3), 1:5 ოვეჩკინი-3 (პოტი-4, ბექსტრიომი-6), 2:5 კელეჰანი-2 (მორისი-2, გომესი-3), 3:5 მ. სტაალი-1 (კორპიკოსკი-2, სიოსტრიომი-1).

**სერია: 3:3**

**კაროლინა-ნიუ ჯერსი 4:0**

1:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 რეი უიტნი-2 (ე. სტაალი-1, ლაროუზი-2), 2:0 ე. სტაალი-3 (რეი უიტნი-2, ლაროუზი-3), 3:0 ე. სტაალი-4 (რეი უიტნი-3, გლისონი-1), 4:0 ი. იოკინენი-2 (რეი უიტნი-4, კორვო-3).

**სერია: 3:3**

### მსოფლიოს ჩემპიონატი. შვეიცარია 2009

**ჯგუფური ტურნირი**

**A ჯგუფი**

**სლოვაკეთი-ბელარუსი 1:2 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სტასი-1 (ჩუპრისი-1), 1:1 მარსელ ჰოსა-2 (სეკერა-1).

**კანადა-უნგრეთი 9:0**

4:0, 2:0, 3:0

**გოლები:** 1:0 სენტ ლუისი-1 (ი. უაიტი-1, შენი-1), 2:0 შ. უებერი-1 (სენტ ლუისი-2, როი-2), 3:0 როი-1 (სპეცა-3, ფილიპსი-1), 4:0 ნილი-1 (ფიშერი-1, ი. უაიტი-2), 5:0 სენტ ლუისი-2 (დოუტი-2), 6:0 შ. უებერი-2 (ფილიპსი-2), 7:0 ფიშერი-2 (ჰორკოფი-1, ჰამჰუისი-1), 8:0 სენტ ლუისი-3 (დოუნი-2), 9:0 სპეცა-2.

| | თ | მ | ო/მ | ნ | ო/ნ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 15-1 | 6 |
| 2. სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 5-4 | 4 |
| 3. ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2-7 | 2 |
| 4. უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 3-13 | 0 |

**B ჯგუფი**

**შვეიცარია-გერმანია 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ულმანი-1 (საიდენბერგი-1, ბუტენშონი-1), 1:1 ვიკი-1 (ლემი-1), 2:1 ზეგერი-1 (პატერლინი-1), 2:2 შუბერტი-1 (ჰოსპელტი-1, ჰაგერი-1), 3:2 შტრაიტი-1 (პლუსი-1).

**რუსეთი-საფრანგეთი 7:2**

5:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რადულოვი-1 (გოროვიკოვი-1), 2:0 ზარიპოვი-2 (გოროვიკოვი-2, კალინინი-1), 3:0 რადულოვი-2 (ზინოვიევი-1), 4:0 პერეჟოგინი-1 (კურიანოვი-1, კოვალჩუკი-1), 4:1 ეკეფეი-1 (და კოსტა-1, ბელემარი-1), 5:1 ტერეშჩენკო-1 (ატიუშოვი-1), 6:1 ტერეშჩენკო-2 (მოროზოვი-2, ატიუშოვი-2), 6:2 ტარდიფი-1 (ბაშე-1, ამარი-1), 7:2 კოვალჩუკი-2 (პერეჟოგინი-1).

| | თ | მ | ო/მ | ნ | ო/ნ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 12-2 | 6 |
| 2. შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. გერმანია | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 2-8 | 1 |
| 4. საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 2-8 | 0 |

## რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**V ეტაპი. არგენტინის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 3:57.40,3; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +1.13,1; 3. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - +4.04,1; 4. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - +5.59,7; . **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +6.10,9; 6. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +9.50,0; 7. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, "სიტროენი) - +20.55,1; 8. **ნასერ ალიტიია** (კატარი, "სუბარუ") - +23.11.6.

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 50; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - 31; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - 30; 4. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - 20; 5. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - 12; 7. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - 9; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - 9.

## მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**II ეტაპი (იაპონიის გრან-პრი)**

**125 cc**

1. **ანდრეა იანონე** (იტალია, "აპრილია") - 42.23,716; 2. **ხულიან სიმონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +1,346; 3. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, "დერბი") - +5,039; 4. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - +6,904; 5. **მარკ მარკესი** (ესპანეთი, KTM) - +13,061; 6. **სანდრო კორტეზე** (გერმანია, "დერბი") - +14,841.

**საერთო ჩათვლა**

1. **ანდრეა იანონე** - 37.5 ქულა; 2. **ხულიან სიმონი** - 30; 3. **პოლ ესპარაგო** - 22.5; 4. **სანდრო კორტეზე** - 18; 5. **შტეფან ბრადლი** - 17; 6. **იონას ფოლგერი** (გერმანია, "აპრილია") - 13.

**250 cc**

1. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 44.06,488; 2. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +5,889; 3. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - +21,832; 4. **გაბორ ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +25,906; 5. **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +30,785; 6. **შუჰეი აოიამა** (იაპონია, "ჰონდა") - +33,788.

**საერთო ჩათვლა**

1. **ალვარო ბაუტისტა** - 34 ქულა; 2. **ჰიროში აოიამა** - 33; 3. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 30; 4. **ჟულ კლუზელი** (საფრანგეთი, "აპრილია") - 20; 5. **გაბორ ტალმაში** - 19; 6. **თომას ლუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - 18.

**მოტოგრანპრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - 43.47,238; 2. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - +1,304; 3. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +3,763; 4. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 5,691; 5. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, "ჰონდა") - +9,207; 6. **მარკო მელანდრი** (იტალია, "კავასაკი") - +30,555.

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** - 41 ქულა; 2. **ვალენტინო როსი** - 40; 3. **კეისი სტოუნერი** - 38; 4. **ანდრეა დოვიციოზი** - 22; 5. **დანიელ პედროსა** - 21; 6. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - 17.

## სხვადასხვა

**კრივი**

### მორალესს რინგი მოენატრა

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **ერიკ მორალესმა**, რომელმაც 2007 წელს დაასრულა აქტიური კარიერა, რინგზე დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ამ მოკრივეს წლის ბოლომდე მჩატე წონაში WBA-სა და WBO-ის მსოფლიოს ჩემპიონ **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლის გამართვა სურს.

მორალესს მიაჩნია, რომ სწორედ ეს ორთაბრძოლა აკლია იმ მრავალწლიან დაპირისპირებას, რომელშიც **მენი პაკიაო, მარკო ანტონიო ბარერა**, მარკესი და მორალესი მონაწილეობდნენ. სწორედ ეს მოკრივეები დომინირებდნენ 90-იანი წლების ბოლოსა და ახალი საუკუნის დასაწყისში მჩატე და ნახევრად საშუალო წონებში.

**ჰოკეი**

### ტორონტოში მეორე კლუბი არ იქნება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა **ბილ დეილიმ** მოლაპარაკებები გამართა ტორონტოელი ბიზნესმენების ჯგუფთან, რომლებსაც ამ კანადურ ქალაქში კიდევ ერთი კლუბის შექმნა სურთ. მიუხედავად ამისა, NHL-ის ხელმძღვანელობამ გამორიცხა ლიგის გაფართოების შესაძლებლობა.

*"ტორონტოში NHL-ის მეორე კლუბის შექმნა არ განიხილება, - წერია ოფიციალურ განცხადებაში. - ლიგა უახლოეს მომავალში არ გეგმავს თავისი რიგების გაფართოებას. ასევე არ არის მოსალოდნელი რომელიმე კლუბის ერთი ქალაქიდან მეორეში გადაბარგება".*

## კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# სამი თრილერი და დეტროიტის დასაფლავება



ჩიკაგო-ბოსტონი. ბოლო წამზე სალმონსმა პირსს დაუფარა

სამი თრილერი ულამაზესი ფინალით და "დეტროიტის" დამსხვრეული იმედები - ასეთია პლეი ოფის მერვედფინალის მორიგი დღის მოკლე რეზიუმე.

"ჩიკაგომ" და "ბოსტონმა" სერიის მეოთხე მატჩში დაუვიწყარი სპექტაკლი აჩუქეს მაყურებელს. როცა მასპინძლების გამარჯვება ყველას გადაწყვეტილი ეგონა, **რეი ალენმა** სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. "ბულზს" ცხრა წამი რჩებოდა შეხვედრის მოსაგებად, მაგრამ **დერიკ როუზმა**, რომელმაც მეოთხე მეოთხედში ყველა ბურთი ჩააგდო, მაინცდამაინც ბოლო წამზე ააცილა და ოვერტაიმი დაინიშნა. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან მატჩი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და შვიდ ქულაზე მეტით არც ერთი მეტოქე არ გასულა წინ.

დამატებითი ხუთი წუთი ძირითადი დროის ზუსტი ასლი აღმოჩნდა - ერთნი გაქცევას ცდილობდნენ, მეორენი - კვალში ედგნენ. ამჯერადაც ისევ ალენმა ჩააგდო ცხრა წამით ადრე ბურთი, ოღონდ ამ შემთხვევაში ანგარიში კი არ გათანაბრდა, არამედ "ბოსტონი" სამი ქულით გავიდა წინ - 110:107. მაგრამ "ჩიკაგო" ბედს არ შეურიგდა და **ბენ გორდონმა ჯონ სალმონსის** პასის შემდეგ "ბოსტონის" კალათში სამქულიანი ჩააგდო.

მეორე ოვერტაიმში უკვე "ბოსტონი" იყო მდევრის როლში. იმავე სალმონსის ჯარიმებით, "ხარები" სამი ქულით გავიდნენ წინ - 121:118. სტუმრებს თამაშის გადასარჩენად 16 წამი და ბოლო შეტევის განვითარების უამრავი ვარიანტი ჰქონდათ. მათ ბურთის პერიმეტრზე გათამაშება და სასროლ პოზიციაზე **პოლ პირსის** გაყვანა გადაწყვიტეს. "ბოსტონის" ლიდერმა ბურთი მიიღო, მაგრამ სასწაული ვერ მოახდინა - სალმონსი პირსის ფინტს არ წამოეგო და პოლს დაუფარა.

■ ■ ■

"დეტროიტისა" და "კლივლენდის" სერიის ოთხივე მატჩი თითქმის ერთნაირი სცენარით განვითარდა. ფავორიტი "კავალიერზი" პირველ ტაიმში დიდად თავს არ იკლავდა, სამაგიეროდ, მეორეში მთელი ძალით თამაშობდა და მატჩს ინტრიგას უკარგავდა. გამონაკლისი არც გუშინდელი შეხვედრა აღმოჩნდა. მასპინძლები მთელი მატჩი აგებდნენ და თავს იკლავდნენ, რომ ძალიან არ ჩამორჩენოდნენ მოწინააღმდეგეს.

**მაიკლ კარის** შეგირდების ყველაზე დიდი მიღწევა მოკრძალებული "მინუს 3" (50:53) იყო მესამე მეოთხედის შუაში, რის შემდეგაც მოედანზე ერთი გუნდი, უფრო სწორად, ერთი კალათბურთელი ათამაშდა. **ლებრონ ჯეიმსი** ამ საღამოსაც შეუჩერებელი იყო - 36 ქულა, 13 მოხსნა, 8 შედეგიანი პასი და 2 ჩაჭრა. რაც ყველაზე გასაკვირია, ლებრონს ტყორცნა არ მისდიოდა.

მიუხედავად ამისა, ჯეიმსი მაინც გახდა მესამე მოთამაშე ისტორიაში (**ლარი ბერდისა და ოსკარ რობერტსონის** შემდეგ), რომელმაც ერთ კონკრეტულ სერიაში საშუალოდ 30 ქულაზე (32.5 ქულა), 10 მოხსნასა (11.3) და 7 შედეგიან პასზე (7.5) მეტი დააგროვა. გარდა ამისა, ის ოსკარ რობერტსონის შემდეგ მეორე მოთამაშეა, ვინც პლეი ოფის პირველ 50 შეხვედრაში 1300 ქულა, 400 მოხსნა და 350 გადაცემა მიითვალა.

■ ■ ■

"ფილადელფიასთან" სერიაში "ორლანდო" საკუთარ თავს თვითონ უქმნის პრობლემებს. პირველ ორ თამაშში **დუიატ ჰოვარდმა** და კომპანიამ 18-ქულიანი უპირატესობის განიავება მოახერხა. გუშინ, 10 ქულით (77:67) იგებდნენ საფინალო სირენამდე ცხრა წუთით ადრე, მაგრამ, როცა მატჩის დასრულებას 14 წამი აკლდა, მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. სერიის ფავორიტის საბედნიეროდ, **ჰედო თურქოგლუმ** გუნდისთვის ვალების დაბრუნება გადაწყვიტა. თურქი ლეგიონერი, რომელიც პირველ სამ მატჩში ძალიან ბევრს ცდებოდა (30 სროლიდან მხოლოდ 7 ჩააგდო), სამქულიანის ხაზთან დადგა, საჭირო პაუზა გააკეთა, **ტადეუს იანგი** მოატყუა და ზუსტი შორეული ტყორცნა ჩააგდო. 84:81 - სერიაში ისევ გათანაბრდა ანგარიში, "ორლანდომ" კი საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა.

*"ახლაც ნამდვილი ბრძოლა ვიხილეთ და ამჯერად მათ ჩააგდეს გამარჯვების ტყორცნა"*, - განაცხადა "ფილადელფიას" მთავარმა მწვრთნელმა **ტონი დი ლეომ**.

*"მადლობა მწვრთნელს ამ ნდობისთვის, - სიხარულს ვერ მალავდა თურქოგლუ. - მან ჩემზე ააწყო კომბინაცია და მისი ჩანაფიქრი მოედანზე წარმატებით განვახორციელე".*

რამდენიმე სიტყვა სტატისტიკაზე: **დუაიტ ჰოვარდმა** 18 ქულა და 18 მოხსნა დააგროვა. ეს ახალგაზრდა ცენტრისთვის მერვე მატჩია პლეი ოფში, როცა ის 15-ზე მეტ ქულასა და მოხსნას აგროვებდა. უფრო ხშირად ასეთი მატჩები **ტიმ დანკანს** ჩაუტარებია, მაგრამ "სან ანტონიოს" ლეგენდარულ ცენტრს ჰოვარდზე 2.5-ჯერ მეტი შეხვედრა აქვს გამართული.

■ ■ ■

აღმოსავლეთის გუნდებს არც დასავლელები ჩამორჩნენ და ერთი თრილერი მათაც გვაჩუქეს. "პორტლენდისა" და "ჰიუსტონის" სერიაში "როკეტსის" გამარჯვების ბევრს არ სჯეროდა: ამ გუნდის მაღალ კალათბურთელებს ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვთ და გარდა ამისა, ბოლო დროს, "რაკეტები" პლეი ოფში მთლად კარგად ვერ თამაშობს. მაგრამ "ჰიუსტონმა" მაინც მოარგო გასალები "პორტლენდს".

მეოთხე მეოთხედის მსვლელობისას მასპინძლები ექვსი ქულით აგებდნენ. დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ მატჩის ბოლოს ათლეტური და სწრაფი პორტლენდელების დაწევა არც ისე იოლი საქმეა. "ჰიუსტონმა" მაინც მოახერხა ამის გაკეთება. **შეინ ბატიემ** დროულად ჩააგდო ორი სამქულიანი, ხოლო საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე, როცა ანგარიში 87:85 იყო, **ჩაკ ჰეიესმა** კარგად ჩაუდგა კორპუსი **ბრენდონ როის** და შეტევაში პერსონალური მიალებინა.

*"უბრალოდ, მისი მოძრაობა წავიკითხე, - თავს იქებდა მატჩის შემდეგ ჰეიესი. - მწვრთნელს ვჭირდებოდი და საჭირო დროს გამიყვანა მოედანზე. მან იცის, რომ დაცვაში კარგი თამაში მეხერხება".*

**აღმოსავლეთი**

**დეტროიტი-კლივლენდი 78:99**

27:26, 15:25, 18:22, 18:26

**დ:** მაკდაესი (26+10 მოხსნა), ბინუმი (22), სტაკი (14+6 პასი).

**კ:** ლ. ჯეიმსი (36+13 მოხსნა+8 პასი), მ. უილიამსი (24), დ. უესტი (12).

**სერია: 0:4**

**ჩიკაგო-ბოსტონი 121:118 (2ო)**

18:19, 27:27, 20:24, 31:26, 14:14, 11:8

**ჩ:** დ. როუზი (23+11 მოხსნა+9 პასი), ბ. გორდონი (22), სალმონსი (20+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ჰაინრიხი (18+3 ჩაჭრა), ტაირუს ტომასი (14+10 მოხსნა+3 დაფარება), ნოა (12+10 მოხსნა+3 დაფარება), ბ. მილერი (12).

**ბ:** პირსი (29+7 მოხსნა), რ. ალენი (28), რონდო (25+11 მოხსნა+11 პასი), პერკინსი (15+9 მოხსნა+3 დაფარება), გ. დევისი (10+11 მოხსნა).

**სერია: 2:2**

**ფილადელფია-ორლანდო 81:84**

22:24, 14:12, 19:28, 26:20

**ფ:** ა. მილერი (17), ტ. იანგი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), იგუოდალა (13+7 მოხსნა+11 პასი), ლ. უილიამსი (11), უ. გრინი (11), დალემბერი (10+9 მოხსნა).

**ო:** დ. ჰოვარდი (18+18 მოხსნა+3 დაფარება), ლუისი (17+7 მოხსნა), თურქოგლუ (17), კ. ლი (15), ელსტონი (13).

**სერია: 2:2**

**დასავლეთი**

**ჰიუსტონი-პორტლენდი 89:88**

30:22, 20:22, 14:26, 25:18

**ჰ:** იაო მინი (21+12 მოხსნა), სკოლა (17+8 მოხსნა), ბატიე (14+8 მოხსნა+6 პასი), არტესტი (12+9 პასი), ვაფერი (12).

**პ:** როი (31+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ოლდრიჯი (19+10 მოხსნა), აუთლო (14), ბლეიკი (11+8 პასი), პრჟიბილა (4+12 მოხსნა).

**სერია: 2:1**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ისევ მოიგო



სენსაციების გარეშე გრძელდება მამაკაცთა საჩოგბურთო სეზონი. მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ყოველგვარი გართულების გარეშე იგებს თავის საყვარელ თიხნარის ტურნირებს.

მონტე კარლოს მასტერსის ზედიზედ მეხუთედ მოგების შემდეგ, რაფამ იგივე შედეგი ბარსელონას ტურნირზე გაიმეორა. ნადალმა კატალონიის დედაქალაქში ბოლოს 16 წლის ასაკში წააგო და 2005 წლიდან მოყოლებული, 25-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია აქვს.

წლევანდელი ფინალი შარშანდელის გამეორება გახლდათ. ამჯერადაც რაფაელის შეჩერება მეორე ესპანელმა, **დავიდ ფერერმა** სცადა. გასული წლის ფინალში მან ერთი სეტის მოგება მოახერხა, მაგრამ ამჯერად ნადალმა ეს ერთი პარტიაც არ დაანება თავის თანამემამულეს და ორ სეტში გაიმარჯვა.

რაფამ პირველ სეტში სამი ბრეიკი გააკეთა და 6:2 გაანადგურა მოწინააღმდეგე. მეორე პარტიაში ბრძოლა შედგა, მაგრამ სეტის ბოლოს, 5:5-ზე ნადალის მორიგმა ბრეიკმა მატჩის ბედი გადაწყვიტა.

ნადალმა თიხნარზე აპრილში ზედიზედ 47 მატჩი მოიგო და 9 ტიტული მოიპოვა - ხუთი მონტე კარლოში და ოთხი ბარსელონაში. ბოლოს, ესპანელი 2005 წლის 8 აპრილს, რუს **იგორ ანდრეევთან** ვალენსიას ტურნირის მეოთხედფინალში დამარცხდა. 2005 წლიდან მოყოლებული, ნადალმა თიხნარზე 142 მატჩი მოიგო და მხოლოდ 4 წააგო.

ამჟამად, თიხნარზე რაფას მოგებათა სერია 25 მატჩს შეადგენს. ბოლოს მან რომის შარშანდელ მასტერსზე, მეორე წრეში თანამემამულე **ხუან კარლოს ფერეროსთან** წააგო. წელს ნადალს 33 მოგება და 3 წაგება აქვს. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სეზონში მეოთხე ტურნირი (ავსტრალიის ღია პირველობა, ინდიან უელსი, მონტე კარლო და ბარსელონა) მოიგო და ამ მაჩვენებლით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. კიდევ ერთხელ ნადალმა როტერდამის ტურნირის ფინალში ითამაშა და აქ **ენდი მიურეისთან** წააგო. სულ რაფაელს მამაკაცთა ტურში 44 ფინალში მიუღია მონაწილეობა და აქედან 35-ჯერ გამოსულა გამარჯვებული.

ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი

# მოქმედი ჩემპიონის გარეშე



გასულ უქმეებზე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალისტები გამოვლინდნენ. საკუთარ მოედანზე სენსაციურ გამარჯვებას მიაღწია იტალიის ნაკრებმა, რომელმაც მოქმედი ჩემპიონი - რუსეთი გამოთიშა ბრძოლას. მართალია, სტუმრები შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ აპენინებზე (გუნდში არ იყვნენ **დინარა საფინა, ელენა დემენტიევა, ვერა ზვონარევა** და **მარია შარაპოვა**), მაგრამ მაინც ცოტას თუ სჯეროდა, რომ იტალიელები შეძლებდნენ ბოლო წლების „მუდმივი ჩემპიონების" დამარცხებას. მასპინძლებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ წყვილების შეხვედრამდე გაინაღდეს ფინალში თამაში.

გაცილებით დრამატული აღმოჩნდა ბრნოში გამართული ნახევარფინალი ჩეხეთსა და ამერიკას შორის. ამერიკელები დები **უილიამსების** გარეშე თამაშობდნენ და ამიტომაც, ჩეხების შანსები უფრო მაღალი ჩანდა. ყველაფერი წყვილთა თანრიგის შეხვედრამ გადაწყვიტა, სადაც **კვეტა პეშკესა** და **ივეტ ბენეშოვას** დუეტმა მოგებული შეხვედრა დაუთმო **ლიზელ ჰუბერისა** და **ბეტანი მატეკის** წყვილს. ჩეხებმა პირველი სეტი 6:2 მოიგეს, მეორეში 5:2 დაწინაურდნენ და ერთი გეიმილა აშორებდათ ფინალის საგზურს, მაგრამ მაინც მოახერხეს ამ მატჩის წაგება.

ფინალი 7-8 ნოემბერს გაიმართება. მასპინძელი იტალია იქნება, რომელსაც, შესაბამისად, კორტის საფრის არჩევის უფლებას მიანიჭებენ. ფედერაციის თასზე აპენინელთა საუკეთესო შედეგი 2006 წელს მოპოვებული ჩემპიონობაა, ამერიკა კი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია - ის 17-ჯერ ფლობდა ფედერაციის თასს. ბოლოს ეს ცხრა წლის წინ, 2000 წელს მოხდა.

იტალია და ამერიკა ცხრაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს ფედერაციის თასის ეგიდით და ჯერჯერობით ევროპელთა აქტივში ერთი გამარჯვებაც არ არის. მათი ბოლო შეხვედრა 2003 წელს, მსოფლიოს ჯგუფის მეოთხედფინალში შედგა. ამერიკელებმა ვაშინგტონში ერთი ქულაც არ დაანებეს მეტოქეს და 5:0 გაიმარჯვეს.

| 1/2 ფინალი | |
|---|---|
| **იტალია-რუსეთი** | **4:1** |
| 1:0 ფლავია პენეტა-ანა ჩაკვეტაძე 6:4, 6:0 | |
| 2:0 ფრანჩესკა სკიავონე-სვეტლანა კუზნეცოვა 1:6, 6:2, 6:3 | |
| 2:1 ფლავია პენეტა-სვეტლანა კუზნეცოვა 0:6, 3:6 | |
| 3:1 ფრანჩესკა სკიავონე-ანასტასია პავლიუჩენკოვა 7:6(7), 4:6, 6:2 | |
| 4:1 ერანი/ვინჩი-პავლიუჩენკოვა/პეტროვა 1:6, 6:3, 6:4 | |
| **ჩეხეთი-აშშ** | **2:3** |
| 1:0 პეტრა კვიტოვა-ბეტანი მატეკი 6:3, 7:6(2) | |
| 1:1 ივეტა ბენეშოვა-ალექსა გლეტჩი 1:6, 2:6 | |
| 2:1 ლუსი საფაროვა-ბეტანი მატეკი 6:3, 6:1 | |
| 2:2 პეტრა კვიტოვა-ალექსა გლეტჩი 2:6, 1:6 | |
| 2:3 ბენეშოვა/პეშკე-ჰუბერი/მატეკი 6:2, 6:7(2), 1:6 | |

ცურვა

# უკანონო რეკორდები?

ცურვაში ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალან ტომპსონმა** ეჭვქვეშ დააყენა რამდენიმე დღის წინ, ფრანგი **ალან ბერნარის** მიერ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული მსოფლიოს ახალი რეკორდი. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატზე ბერნარმა დისტანცია 46.94 წამში დაფარა, რითაც გააუმჯობესა ავსტრალიელი **იმონ სალივანის** შედეგი (47.05). მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პეკინის თამაშების ჩემპიონმა იმ ნახევარფინალურ გაცურვაში ახალი საცურაო კოსტიუმი გამოიყენა, რომელიც ჯერ არ არის რატიფიცირებული საერთაშორისო ფედერაციის მიერ და ამის გამო, ბერნარს რეკორდი არ უნდა ჩაეთვალოს - მიაჩნია ტომპსონს.

*„თუ ამ შედეგს დაამტკიცებენ, შესაძლოა, სახიფათო პრეცედენტი შეიქმნას"*, - აღნიშნა ავსტრალიელთა დამრიგებელმა.

აღსანიშნავია, რომ რეკორდის დამყარების შემდეგ, ბერნარმა ფინალში თავისი ძველი კოსტიუმი გამოიყენა და გადამწყვეტი გაცურვა **ფრედერიკ ბუსკესთან** წააგო. თუმცა თავად სპორტსმენმა ეს წარუმატებლობა არა ფორმის გამოცვლას, არამედ ზედმეტ მღელვარებას დააბრალა.

■ ■ ■

ფრედერიკ ბუსკე კი მხოლოდ 100 მეტრის მოგებით არ დაკმაყოფილდა თავისუფალი სტილით ცურვაში 50 მეტრზეც გამოიჩინა თავი. მან ამ დისტანციაზე მსოფლიოს ახალი რეკორდით გაიმარჯვა. მისი დრო იყო 20.94 წამი, რაც 0.34-ით აღემატება წინა მიღწევას, რომელიც ასევე იმან სალივანს ეკუთვნოდა. ასე რომ, ფრანგებმა ამ ავსტრალიელს უკვე ორი რეკორდი ჩამოართვეს, თუმცა ბერნარისა და ბუსკეს შედეგები ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ უნდა დაამტკიცოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ნიუკასლი-პორტსმუთი 0:0**

ნიუკასლი: ჰარპერი, ბეიე, ბასონგი, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე (28. გუტრი), ბატი (71. გუტიერესი), დაფი, სმიტი, ოუენი, მარტინსი, ვიდუკა (64. ქეროლი).

პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, დისტენი, კემპბელი, ჰრეიდარსონი, დევისი, ჰიუზი, მულინზი, ბელჰაჯი, კრაუჩი, ნაჯენტი (66. პენანტი).

გაფრთხილება: 2-2; კუთხური: 7-9; ჯარიმა: 13-9; თამაშგარე: 1-1; კარში დარტყმა: 13-16 (4-3); ბურთის ფლობა: 52%-48%.

მაყურებელი: 47 481

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 33 | 24 | 5 | 4 | 61-23 | 77 |
| 2. ლივერპული | 34 | 21 | 11 | 2 | 66-26 | 74 |
| 3. ჩელსი | 34 | 21 | 8 | 5 | 56-20 | 71 |
| 4. არსენალი | 33 | 17 | 11 | 5 | 58-32 | 62 |
| 5. ასტონ ვილა | 34 | 15 | 10 | 9 | 50-44 | 55 |
| 6. ევერტონი | 34 | 14 | 11 | 9 | 48-36 | 53 |
| 7. ფულჰემი | 34 | 12 | 11 | 11 | 34-28 | 47 |
| 8. ვესტ ჰემი | 34 | 12 | 9 | 13 | 38-38 | 45 |
| 9. მანჩესტერ სიტი | 34 | 13 | 5 | 16 | 53-45 | 44 |
| 10. ტოტენჰემი | 34 | 12 | 8 | 14 | 41-41 | 44 |
| 11. უიგანი | 32 | 11 | 8 | 13 | 31-36 | 41 |
| 12. სტოკ სიტი | 34 | 10 | 9 | 15 | 33-49 | 39 |
| 13. ბოლტონი | 34 | 11 | 5 | 18 | 40-51 | 38 |
| 14. პორტსმუთი | 34 | 9 | 11 | 14 | 35-50 | 38 |
| 15. სანდერლენდი | 34 | 9 | 8 | 17 | 31-46 | 35 |
| 16. ბლეკბერნი | 33 | 8 | 10 | 15 | 35-55 | 34 |
| 17. ჰალ სიტი | 34 | 8 | 10 | 16 | 37-59 | 34 |
| 18. ნიუკასლი | 34 | 6 | 13 | 15 | 37-53 | 31 |
| 19. მიდლსბრო | 33 | 7 | 10 | 16 | 25-47 | 31 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 34 | 7 | 7 | 20 | 33-63 | 28 |

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ნორვიჩი-რედინგი | 0:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ანკონა-ჩიტადელა | 1:2 |
| პარმა-სალერნიტანა | 0:0 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოსნაბრიუკი-ჰანზა | 0:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტრასბური-მეცი | 0:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-გიმარაეში | 2:2 |
| ფერეირა-აკადემიკა | 1:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-სიონდერილი | 2:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ბრანი | 0:2 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ტურკუ-კუუსისალოსულა | 0:0 |
| ვაასა-ჰონკა | 2:5 |

**[illegible]**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| შაფჰაუზენი-ლუგანო | 2:2 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპოლონი-იონიკოსი | 0:3 |
| დიაგორასი-კერკირა | 2:0 |
| ეთნიკოსი (ა)-ატრომიტოსი | 2:2 |
| ილისიაკოსი-აგროტიკოსი | 3:2 |
| კალამატა-ანაგენისი | 0:0 |
| კალითეა-ვერია | 2:0 |
| კასტორია-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:0 |
| კავალა-პიერიკოსი | 2:0 |
| იანინა-ეთნიკოსი | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ბოლესლავი | 3:3 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| სლივენი-ჩერნომორეცი | 0:0 |
| ლოკომოტივი (მ)-ჩერნო მორე | 1:3 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

**პლეიოფი**

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-ოლიმპიაკოსი | 76:86 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 78:82 |

**ჰოკეი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აშშ-ავსტრია | 6:1 |
| ჩეხეთი-ნორვეგია | 5:2 |
| ფინეთი-დანია | 5:1 |
| შვედეთი-ლატვია | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| ვავრინკა-კუნიცინი | 6:3, 6:4 |
| მონაკო-კიფერი | 6:2, 6:3 |
| ჰანესკუ-ტროიცკი | 3:6, 3:6 |
| ჩილიჩი-ჩიპოლა | 6:2, 6:2 |
| ჩელა-ო. როხუსი | 1:6, 2:6 |
| ბლეიკი-კრივოი | 5:7, 3:6 |
| კარლოვიჩი-ჰერნიხი | 4:6, 6:4, 6:2 |
| სტარაჩე-მონტანიესი | 6:7, 4:6 |

**WTA. ფესი**

| | |
|---|---|
| მაკაროვა-ოლარუ | 7:6, 6:4 |
| კირილენკო-დომახოვსკა | 4:6, 4:6 |

**WTA. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-სუარეს ნავარო | 6:1, 6:4 |

TV პროგრამა

**28 აპრილი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:40 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვილიარეალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-პორტსმუთი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
1[illegible]:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:25 ლიბერტადორესის თასი.
21:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი (LIVE).
01:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.
05:30 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:00 ახალი ამბები.
06:10 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სენტ ელენი-ბრედფორდი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ცურვა.
10:15 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. პორტუგალია.
12:45 ფიგურული სრიალი.
14:15 სპორტული დღე.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. რომი. იტალია (LIVE).
23:30 სპორტული საღამო.
00:00 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. სტ. ლუისი-ნიუ იორკი.
02:30 ახალი ამბები.
03:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/2 ფინალი. ჰამბურგი (გერმანია)-სიუდად რეალი (ესპანეთი). პირველი მატჩი.
04:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
05:15 როდეო. BULL RIDERS.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
10:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.
11:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ლეონელ მესი.
12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ.
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. არგენტინა.
02:00 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. II რბოლა. ბაჰრეინი.
02:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ავსტრალია.
12:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია.
13:00 ახალი ამბები.
13:15 უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
13:55 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბაჰრეინი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
15:15 სერფინგი. ავსტრალია.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. რუსეთი.
18:15 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია.
20:00 ახალი ამბები.
20:15 უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
20:30 კარტინგი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.
21:00 ავტოსპორტი. ლე მანის ამერიკული სერია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია.
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
00:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
01:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# კეთილი აქცია




ნოვაკ ჯოკოვიჩი და ენდი მიურეი საქველმოქმედო აქციაზე

გუშინ, იტალიის დედაქალაქ რომში მასტერსის მორიგი ტურნირი დაიწყო. წინადღეს კი მსოფლიოს წამყვანმა ჩოგბურთელებმა საქველმოქმედო მატჩებში მიიღეს მონაწილეობა. მაყურებელმა კორტზე იხილა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რუსი **მარატ საფინი**, ბრიტანელი **ენდი მიურეი**, ესპანელი **ტომი რობრედო** და რამდენიმე ადგილობრივი ჩოგბურთელი. ამ აქციისგან შეკრებილი ფული ფონდ FedeLux-ის ანგარიშზე გადაირიცხა. ეს ფონდი ლეიკემიით დაავადებულებს ეხმარება.

სახელი - FedeLux შემთხვევით არ არის არჩეული. ფონდს ასეთი სახელწოდება იტალიელი **ფედერიკო ლიუცის** საპატივცემულოდ შეურჩიეს. შარშან, ეს ჩოგბურთელი 28 წლის ასაკში სწორედ ლეიკემიით გარდაიცვალა. კვირას ჩატარებულ აქციაში მონაწილეობა მიიღეს ლიუცის მშობლებმა - **პაოლამ და მაურისიომ**.

*"დღეს მე არ მქონდა ცუდად თამაშის უფლება, რადგან ფედერიკო ყველას გვიყურებს,* - განაცხადა ფედერერმა. - *აქ მისი მშობლები ჩამოვიდნენ და მოხარული ვარ, რომ მათი გაცნობის საშუალება მომეცა".*

*"ფედერიკო კეთილი და მუდამ მოღიმარი ადამიანი იყო. მე ის ყოველთვის ასეთად მემახსოვრება, ამიტომაც, დღეს ემოციების შეკავება ვერ შევძელი",* - ეს მსოფლიოს მესამე ჩოგანის ნოვაკ ჯოკოვიჩის სიტყვებია.

# ანას გოლფი შეუყვარდა






როგორც ჩანს, სერბ ჩოგბურთელ **ანა ივანოვიჩს** სერიოზულად შეუყვარდა გოლფი. სხვა ახსნა ვერ მოეძებნება იმას, რომ როლან გაროსის ჩემპიონს სულ უფრო ხშირად ხედავენ გოლფის მოედანზე.

ამ დღეებში ივანოვიჩმა სიამოვნებით ითამაშა გოლფი Arabella Golf Son Vida-ში. იქ მას გვერდს უმშვენებდა გოლფისტი **ადამ სკოტი**. ეს ის სპორტსმენია, რომელთან ერთადაც მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას პლაჟზე დროს ატარებდა. მაშინ ჩოგბურთელსა და გოლფისტს შორის რომანზე ბევრს წერდნენ, მაგრამ ყველაფერი გაცილებით მარტივად ყოფილა - ანა და ადამი, უბრალოდ, მეგობრები აღმოჩნდნენ.

თუმცა სკოტის საზოგადოებაში ივანოვიჩის მორიგმა გამოჩენამ, ჟურნალისტები კვლავ აალაპარაკა მათი შესაძლო რომანის შესახებ. მაგრამ თავად სპორტსმენები ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებენ.

რაც შეეხება ანას გოლფით "დაავადებას", ეს კაცებს შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანის, **რაფაელ ნადალის** დამსახურებაა, რომელმაც სერბს სპორტის ამ სახეობაში პირველი გაკვეთილები ჩაუტარა.

■ ■ ■

ამასობაში, ანა ივანოვიჩის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩოგბურთელის ახალი ფოტოსესიის სურათები გამოქვეყნდა. ამჯერად, სერბი ჩოგბურთელი სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი მსხვილი კომპანიის პროდუქციას უწევს რეკლამას.



# მარიამ მაღაზია გახსნა

რუსი **მარია შარაპოვას** თაყვანისმცემლები მოუთმენლად ელიან თავიანთი კერპის მოედანზე დაბრუნებას, თავად ჩოგბურთელი კი ჯერჯერობით მაღალ საზოგადოებაში ხშირად გამოჩენით ირთობს თავს. ამჯერად, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მოდური მაღაზიის გახსნასთან დაკავშირებით, პომპეზურ საღამოს სტუმრობდა.

მაღაზიის სახელწოდებაა Chloe, ცერემონია კი ლოს-ანჯელესში ჩატარდა და ორგანიზატორებმა განსაკუთრებული მიწვევა გაუგზავნეს მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ჩოგბურთელს.




ავტოსპორტი

# დიდი ავარია ალაბამაში




კარლ ედვარდსი ავარიის დროს და ავარიის შემდეგ

კინაღამ ტრაგედიით დასრულდა ალაბამას შტატში ნასკარის საავტომობილო სერიის მორიგი ეტაპი.

რბოლა ქალაქ ტალადეგაში ტარდებოდა. ბოლო წრეზე **კარლ ედვარდსის** "ფორდი" დამცავ ბარიერს შეასკდა და ტრიბუნაზე მყოფმა შვიდმა ადამიანმა მანქანის ნამსხვრევებისგან სერიოზული ტრავმები მიიღო. თავად პილოტი ამ საშინელი ავარიისგან არ დაზარალებულა. ის დამოუკიდებლად ამოვიდა მანქანიდან და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის გამო დარდობდა.

როგორც რბოლის სამედიცინო ბრიგადის ხელმძღვანელმა **ბობი ლუისმა** განაცხადა, დაზარალებულებს სასწრაფოდ ჩაუტარდათ პირველადი დახმარება. ამის შემდეგ, ორი ქალბატონი ვერტმფრენის დახმარებით უახლოეს კლინიკაში გადაიყვანეს. ერთ მამაკაცს ყბა ჰქონდა გატეხილი, დანარჩენები კი შედარებით იოლი დაზიანებებით გადარჩნენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა